ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ლია მელიქიშვილი

კონფლიქტის ანთროპოლოგია
(ეთნიკური ასპექტები)

თბილისი
2006

უაკ (UDC) 394

მ 541

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის გრანტით

რედაქტორი: ქეთევან ხუციშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: ნათია ჯალაბაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ლავრენტი ჯანიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ნინო ბურდული

© ლ. მელიქიშვილი
L. Melikishvili

8 171
2006

ISBN 99940-0-829-3

კონფლიქტის არსი

დღეს მეცნიერებაში ყალიბდება სხვადასხვა ახალი დისციპლინა. რა თქმა უნდა, ახალ სამეცნიერო დისციპლინას კვლევის თავისი საგანი და მეთოდი უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ გამონაკლისი არ არის არც ფაქტიურად ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბებული ახალი მიმდინარეობა კონფლიქტოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტოლოგიაში მუშაობს არაერთი დისციპლინის (სოციოლოგია, ეთნოლოგია, ფილოსოფია და სხვ.) წარმომადგენელი, ერთიანი აზრი კონფლიქტის არსის შესახებ დღემდე არ არსებობს.

კონფლიქტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. საზოგადოებასა და მის წევრებს შორის სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა სახის დაპირისპირება იჩენს თავს — პიროვნული, ოჯახური, სოციალურ-კლასობრივი და ა. შ. ყოველი დაპირისპირება, იქნება ეს კულტურების, იდეების, მენტალიტეტების, ღირებულებების თუ სხვა სახისა, არის კონფლიქტი. კონფლიქტი ადამიანური ყოფის იმდენად განუყრელი, თანამდევი მოვლენაა, რომ იგი ჩვეულებრივად კულტურის ნაწილად აღიქმებოდა და სპეციალური კვლევის საგნად არც კი ქცეულა ისევე, როგორც ეთნოლოგის შესწავლის ობიექტი ჯერ არ გამხდარა სიკეთე ან ბოროტება, რადგან ისინი ჩვენი ცხოვრების ჩვეული ფენომენებია. მაგრამ კაცობრიობის ისტორია იმდენ ომს, ძალადობას, რელიგიური თუ სხვა სახის დაპირისპირებას ითვლის, რომ მეცნიერებმა ამ პრობლემას, ბოლოს და ბოლოს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს.

აგრესია ადამიანის ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია უხსოვარი დროიდან. ის არსებობდა მომთაბარე მონადირეებშიც და შემგროვებლებშიც, მიწათმოქმედებშიც და მეცხოველეებშიც, როგორც პრიმიტიულ, ისე განვითარებულ საზოგადოებაშიც.

ძალადობრივი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიის ენდემური მახასიათებელია. ომებმა უამრავი სიცოცხლე შეიწირა. ერთ-ერთი მონაცემის მიხედვით, უკანასკნელი 5600 წლის განმავლობაში მოხდა 14500 ომი[1]; სხვა ცნობით 3400 წლიდან მშვიდობიანი მხოლოდ 286 წელი იყო[2]. 1945 წლიდან 1989 წლამდე ომებში დაიღუპა 21,8 მილიონი კაცი[3],ძალზე დიდია დაჭრილებისა და ლტოლვილების რიცხვი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ფსიქოლოგებმა, პირველებმა მეცნიერთაგან, მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება ძალადობასა და კონფლიქტს. ამ ორ ფენომენს ისინი ხსნიდნენ ადამიანისათვის ნიშანდობლივი „ომისმოყვარეობის" ინსტიქტით. ამ თვალსაზრისმა განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ზ. ფროიდის ფსიქოანალიტიკურ მიმდინარეობაში, მაგრამ აგრესიის ინსტიქტის იდეასთან იგი უცებ არ მისულა. თავდაპირველად ზ. ფროიდი, თავისი მოწაფის, ავსტრიელი ფსიქოლოგის ა. ადლერისაგან განსხვავებით, აგრესიის თეორიის წინააღმდეგი იყო. *ა. ადლერმა ჯერ კიდევ 1908 წელს ჩამოაყალიბა „აგრესიის ინსტიქტის" თეორია. ეს ინსტიქტი, მისი აზრით, ემსახურებოდა თავკაცობისათვის (მეთაურობისათვის) ბრძოლას, რომელიც ადამიანის ქცევის ძირითადი მოტივია.*

უფრო მოგვიანებით, 1920 წლის დასაწყისში, ზ. ფროიდი დაუბრუნდა თავის პირვანდელ პოზიციას, კარგად გააანალიზა და

შეიმუშავა თეორია *„ადამიანის ორბუნებოვნების“ შესახებ, რომ-ლის თანახმად განუწყვეტელი ბრძოლა არსებობს ორ ინსტიქტს — სიცოცხლის (სიყვარული) და სიკვდილის (ნგრევა) ინსტიქ-ტებს შორის.* სიკვდილის ინსტიქტის შედეგია როგორც თვით-ნგრევა, ასევე გარეგნული აგრესიის ფორმა. ამიტომ ომები კაცობ-რიობას მუდამ თან სდევს და ეს მკაცრი აუცილებლობაა. ამ მიგნე-ბამ ზ. ფროიდი აიძულა ადამიანის აგრესიულობის შენელების გზე-ბის ძებნა დაეწყო.

აღნიშნული საკითხის ერთ-ერთი გადაწყვეტა უკავშირდე-ბოდა ფროიდისავე თეორიას პიროვნების ცნობიერების სამსაფე-ხუროვანი სტრუქტურის შესახებ. *ამ თეორიის მიხედვით პიროვ-ნების ცნობიერება შეიცავს ქვეცნობიერის ემოციურ იმპულსს („იდი“), საკუთრივ პიროვნების თვითშეგნებას („ეგო“) და კულ-ტურით თავსმოხვეულ კომპონენტებს თვითშეგნებისა („სუპერ-ეგო“).* ამ ორ უკანასკნელ კომპონენტს („ეგო“ და „სუპერეგო“), ფროიდის აზრით, შეუძლიათ ორგანიზმის შინაგანი სურვილის, (ნდომის, სიამოვნების) („იდი“) გაკონტროლება და მოდიფიკაცია, კერძოდ, დააცხროს და ორიენტაცია შეუცვალოს აგრესიას[4].

ამ თეორიის ლოგიკური გაგრძელება იყო მოსაზრება ბავ-შვის აღზრდის შესახებ. ბავშვის აღზრდას შეეძლო ან დაემუხრუ-ჭებინა, ან, პირიქით, განევითარებინა აგრესია.

ამერიკულმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ ბავშვის აღზრდაში დიდი ყურადღება დაუთმო სოციალიზაციას. ა. ადლერი ამტკიცებ-და, რომ სოციალიზაციის პროცესში მშობლების დისციპლი-ნარული ზეგავლენის შედეგად ბავშვებს უვითარდებათ არასრულ-ფასოვნების კომპლექსი, რომლის დაძლევაც იწვევს ადამიანის

სნრაფვას ხელისუფლებისაკენ, რასაც აგრესიასთან მივყავართ. შემდგომ ამ იდეას ამა თუ იმ ფორმით ბევრი მეცნიერი იზიარებდა.

1930-40-იან ნლებში ეს იდეა აიტაცეს ამერიკელმა ანთროპოლოგებმა, რომლებმაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს პიროვნებისა და კულტურის შესნავლას. მათი იდეის მიხედვით, სოციალიზაციის გარკვეული ტიპის დროს ადამიანში გროვდება რისხვა და სიძულვილი, რომლებიც ეძებენ გამოსავალს და არც თუ იშვიათად მას ომში პოულობენ[5]. განავითარეს აგრეთვე *„მასკულინური პროტესტის"* თეორია, რომელიც არსებობდა ისეთ საზოგადოებებში, სადაც ვაჟის ძირითადი აღმზრდელი იყო დედა და მოზარდის გარე სამყაროში შესვლა ნაუცბათევად ხდებოდა. მოზარდი ვაჟებიც, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მათ აქვთ მამაკაცური თვისებები, რაც თავისთავად იწვევდა მათში აგრესიისა და ომისმოყვარულობის ზრდას.

ფრუსტრაციის თეორიის საფუძველი გახდა ზიგმუნდ ფროიდის კიდევ ერთი იდეა, რომლის მიხედვითაც სურვილების შეუსრულებლობით გამოწვეული გაღიზიანება და სასოწარკვეთილება ბავშვში აყალიბებს აგრესიას. საერთოდ რაიმე მიზეზის გამო განუხორციელებელი გეგმები ან მისწრაფებები იწვევს ადამიანის მრისხანებას, რომელიც, როდესაც გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, გარეგნული აგრესიით ვლინდებაბ. ზოგი მეცნიერის აზრით, ერთ-ერთი ასეთი მოვლენა, რომელიც ბავშვს დისკომფორტს უქმნის, არის ნაადრევი მოწყვეტა ძუძუდან.

აგრესიის ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით კვლევამ ფართო მასშტაბები მიიღო დასავლეთის მეცნიერთა შორის. 1930-

40-იანი წლებიდან კი ამერიკელ და ინგლისელ ფსიქოლოგებს შორის აგრესიამ, როგორც ბიოლოგიური ხასიათის მოვლენამ, უკვე დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. მეტი ყურადღება მიაქციეს კულტურის ფაქტორებს, განსაკუთრებით კი აღზრდის სისტემებს.

მალე ფროიდისა და მისი მიმდევრების ფსიქოანალიტიკური მოსაზრება მკაცრად გააკრიტიკეს უპირველესად იმის გამო, რომ, თუ აგრესიის ინსტიქტი ყოველ ადამიანს აქვს და თუ ის უნივერსალურია, ომებში მთელი მოსახლეობა უნდა იღებდეს მონაწილეობას, ასე კი არ ხდება, რომ აგრესიულ მოქმედებას ადამიანი ხშირად შეგნებულად და ციივი გონებით სჩადის და ა. შ. და საერთოდ, ჯგუფური კონფლიქტის პრობლემების გარკვევა არ შეიძლება ინდივიდუალური ფსიქოლოგიით.

ერთადერთი, ვინც ჯგუფის ქცევას ჯგუფური ფსიქოანალიზის მეთოდით მიუდგა, იყო ზ. ფროიდის მოწაფე *კ. იუნგი*, რომელმაც შექმნა ფსიქიკური ტიპის, არქეტიპის, რასული და კოლექტიური ქვეცნობიერის თეორია. მან წინ წამოსწია თითქოს და სისხლმოწყურებული კოლექტიური ქვეცნობიერების განთავისუფლება.

ზ. ფროიდის იდეა ინდივიდუალური ცნობიერების სტრუქტურის შესახებ კ. იუნგმა მექანიკურად გადაიტანა კოლექტიურ ცნობიერებაზე ისე, რომ მათ შორის თვისობრივი განსხვავება არ გაითვალისწინა. მაგრამ, მაინც, ჯგუფური ფსიქოლოგიის შესწავლამ ხელი შეუწყო ომის ზოგიერთი ასპექტის ახსნას.

უ. სამნერმა[7] დიდი სამსახური გაუწია ომის ანთროპოლოგიის განვითარებას, ჯერ კიდევ 1906 წელს ჯგუფის შიგნით და უცხოს მიმართ ქცევის დასახასიათებლად მან იხმარა *ეთნოცენტრიზმის და ორმაგი მორალური სტანდარტის ცნებები.* მასვე

ეკუთვნის აზრი იმის შესახებ, რომ მტრული გარემოცვა ან გარე აგრესია ხელს უწყობს საზოგადოების შიგნით დარაზმულობას, შეკავშირებას. მას შეცდომად ჩაუთვალეს ამ მოვლენისათვის უნივერსალური ხასიათის მინიჭება, მაგრამ თავად ომის მაინტეგრირებელი ფუნქციის იდეა გამართლებული აღმოჩნდა, თუმცა არა ყველა კონკრეტულ სიტუაციაში.

ინგლისელმა ანთროპოლოგმა *მ. გლაკმენმა*[8] უ. სამნერის თეორიას დაუპირისპირა *ლოიალურობის კონფლიქტის კონცეფცია*, რომლის მიხედვითაც ჯგუფთაშორისი ურთიერთობების გამწვავების დროს ორივე ჯგუფთან დაკავშირებული (ნათესაური და საქორწინო კავშირი) ადამიანები ან ერთ-ერთს ემხრობიან, ან ნეიტრალიტეტს იცავენ, ან მშვიდობისმყოფელთა მისიას კისრულობენ.

ეთნოცენტრიზმისა და ომის მაინტეგრირებელი ფუნქციის თეორია ეხმაურებოდა ფსიქოლოგების მიერ წინ წამოწეულ მრისხანების ჯგუფის გარეთ გატანის კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უდევს ფრუსტრაციის თეორიას. ორივე მიდგომა ერთსა და იმავე მოვლენას უსვამს ხაზს, კერძოდ იმას, რომ ჯგუფში მშვიდობის შესანარჩუნებლად ადამიანები ცდილობენ უკმაყოფილება, მრისხანება თავისი ჯგუფის გარეთ, მტრულად ან ფსევდომტრულად განწყობილ ჯგუფზე გადაიტანონ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ომისმოყვარეობის ხელშემწყობი ან შემაკავებელი ფსიქოლოგიური მექანიზმების შესწავლისას *ყურადღება მიაქციეს ჯგუფურ ქცევას.* გარდა ამისა, უნდა დავასახელოთ სხვა თეორიებიც. მაგ.: *უსახელმწიფო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პარანოიდული ეთნოსის თეორია; ფსიქოლოგიის, რელიგიისა და რიტუალის როლი*

ომის სხვადასხვა ეტაპზე, ასევე ევოლუციურ პერსპექტივაში. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგებმა ბევრი რამ გააკეთეს აღნიშნული საკითხის შესწავლით, ფსიქოლოგიურ მიდგომას მაინც ჰქონდა ნაკლი: *მათ ჯეროვნად ვერ შეაფასეს ან სრულიად უარყვეს ეთნიკური კონცეფცია.* ამ უკანასკნელს მხოლოდ კულტუროლოგიის ფარგლებში შეისწავლიდნენ.

აგრესიისა და ძალადობის ფენომენს შეისწავლიდნენ *ცხოველთა სამყაროშიც,* რადგან აგრესია არა მარტო ადამიანის, არამედ ცხოველების თვისებაცაა, და ამასთანავე უნივერსალური. ამიტომ მისი შესწავლა შეიძლება არა მხოლოდ კულტუროლოგიური, არამედ ბიოლოგიური თვალსაზრისითაც. 1960-იანი წლებიდან მეცნიერებაში გაჩნდა მიმდინარეობა, რომელიც ომს ადამიანთა საზოგადოებაში ხსნის იმავე პრინციპებითა და მექანიზმებით, რომლებიც განაპირობებენ შეტაკებებს ცხოველებში, ანუ ომისმოყვარეობა ადამიანმა მემკვიდრეობით მიიღო ცხოველთა სამყაროსაგან. *შეტაკებები და ბრძოლა ცხოველებში წარმოებს ჯიშის წარმატებული ადაპტაციისათვის, ამიტომ გადარჩენილი პოპულაციები თავისთავად არიან ძალიან აგრესიული წინაპრების მემკვიდრეები.* ამ თეორიას ბევრი მიმდევარი ჰყავდა. მისი შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კონცეფციას საფუძვლად უდევს ერთი მხრივ *ზ. ფროიდის თანდაყოლილი აგრესიის ინსტიქტი და მეორე მხრივ — ჩ. დარვინის, განსაკუთრებით კი სოციოდარვინიზმის, იდეები.*

კ. ლორენცის აზრით, აგრესიის ფუნქცია არის ტერიტორიულობის პრინციპი, რაც ხელს უწყობს პოპულაციის თანაბარ

განაახლებას, გამრავლებისათვის პარტნიორების შერჩევას, ნაშიერის დაცვას, სოციალურ ცხოველებში კი — რანგის მოპოვებას დომინირების სისტემაში".

მეცნიერებაში გავრცელებულია აზრი, რომ ომები არის ადამიანის ევოლუციის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ხელს უწყობს იმ უფრო მებრძოლი და სიცოცხლისუნარიანი ჯგუფების გადარჩენას, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი შინაგანი სოლიდარობით[10].

ასე რომ, როგორც აღნიშნავენ ადამიანის აგრესიულობის საფუძველი არის ადამიანის ბიოლოგიური არსი[11].

მაგრამ საკითხი, არის თუ არა აგრესიულობა აუცილებლად თანდაყოლილი ინსტიქტი, *მაინც საკამათოა.* კ. ლორენცი აგრესიას უკავშირებს ორგანიზმის შინაგან სტიმულს, რომელსაც არანებისმიერად, გარემო პირობებისაგან დამოუკიდებლად, წარმოქმნის თავად ორგანიზმის მოთხოვნილება. ეს მიდგომაც მრავალჯერ გააკრიტიკეს.

მეცნიერების ნაწილი კი თვლის, რომ როგორც ადამიანის, ასევე ცხოველების გარკვეული სახეობის პოტენციალის რეალიზაცია დამოკიდებულია *გარემო პირობებზე, რასაც ხელს უწყობს სწავლება.* საერთოდ, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა გარე სამყაროს, პირად გამოცდილებას და აღზრდის პრობლემებს.

ცხოველებში აგრესიულობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რიტუალიზაციას, რომელსაც სისხლის ღვრაზე არანაკლები ძალა აქვს. ასეთია სიმბოლური საშიშროება. ზოგიერთი ეთოლოგის აზრით, ადამიანის აგრესიაც თავდა-

პირველად გამოიხატებოდა რიტუალიზებული ფორმით და მას შედეგად არ მოჰყვებოდა დიდი სისხლის ღვრა. *ადამიანი არ ითვლება სამყაროს ყველაზე აგრესიულ ცხოველად*, თუმცა ზოგიერთს ის მაინც ასეთად მიაჩნია. კ. ლორენციისა და ნ. ტინბერგენის აზრით, ეს იმის შედეგია, რომ ადამიანის სოციოკულტურულმა ევოლუციამ გაუსწრო ბიოლოგიურ-გენეტიკურს. თავდაპირველად ადამიანს არ ჰქონდა არანაირი იარაღი და ტექნიკური საშუალება არც ადამიანის და არც მსხვილი ცხოველის მოსაკლავად. შესაბამისად, არც მოკვლის საწინააღმდეგო ბიოლოგიური მექანიზმი ჰქონდა. *კულტურის განვითარებასთან ერთად შეიქმნა მოკვლისთვის საჭირო იარაღი, ტექნიკა.* რასაც არ მოჰყვა დასამუხრუჭებელი ბიოლოგიური მექანიზმის ჩამოყალიბება. სწორედ ამან შეუწყო ხელი უკონტროლო სამხედრო ევოლუციას და თანამედროვე ადამიანი თერმობირთვული კატასტროფის წინაშე დააყენა — ასე ფიქრობენ ზემოთ ხსენებული ავტორები.

მაგრამ ამ მოსაზრებებს მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავს, ყველაზე სერიოზული კი ე. მონტეგიუ[12], რომელიც იზიარებს კოოპერაციის დიდ ევოლუციურ მნიშვნელობას, *მაგრამ ომს კი არ უკავშირებს, არამედ საკვების მოპოვებას, მტაცებლებისაგან თავის დაცვას*, ცოდნისა და სოციალური გამოცდილების სხვისთვის გადაცემას. ე. მონტეგიუს აზრით, ზომასგადასული აგრესია არაადაპტაციურია და შერჩევა ხდება არა ომისმოყვარეობის, არამედ ალტრუიზმის მიხედვით. ამასთანავე, ის განიხილავდა მხოლოდ ჯგუფური შერჩევის პრობლემას და არ ეხებოდა ინდივიდუალურს.

ძალადობისა და აგრესიის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის კულტუროლოგიას (ეთნოლოგიას), განსაკუთრებით ამერი-

კელ ანთროპოლოგს ლესლი უაიტს, რომელიც აგრესიის ინსტიქტის თეორიისა და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური კონცეფციის წინააღმდეგი იყო[13]. *მისი აზრით, ომი წარმოებს საზოგადოებებს და არა ინდივიდებს შორის. ამიტომ ამ საკითხს მხოლოდ კულტუროლოგიის თვალსაზრისით განიხილავდა. უ. ნიუკომბიც* აღნიშნავდა, რომ ინდივიდუალური მოტივაცია ვერ ხსნიდა, თუ რატომ აწარმოებს ომს საზოგადოება[14] და ახსნას ისიც კულტუროლოგიაში ეძებდა. მაგრამ ასეთ მიდგომასაც *უარყოფითი მხარე ჰქონდა*, რადგან შეფასებაცა და მიღებული კონცეფციებიც შესაძლოა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო. ასე მაგალითად, ომის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ბევრი ცხოვრებისეული ასპექტი, უპირველესად კი მატერიალური: დემოგრაფიული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური სტრუქტურა და ა. შ. ამ გზას მკვლევარი მიჰყავდა *ევოლუციურ და ფუნქციონალურ მიდგომასთან*. ამასთანავე, კულტუროლოგიური მიდგომა სტიმულს აძლევდა ეთნიკური კონცეფციისა და აღზრდის სისტემის ანალიზს, რომლებიც ან ხელს უწყობდნენ, ან, პირიქით, ეწინააღმდეგებოდნენ ომისმოყვარეობის განვითარებას. მიმართულება გამარტივებული სახით წარმოადგინა თავის ნაშრომებში *მ. მიდმა, რომელიც ომს თვლიდა „კულტურულ გამოგონებად"* და წერდა ამა თუ იმ საზოგადოებაში „ომის იდეის" არსებობა ან არარსებობაზე.

ასეა თუ ისე, *1950-60-იან წლებში ომის ანთროპოლოგიის ყველაზე აქტუალური საკითხი იყო ეთნიკური კონცეფციები*. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთ ხალხს აქვს სულიერი წარმოდგენების სპეციფიკური კომპლექსები, რომლებიც ხელს უწყობს ომისმოყვარეობის ზრდას. ყველაზე კარგად ეს ჩანს ისეთ

საზოგადოებებში, სადაც *მტრის „თავებზე ნადირობა" იყო აუცილებელი პირობა სხვადასხვა რიტუალის შესასრულებლად. ასეთი იყო ბავშვისთვის სახელის დარქმევა, ქორწინება, გლოვის დამთავრება*, ცერემონიალისთვის საჭირო სახლის მშენებლობა და საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივებაც. არსებობს ისეთი საზოგადოებებიც, რომელთა წევრებსაც გარკვეული სახის წარმოდგენები, მაგ.: ის, რომ ბავშვობაში „სული" მათ განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს და მომავალში უნდა გაამართლონ თავისი დანიშნულება, ხელს უწყობს მამაცი მეომრების ყოლაში. არის იმის მაგალითებიც, რომ საზოგადოებაში ომების აკრძალვამ გამოიწვია სერიოზული სოციოკულტურული კრიზისი, შობადობის მაჩვენებლის დაცემა, სოციალური სისტემის ნგრევა და ა. შ.

არსებობს *ომის ახსნის მატერიალური კონცეფციაც*, რომლის თანახმად ომს ანარმოებდნენ ამა *თუ იმ მატერიალური რესურსის მოსაპოვებლად*. მაგრამ გამოირკვა, რომ ეს უკანასკნელი ხშირად იყო ომის დაწყების მიზეზი კი არა, არამედ ომის თანმხლები შედეგი, თანაც, ხშირად მტრის ძარცვას რელიგია კრძალავდა. გარდა ამისა, ომს მხოლოდ მატერიალური დაინტერესებაც რომ ჰქონდეს, მისი მსვლელობის დროს შენარჩუნებულია საკითხი სხვადასხვა ეთნიკური კონცეფციებისა და ამა თუ იმ ქცევის ჩამოყალიბებაში მათი როლის შესახებ. საკითხი მით უფრო საყურადღებოა, რომ ამ კონცეფციების გარდა არსებობს სხვა, მშვიდობისმოყვარეობის მასტიმულირებელი კონცეფციები.

ასეა თუ ისე, ეთნოგრაფებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ სხვადასხვა პრიმიტიული საზოგადოება ერთმანეთისაგან

ომისმოყვარეობის სხვადასხვა ხარისხით განსხვავდება. ზოგი მათგანი საერთოდ ერიდება ნებისმიერ ძალადობას, რაც გამოიხატება მათ კულტურულ ღირებულებებსა და ორიენტაციაში.

ამიტომ გაჩნდა ე. წ. *„მშვიდობისმოყვარე“ ხალხის ცნება.* გ. ელიოტ-სმიტმა 1929 წელს თავის ნაშრომში15 გამოაქვეყნა ასეთი ხალხების — საზოგადოებების სია. ის ამ სიის შედგენისას არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებულ კრიტერიუმებს და ეყრდნობა სხვების ობიექტურ, ემოციურ შეფასებას, უფრო ხშირად არაპროფესიონალების. ამიტომ ამ სიაში ამა თუ იმ ხალხის მოხვედრა მისი ოპონენტების სამართლიან საყვედურს იწვევდა.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ *„მშვიდობისმოყვარე ხალხების“ კონცეფცია არ აკანონებს აბსოლუტური არააგრესიულობის თეზისს. საქმე ის არის, რომ ადამინთა საზოგადოებაში დიდი არჩევანია სრული პაციფიზმიდან ულმობელ სისხლის მღვრელობამდე და მეორეც, ბევრია დამოკიდებული გარემოცვაზე, რისი შეცვლაც იწვევს თანაფარდობის შეცვლას ომისა და მშვიდობისმოყვარეობას შორის. მესამეც, ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ, თუმცა მონადირეებსა და შემგროვებლებში სისხლისღვრამდე მისული შეტაკებები ხდებოდა, ისინი მაინც მეტი მშვიდობისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ ვიდრე უფრო მეტად განვითარებული საზოგადოებები.* მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკითხიც საკამათო გახდა. ის, ვინც მონადირეებსა და შემგროვებლებს შედარებით მშვიდობის მოყვარედ მიიჩნევს, ძირითადად გულისხმობს მათ მომთაბარე ჯგუფებს, რადგან ბინადარი მონადირეები, მეთევზეები და მომგროვებლები ომის ხასიათითა და მიზნებით ცოტათი თუ განსხვავდებიან მიწათმოქმედთაგან.

მშვიდობისმოყვარე ხალხები მიწათმოქმედთა შორისაც არიან. ზოგი ანთროპოლოგი ფიქრობს, რომ მშვიდობის შენარჩუნებას დიდად უწყობდნენ ხელს კულტურული ორიენტაციები, რომლებიც მშვიდობას უმაღლეს ღირებულებად ამკვიდრებენ. რადგან კულტურული ორიენტაციები და ღირებულებები მემკვიდრეობითია, თავისთავად წამოიჭრება მათი თაობიდან თაობაში გადაცემის, ანუ აღზრდის როლის საკითხი.

ე. მონტეგიუმ[6] შეისწავლა დამწერლობის არმქონე ბევრი საზოგადოება და აღმოჩნდა, რომ ამ „მშვიდობისმოყვარე" საზოგადოებებში ბავშვების აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა. მათზე ზრუნავენ და შესამჩნევ თავისუფლებას აძლევენ, ითვალისწინებენ მათ მოთხოვნებს და შეძლებისდაგვარად ასრულებენ, უნერგავენ მეგობრობისა და გულღიაობის გრძნობას, ასწავლიან განაწილებას და ურთიერთდახმარებას. ასეთ პირობებში ბავშვები თავს არ გრძნობენ დაჩაგრულად. უფროსები ცდილობენ, მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაცია თამაშად აქციონ. რა თქმა უნდა, ასეთ საზოგადოებაშიც ხდება დაპირისპირება, შეტაკება და აგრესია, მაგრამ მათ მიმართ დამოკიდებულება შესაბამისია — საზოგადოება ცდილობს, სწრაფად აღკვეთოს ნებისმიერი დაპირისპირება ისე, რომ დამნაშავე არ გამოავლინოს.

საინტერესოა, რომ ზოგიერთ საზოგადოებაში არც კი არის მეტოქეობის, პირადი წარმატების ან განდიდების განწყობა, ზოგან კი გამიზმულად უნერგავენ ბავშვებს შიშს ასეთი არაკეთილგანწყობილი ქცევის მიმართ.

მაგრამ ეს ყველაფერი ხდება თავად საზოგადოების შიგნით, ხოლო სხვისი, უცხოს მიმართ დამოკიდებულება სულ სხვანაირია.

და მაინც, ასეთი საზოგადოებები ძირეულად განსხვავდება იმ საზოგადოებებისაგან, სადაც მოწონებით სარგებლობს მეტოქეობა, ამბიციურობა და ომისმოყვარეობა.

კონფლიქტი სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში

კონფლიქტი სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში იჩენს თავს, იგი უნივერსალური მოვლენაა და ყოფის განუყოფელი ნაწილი.

კონფლიქტში ვლინდება გარკვეული მიზნების მქონე ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების უკმაყოფილება მათთვის არახელსაყრელი გარემოს მიმართ. ეს მაშინ ხდება, როდესაც თავს იჩენს ის სადავო საკითხები, რომელთა შესახებ მოლაპარაკება შეუძლებელი ან თითქმის შეუძლებელია. ამის შედეგია ადამიანთა ჯგუფების ისეთი ქცევა, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც ინდივიდებს, ასევე საზოგადოებებს, ერებს და ემუქრება მათ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ უშიშროებას[7].

საზოგადოებაში თავს იჩენს სხვადასხვა სახის კონფლიქტი. კონფლიქტის არსებითი ნიშანი არის ის, რომ იგი გარემო პირობებისა და პოლიტიკის შეცვლას მოითხოვს. ასევე კონფლიქტი საზოგადოებისა და მისი სოციალური სისტემის განვითარებაევოლუციის ნინაპირობაა მაშინაც, თუ მას კონსტრუქციული, სოციალურ-პოზიტიური დატვირთვა აქვს. მაგრამ ამის საპირისპიროდ არსებობს დესტრუქციული, საფრთხის შემცველი კონფლიქ-

ტიც. კონფლიქტთა ამ მიმართულებით კვლევა დაიწყეს ამერიკელმა სოციოლოგებმა, რომლებიც კონფლიქტს ახასიათებენ, როგორც *„სოციალურ დაავადებას“*. ამის საფუძველი იყო მოსაზრება, რომლის თანახმადაც ნებისმიერი სოციალური ჯგუფი ჰარმონიისა და სტაბილურობისაკენ მიისწრაფვის, ხოლო კონფლიქტი ანგრევს სოციალურ სტრუქტურას და, მაშასადამე, *მას დისფუნქციური ხასიათი აქვს.*

კონფლიქტი საერთოდ მრავალმხრივი სოციალური ფენომენია, იგი ადამიანის არსებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ის ბუნებრივი მოვლენაა და სხვადასხვა სოციალური გარემოების, იქნება ეს ინდივიდის შიდა ემოციური თუ სოციალური ჯგუფების ფსიქოლოგიური პროცესები, დამახასიათებელი თანმდევი ფენომენია. მისი მოქმედების არეალი, ვინრო პიროვნებათაშორისი ურთიერთობების გარდა, ისეთი სოციალური დაჯგუფებების თანმხლებია, როგორიცაა ოჯახი, გვარი, ნათესაობა, სოციუმი, სოფელი, ქალაქი, სახელმწიფო, კულტურები და ცივილიზაციებიც კი.

თვით ტერმინი „კონფლიქტი" უარყოფითი დატვირთვის მატარებელია. ამიტომ მას, ძირითადად, ისე აღიაქვამენ, როგორც დესტრუქციულ სოციალურ მოვლენას. მაგრამ, როგორც ცნობილია, მას არა მარტო დესტრუქციული დატვირთვა აქვს, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში პოზიტიური ფუნქციაც აკისრია.

კონფლიქტის თეორიის შეტანას დღის წესრიგში *სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს* უნდა ვუმადლოდეთ. სტრუქტურული ფუნქციონალიზმი საზოგადოებას განიხილავს როგორც ობიექ-

ტურ რეალობას, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული ნაწილებისაგან, საზოგადოების განვითარებაში სხვადასხვა ფუნქციას რომ ასრულებენ. მათი განვითარება და ფუნქციონირება შეიძლება მხოლოდ „შიგნიდან" აიხსნას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით.

თავად სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს საფუძველი ჩაუყარა *ფუნქციონალიზმმა*. ტერმინი „ფუნქციონალიზმი" სოციალური ფენომენების ასახსნელად საფრანგეთში პირველად იხმარა *ო. კონტმა* და ინგლისში *გ. სპენსერმა*. ფუნქციონალური მიდგომის განვითარებას დიდი ღვაწლი დასდო ფრანგმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა *ე. დიურგჰეიმმა*. იგი თვლიდა, რომ ფუნქციონალური ანალიზი სოციოლოგიური კვლევის აუცილებელი კომპონენტია, რომ ფუნქცია არის საზოგადოების, როგორც მთლიანის, ობიექტური კავშირი მოვლენასა და განსაზღვრულ მდგომარეობას შორის. მან ერთმანეთისგან გამიჯნა შედეგობრივი და ფუნქციონალური ახსნა. ფუნქციონალურ ანალიზს განიხილავდა როგორც სოციალური კვლევის აუცილებელ კომპონენტს, რომელსაც უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რა როლს ასრულებს ესა თუ ის სოციალური მოვლენა „საერთო ჰარმონიის" (სოციალური სოლიდარობის) ჩამოყალიბებაში.

ფრანგულმა ფუნქციონალურმა იდეებმა განვითარება ჰპოვა ინგლისელ სოციალურ ანთროპოლოგებს (ეთნოლოგებს) შორის (ა. რადკლიფფ-ბრაუნი, ბ. მალინოვსკი, ე. ევანს-პრიტჩარდი და სხვ.) ფუნქციონალიზმის ბ. მალინოვსკისეულმა განსაზღვრებამ დიდი როლი ითამაშა საზოგადოების მთლიანობის ახსნაში, ანუ ესა თუ ის სოციალური მოვლენა (ინსტიტუტი, წეს-ჩვეულება და სხვ.) რა როლს თამაშობს კულტურის სისტემის მთლია-

ნობაში და სხვადასხვა სოციალური მოვლენები რა საშუალებით არიან ურთიერთშეთანხმებული.

იმის გამო, რომ კულტურის ყოველი ფენომენი აკმაყოფილებს ამა თუ იმ მოთხოვნას (ბიოლოგიურს ან კულტურულს) მას უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქცია.

ა. რადკლიფფ-ბრაუნი კი უარყოფდა, რომ ყოველი სოციალური ფენომენი აუცილებლად ასრულებს რაიმე ფუნქციას. ის ცნებას „ფუნქციონალიზმი" განიხილავდა, როგორც მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს — „სამუშაო ჰიპოთეზას", რომელიც აუცილებელი იყო კვლევის შედეგების ფორმულირებისათვის. ანუ მისი გაგებით ნებისმიერმა სოციალურმა მოვლენამ სოციალური სისტემის მიმართ შეიძლება შეასრულოს ესა თუ ის ფუნქცია.

გარკვეული წარმატების მიუხედავად, ფუნქციონალიზმი გააკრიტიკეს *წონასწორობის თეორიის* მიმართ ორიენტაციის, სისტემათა სტაბილურობისადმი გამორჩეული ინტერესის და უნივერსალური ფუნქციონალურობის პრინციპის გამო. ასეთი მიდგომა კვლევის მილმა ტოვებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ასპექტებს, როგორიცაა კონფლიქტი, ცვალებადობა და ა.შ.

ფუნქციონალურმა მიდგომამ შემდგომი განვითარება ჰპოვა *სტრუქტურულ ფუნქციონალიზმში* (აშშ). სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თანახმად, სისტემის ერთ ელემენტს მრავალი ფუნქციის შესრულება შეუძლია, ხოლო ერთი ფუნქცია შესაძლოა სხვადასხვა ელემენტით განხორციელდეს.

ობიექტივისტური შეხედულება სოციალური სტრუქტურის შესახებ გულისხმობს სოციალური ფაქტებისაგან შემდგარ საზოგადოებას, როგორც ობიექტურ რეალობას. *სოციალურ ფაქტებს*

შორის მყარ კავშირებს სოციალური სტრუქტურები ეწოდება, რომლებიც შეთანხმებულ ჰარმონიულ არსებობას გულისხმობენ.

რობერტ კინგ მერტონმა, სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიმდინარეობის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა სოციოლოგიაში, გააკრიტიკა ფუნქციონალიზმის შეხედულება იმის შესახებ, *რომ სისტემის ყველა ნაწილის ურთიერთქმედება საკმაოდ ჰარმონიულია და ეს მოქმედებები არ იწვევენ წინააღმდეგობას ანუ კონფლიქტს*[18]. *რ. მერტონის აზრით, ამის წარმოდგენა მხოლოდ თეორიულად შეიძლება, რეალობა კი სულ სხვაგვარია. მას მიაჩნია, რომ ის, რაც ფუნქციონალურია სისტემის ერთი ნაწილისათვის, დისფუნქციონალურია მეორისათვის და პირიქით.* გარდა ამისა, ფუნქციონალური ერთობის პრინციპი გულისხმობს საზოგადოების სრულყოფილ ინტეგრირებას, რაც ემყარება გარემო პირობებთან სრულყოფილი ადაპტაციის მოთხოვნებს და რაც, ბუნებრივია, რეალურად შეუძლებელია. ასეთი კრიტიკის საფუძველზე მას შემოაქვს ცნება *„დისფუნქცია", რომელიც ასახავს სისტემის ერთი ნაწილის მეორეზე ზემოქმედების ნეგატიურ შედეგებს და, ამავე დროს, უჩვენებს ამა თუ იმ სისტემის ინტეგრაციის ხარისხს.* რ. მერტონმა სისტემის ინტეგრაციაში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად გამიჯნა უარყოფითი მოქმედება და *„აშკარა"* და *„ლატენტური"* ფუნქცია. ეს განსხვავება ყურადღებას ამახვილებს ფუნქციის ობიექტურ ხასიათზე, ყალიბდება მკვეთრად განსხვავებულ სუბიექტურ მოტივებსა (განზრახვა, მიზანი და მისთ.) და მოქმედების ობიექტურ შედეგებზე დაყრდნობით.

„აშკარა ფუნქცია" არის მონაწილეების განზრახვაში შემავალი და გაცნობიერებული მოქმედების შედეგებზე ობიექტური

დაკვირვება, ხოლო *„ლატენტური ფუნქცია"* — მონაწილეების მიერ არგანზრახული და გაუცნობიერებელი მოქმედების შედეგებზე ობიექტური დაკვირვება.

ამ გამიჯვნით რ. მერტონმა გამოკვეთა „ლატენტური ფუნქციის" მნიშვნელობა, რომელთან მიმართებით „აშკარა ფუნქციის" შესწავლამ უნდა შეასრულოს დამატებითი, *დაქვემდებარებული როლი.*

რ. მერტონი არ უარყოფს ტ. პარსონსის ძირითად დებულებებს, რომ საზოგადოება არის ობიექტური რეალობის განსაკუთრებული სახე, რომ ინდივიდების მოქმედებები რაციონალური და შეგნებულად მოტივირებულია[19]. მაგრამ დაასკვნის, რომ სოციალური სტრუქტურა დიფერენცირებულია და ამან შეიძლება გამოიწვიოს სოციალური კონფლიქტები. ამასთანავე, ისინი ხელს უწყობენ როგორც სტრუქტურის ელემენტების, ასევე თვით სტრუქტურის ცვალებადობას.

ასეთი კრიტიკა იმდენად აქტუალური აღმოჩნდა, რომ თავისთავად მოითხოვა სოციალური კონფლიქტის პრობლემის განხილვა.

კონფლიქტის თეორიის შემუშავებას სათავე დაუდო ლუის ალფრედ კობერმა ნაშრომით „სოციალური კონფლიქტის ფუნქცია"[20], რომელშიც იგი წესრიგს და კონფლიქტს განიხილავს როგორც ორ თანასწორ სოციალურ პროცესს.

ლ. კობერის აზრით, კონფლიქტის პრობლემა ყოველთვის იყო სოციოლოგიის კლასიკოსთა მხედველობის არეში. ლ. კობერი განსაკუთრებით ეყრდნობა გერმანელი სოციოლოგის, ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის *გ. ზიმელის კონცეფციას, რომ კონ-*

ფლიქტს, როგორც სოციალურ მოვლენას აქვს არა ცალმხრივი — მხოლოდ პოზიტიური ან მხოლოდ ნეგატიური შედეგი, არამედ ორივე — როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური. სწორედ ეს იყო გ. ზიმელის დამსახურება, რასაც სხვა სოციოლოგები უარყოფდნენ. ისინი კონფლიქტის მხოლოდ ნეგატიურ მხარეს ააშკარავებდნენ და ივიწყებდნენ მის პოზიტიურ შედეგს.

სტრუქტურულმა ფუნქციონალიზმმა საზოგადოების განვითარების თეორიებში წინ წამოსწია კონფლიქტის საკითხი. კონფლიქტური სიტუაციებისადმი ყურადღების გამახვილებას უნდა ვუმადლოდეთ საუკუნის დასაწყისის სოციოლოგებს.

ტ. პარსონსის თეორიის შემდეგ ამერიკელმა სოციოლოგებმა დაიწყეს საზოგადოების ინტენსიური კვლევა. *კვლევის მიმართულება ეწინააღმდეგებოდა ფუნქციონალურ თეორიას.* კონფლიქტის, როგორც თანამედროვე საზოგადოების საფუძვლის შესახებ, მწვავე კრიტიკა გაჩაღდა ვისკონტის უნივერსიტეტში, რომელიც დაკომპლექტებული იყო გერმანელი ემიგრანტებით. ისინი კვლევის კონსერვატიულ საშუალებად თვლიდნენ ფუნქციონალიზმს, რომელიც ეთანხმება არსებულ მდგომარეობას, მხედველობაში არ იღებს ცვლილებებს და ამტკიცებს, რომ საზოგადოება არსებობს დინამიურ წონასწორობაში და ეს მაშინ, როდესაც, მათი აზრით, ცხოვრება არის ჯგუფების დაუსრულებელი შეჯიბრი და კონფლიქტი მათ შორის.

გერმანელმა სოციოლოგებმა, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეს ნაციზმი, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესები ნორმიდან გადახვევად კი არ ჩათვალეს, არამედ სოციალური ცხოვრების რიგით პერიოდად. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელი *რალფ დარენდორფი ამტკიცებდა, რომ კონ-*

ფლიქტი არის საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი. იგი კრიტიკულად მიუდგა კ. მარქსისა და მ. ვებერის ინტერპრეტაციას და ომის შემდგომი საზოგადოების განსაკუთრებული პირობების გამო იქ შეუძლებლად მიიჩნია მარქსისტული ინტერპრეტაცია. მან კლასების კონფლიქტი განიხილა როგორც ჯგუფის, ან საერთოდ კერძო, შემთხვევა, რადგანაც, მისი აზრით, კლასი ზოგადად ყალიბდება არა წარმოების ან საკუთრების ფენომენის გავლენით, არამედ განანილებისა და გაბატონების გამო.

რ. დარენდორფმა თავიდანვე არ უარყო ტ. პარსონსის თეორია. მისი აზრით, ნებისმიერ თეორიას საქმე აქვს სხვადასხვა პრობლემის ერთობლიობასთან და არ შეიძლება ერთი სისტემური თეორიით მივუდგეთ ყველა რეალობას. ამიტომ *ის თვლიდა, რომ კონფლიქტური მოდელით, ფუნქციისა და შეთანხმების საპირისპიროდ, ყურადღებას ამახვილებდა უპირველესად დისფუნქციაზე. რ. დარენდორფისთვის სამყაროს სოციალური სურათი არის ბრძოლის ველი.* ჯგუფები ქმნიან ალიანსებს და ერთმანეთთან ბრძოლით კიდეც ანგრევენ მათ. „ობიექტური ინტერესები სამყაროში წარმოქმნის პოტენციურ კონფლიქტურ ჯგუფებს, რომლებსაც *ის კვაზი-ჯგუფებს (მოჩვენებით ჯგუფებს) უწოდებდა.* განსაკუთრებულ პირობებში კვაზი-ჯგუფი შეიძლება გახდეს კონფლიქტური. იგივე პირობები სხვა ჯგუფთან განსხვავებულ ფორმებს გვაძლევს" და განაპირობებს კონფლიქტის შედეგებს.

რ. დარენდორფის თეორიულ ანალიზში შეიძლება გამოიყოს ორი ურთიერთდაკავშირებული დონე:

1. ძირითადი თეორიული დებულება: გარკვეული როლის მატარებელი სტრუქტურა ერთდროულად წარმოქმნის როგორც სოლიდარულ, ასევე კონფლიქტურ ინტერესებს.

2. კონფლიქტის მაპროდუცირებელ მოვლენათა აღწერა, დამყარებული ემპირიული მასალის განზოგადებაზე.

გერმანელი სოციოლოგი *მაქს ვებერი* სოციალური მოქმედების (ანუ როდესაც ჩანაფიქრი შეეფარდება სხვა ადამიანების მოქმედებას და ორიენტაციაც მათკენ აქვს მიმართული) ოთხ ტიპს გამოყოფს:

1. მიზანრაციონალური — გარე სამყაროში არსებული საგნები და სხვა ადამიანები განიხილება როგორც საკუთარი მიზნის მისაღწევად საჭირო რაციონალურად ორიენტირებული მოქმედებების პირობები ან საშუალებები;

2. ღირებულებით რაციონალური — ეს ტიპი განისაზღვრება ღირებულების, ქცევის, როგორც ასეთის, საშუალების განსაზღვრის შეგნებული რწმენით, მიუხედავად საბოლოო შედეგისა;

3. ეფექტური — განისაზღვრება უშუალოდ ემოციებით;

4. ტრადიციული — საფუძვლად უდევს ჩვევა, ტრადიცია. უფრო მაღალი კატეგორიისაა სოციალური მოქმედება, ანუ ურთიერთორიენტირებული სოციალური მოქმედებების მყარი კავშირი; სოციალურ მოქმედებათა მაგალითებია ბრძოლა, მტრობა (მტრული განწყობა), სიყვარული, მეგობრობა, კონკურენცია, გაცვლა და ა. შ.[21]

ვებერის აზრით, არ შეიძლება კონფლიქტი გამოირიცხოს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. „სამყარო არის კონფლიქტის ფორმების ან კონფლიქტში მონაწილე დაპირისპირებული მხარეების ან კონფლიქტის მიზნების ან, უკიდურეს შემთხვევაში, არჩევანის შესაძლებლობების ცვალებადობა (ცვლილება)"[22].

მაქს ვებერის მოწაფემ, ამერიკელმა სოციოლოგმა *ტ. პარსონსმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის მექანიზმების კვლევას.* იგი ცდილობდა შეექმნა გარემომცველ სამყაროსთან ადამიანის ურთიერთობის მექანიზმების ფუნდამენტური თეორიულ-ლოგიკური სისტემა, რომლის საფუძველი იყო „მოქმედების თეორიის" (იგულისხმება სოციალურ გარემოში მოქმედება) აგება[23]. *„მოქმედების თეორიამ"* დიდი გავლენა მოახდინა სოციალური ანთროპოლოგიის (ეთნოლოგიის) განვითარებაზე. *ტ. პარსონსი ადამიანის მოქმედებას წარმოიდგენს როგორც თვითორგანიზებად დინამიურ სისტემას, რომლის ძირითადი კომპონენტებია „მოქმედი" (ინდივიდი ან ჯგუფი, რომელიც მოქმედებს) და „სიტუაცია" (გარე ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ გარემოს, სადაც ხდება მოქმედება).* ის ერთმანეთისაგან განასხვავებს ბიოლოგიურ-ფიზიკურ და სოციალურ ქმედობებს. ქმედობის მოტივაცია განსაზღვრულია მოქმედის მისწრაფებით, დაიკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნილებები, ამავე დროს, მას აქვს შეფასების უნარი.

ტ. პარსონსი თავის ნაშრომებში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სოციალური დარაზმულობის, ცვლილებების მიმართ, რადგან ამ დროს მეტია მუქარა. მკვლევარის ყურადღება მიპყრობილი იყო არა რაციონალური, არამედ არარაციონალური ინტერესების შეჯახებისკენ, რადგან ამგვარ ინტერესთა დაპირისპირებისას შეუძლებელია მოლაპარაკება და სოციალური კონტაქტი. ტ. პარსონსი კონფლიქტს განიხილავდა როგორც მოვლენას, რომელიც თავიდანვე იწვევს ნგრევას და არღვევს სისტემას, მის ფუნქციონირებას.

ტ. პარსონსის მიერ კონფლიქტის კვლევა ძირითადად ემყარებოდა რასისტულ და რელიგიურ წინააღმდეგობებს. ამი-

ტომ კონფლიქტს პარსონსისათვის მხოლოდ უარყოფითი დატვირთვა აქვს და მას უფრო ხშირად უწოდებს „დაძაბულობას“.

ტ. პარსონსი კონფლიქტს მიიჩნევს დამანგრეველ, მხოლოდ დესტრუქციული თვისებების მქონე მოვლენად და საზოგადოების განვითარების პროცესში ავადმყოფობის ისეთ ენდემურ ფორმად, რომლის თავიდან აცილება ძალიან რთულია. მას ეკუთვნის *„სოციალური წესრიგის“* იდეა. ამ იდეის მიხედვით, კონფლიქტს სჯაბნის შეთანხმება. მან შეადგინა კონცეპტუალური სქემა, რომლის ბირთვს წარმოადგენდა პიროვნული დახასიათებით შენიღბული და კულტურით შემოფარგლული სოციალური სისტემების ურთიერთქმედების პროცესი[24].

გ. ლუნდბერგისათვის კონფლიქტი განმაკავშირებელი და ნეგატიური მოვლენაა. იგი ახასიათებს მას „როგორც კავშირის გაწყვეტას ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის“. რადგანაც გ. ლუნდბერგის აზრით კავშირი წარმოადგენს სოციალური პროცესის ძირითად არსს, განონასწორებას ანუ ნორმას, ხოლო კონფლიქტური სიტუაციების მახასიათებელი კი არის თავის არიდება გარკვეული სახის კავშირისაგან, *კონფლიქტი მისთვის წმინდა დისფუნქციონალური მოვლენაა*[25].

სხვანაირად უდგება ამ პრობლემას *გ. ზიმელი.* მისი ძირითადი თეზისია მოსაზრება, რომ *„კონფლიქტი არის სოციალიზმის ერთ-ერთი ფორმა“*, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური ჯგუფი არ შეიძლება იყოს სავსებით ჰარმონიული. სხვაგვარად იგი მოკლებული იქნებოდა სტრუქტურასა და განვითარების პროცესს. *ჯგუფისათვის დისჰარმონია ისეთივე აუცილებელი რამ არის, როგორც*

ჰარმონია; ასოციაცია ისევე საჭიროა, როგორც დისოციაცია. მაშასადამე, კონფლიქტს არა აქვს მხოლოდ დამანგრეველი ფუნქცია. ჯგუფის ჩამოყალიბება ორივე ზემოაღნიშნული მოვლენის შედეგია. მოსაზრება, რომ ერთი პროცესი ანგრევს მეორეს, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან *ჯგუფში ურთიერთობების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს როგორც „პოზიტიური", ისე „ნეგატიური" ფაქტორები.* კონფლიქტს, ისევე როგორც თანამშრომლობას, აქვს გარკვეული სოციალური ფუნქციები. ჯგუფში ამა თუ იმ ხარისხის კონფლიქტის არსებობა არ არის მაინცდამაინც დისფუნქციონალური მოვლენა და იგი ჯგუფის ჩამოყალიბებისა და მისი ცხოვრებისუნარიანობის შენარჩუნების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია.

გ. ზიმელი მიიჩნევს, რომ კონფლიქტს შემდეგი პოზიტიური ფუნქციები აქვს.

1. კონფლიქტი სოციალურ სისტემებში ქმნის საზღვრებს ჯგუფებს შორის ჯგუფური ცხოვრებისა და თვითმყოფადობის გრძნობის გაძლიერების გზით და, აქედან გამომდინარე, აყალიბებს ჯგუფის ინდივიდუალობას სოციალური სისტემის შიგნით.

2. „ურთიერთგანზიდვები" ხელს უწყობს სოციალური სისტემის შენარჩუნებას მის სხვადასხვა ჯგუფებს შორის წონასწორობის დამყარების გზით[26].

ლ. კოზერის მიხედვით, კონფლიქტი, როგორც სოციალური პროცესი, შეიძლება იყოს სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბების და სტანდარტიზაციის ხელშემწყობი ინსტრუმენტი. კონფლიქტი ხელს უწყობს ჯგუფებს შორის საზღვრების დადგენასა და შენარჩუნებას, ჯგუფის იდენტურობის რეანიმაციას და იცავს მას ასიმილაციისაგან.

ასე რომ, ტერმინი „კონფლიქტის თეორია“ გაჩნდა 1956 წელს როგორც ტ. პარსონსის „წესრიგის თეორიის“ ალტერნატივა.

გ.სორელი[27] აღიარებს, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი კონფლიქტსა და ჯგუფურ დარაზმულობას შორის. იგი თვლის, რომ *ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს თავის ინდივიდუალობასა და თვითმყოფადობას, თუ დაუპირისპირდება რომელიმე სხვა ჯგუფს.* ეს ეხება არა მხოლოდ სოციალურ ფენებს, არამედ ეთნიკურ ჯგუფებსაც, რომლებიც დომინანტური ერის გარემოცვაში არსებობენ.

კ. მარქსის[28] მიხედვით სოციალური კლასები თავის ადგილს კონფლიქტთა მეშვეობით იმკვიდრებენ. პიროვნებებს საზოგადოებაში შეიძლება ჰქონდეთ ობიექტურად საერთო პოზიციები, მაგრამ საკუთარი ინტერესების ერთიანობის გაცნობიერებას ისინი მხოლოდ კონფლიქტურ სიტუაციაში ჩაბმის მერე იწყებენ. „ცალკეული ინდივიდები შეადგენენ კლასს იმდენად, რამდენადაც ისინი იძულებულნი არიან ერთობლივი ძალით ებრძოლონ სხვა კლასს, სხვა ეთნიკურ ჯგუფს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ, როგორც კონკურენტებს, ერთმანეთთან მტრული დამოკიდებულება ექნებათ“.[29]

გარკვეულწილად მსგავს აზრს ავითარებს *გ. ზიმელი*[30], როდესაც თვლის, რომ მტრობა და ურთიერთანტაგონიზმი აძლიერებს საერთო სისტემას, აწესრიგებს თანაფარდობას მის შემადგენელ ნაწილებს შორის. ამის მიზეზია ის, რომ ერთი ჯგუფის წევრები, გამომდინარე მათი საერთო მტრული დამოკიდებულებიდან და და-

პირისპირებიდან სხვა ჯგუფების მიმართ, ერთიანდებიან სოლიდარობის გრძნობით, ასეთი გზით კი შენარჩუნებული იქნება ერთი საზოგადოების შიგნით არსებულ პოზიციათა იერარქია მასში შემავალი სხვადასხვა ქვეჯგუფების წევრთა ანტიპათიის მიუხედავად.

სოციოლოგები თვლიან, რომ განსხვავება ჯგუფებს შორის „ჩვენ"-„ისინი", იქნება ეს ერთი ჯგუფის შიგნით თუ გარე ჯგუფებთან მიმართებით, მყარდება მხოლოდ კონფლიქტის დროს. ეს ეხება არა მხოლოდ კლასობრივ კონფლიქტს, არამედ ფენობრივსაც, ეთნიკურსაც და პოლიტიკურსაც.

სოციალური სისტემისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური მობილურობა ამ სისტემის შიგნით. საზოგადოებრივი ჯგუფების დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ ხშირად მტრულია, უფრო მეტიც: სისტემის სტრუქტურას, საზოგადოებრივი მდგომარეობის გრადაციებს სწორედ ურთიერთანტაგონიზმის გრძნობა ინარჩუნებს.

ანტაგონიზმი რომ არა, სხვადასხვა საზოგადოებრივი სტატუსის მქონე ჯგუფები გაქრებოდა მათსა და გარე სამყაროს შორის საზღვრების მოშლის გამო. მაგრამ საზღვრები არ მოიშლება, რადგან მსგავსი საზოგადოებების იდეალს წარმოადგენს ზემოთ მიმართული სოციალური მობილურობა (ანუ დაბალი კლასების წარმომადგენლები ცდილობენ, რომ მოხვდნენ საზოგადოებრივი მდგომარეობით უფრო მაღალ კლასში).

იბადება კითხვა: რა იწვევს ერთი ჯგუფის მტრულ გრძნობას, მტრულ დამოკიდებულებას მეორის მიმართ? როგორც ნე-

სი, პრივილეგიებისა და უფლებების არათანაბარი განაწილება. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კონფლიქტი და მტრული გრძნობა არ არის იდენტური ცნებები. კონფლიქტი, მტრული გრძნობისა და მტრული დამოკიდებულებისაგან განსხვავებით, თავს იჩენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ორი ან მეტი პირის ურთიერთქმედებასთან. მტრული დამოკიდებულება არის წინასწარგანწყობა, მიმართული კონფლიქტური ქცევის გამოვლენისაკენ; *კონფლიქტი კი ყოველთვის ქმედობაა, რომელიც სცილდება გარკვეულ საზღვრებს.*

მტრული დამოკიდებულების კონფლიქტად გადაზრდას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად კანონიერად ან არაკანონიერად არის უფლებები განაწილებული.

სანამ უარყოფითად და დადებითად პრივილეგირებულ ჯგუფებს შორის ჩამოყალიბდება კონფლიქტი და მტრული დამოკიდებულება გადაიზრდება სოციალურ მოქმედებად, უარყოფითად *პრივილეგირებულმა ჯგუფმა უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ იგი მართლაც უარყოფითად არის პრივილეგირებული. იგი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი უფლებები სრულიად შელახულია* ანდა უარყოს პრივილეგიებისა და უფლებათა განაწილების არსებული წესი. აღსანიშნავია, რომ, როდესაც სოციალური სტრუქტურა აღარ ითვლება კანონიერად, ერთნაირი მიზნების, მაღალი თვითცნობიერებისა და საერთო ინტერესების მქონე ინდივიდები, ჯგუფებად სწორედ კონფლიქტის საშუალებით ერთიანდებიან.

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ზოგადი დებულება, რომ ერთი ჯგუფის კონ-

ფლიქტი სხვა ჯგუფთან ან ჯგუფებთან ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფის თვითგამორკვევასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

კონფლიქტს აქვს ჯგუფის შემკვრელი ფუნქცია იმდენად, რამდენადაც იგი ურთიერთობათა სისტემებს არეგულირებს. ჯგუფის ერთი წევრის ოპოზიციური დამოკიდებულება მეორის მიმართ არ წარმოადგენს აუცილებლად ნეგატიურ ფაქტორს თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი დამოკიდებულება, გარკვეულწილად, შეიძლება ურთიერთობის ერთადერთი საშუალება იყოს და ამით ხელი შეუშალოს ჯგუფის დაშლას, ამ ჯგუფიდან ოპოზიციურად განწყობილი მონაწილეების გასვლას.

ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაგროვილი მტრული ან აგრესიული ურთიერთობები შეიძლება მიმართულ იქნას არა მხოლოდ მტრული დამოკიდებულების ამოსავალი ობიექტების, არამედ მათი შემცვლელი, ე. წ. ერზაც-ობიექტებისაკენაც. ეს იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ, გარკვეული მიზეზების გამო, ითრგუნება კონფლიქტური მოქმედება მისი გამომწვევი ობიექტების მიმართ. მიუხედავად ამისა, კმაყოფილების გრძნობა შეიძლება მოჰყვეს ერზაც-ობიექტებისაკენ მიმართული დაძაბულობის განტვირთვასაც. ეს კი ხელს უწყობს ადრე არსებული ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნებას. ამასთან, აუცილებელია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მტრული დამოკიდებულება და მისი გამომჟღავნება ქცევის საშუალებით, რაც შეიძლება სამი სახით გამოვლინდეს.

1. მტრული დამოკიდებულების უშუალო გამომჟღავნებით კონკრეტული პირის ან ჯგუფის მიმართ;

2. მტრული დამოკიდებულებების ერზაც-ობიექტებზე გადატანით;

3. დაძაბულობის განსატვირთავად განხორციელებული ისეთი ქმედობებით, რომლებიც არ საჭიროებს ობიექტს ან ერზაც-ობიექტს.

კონფლიქტოლოგიაში შემუშავებული *„დამცველი სარქველების"* თეორიის არსი ის არის, რომ კონფლიქტის მიზანი მტრული დამოკიდებულების განტვირთვაა. დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთობის გართულების თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა გვქონდეს. ე. წ. *„დამცველი სარქველები", იგივე ერზაც-ობიექტები, რომლებისკენაც იქნება მიმართული აგრესია.* თუ ასეთი ობიექტები არ არის, აუცილებელია მათი ხელოვნურად შექმნა. ეს იძლევა კონფლიქტის კონტროლის საშუალებას. კონტროლირებადი კონფლიქტი კი მასში მონაწილეთა წრეში „განმუხტავს ატმოსფეროს" და მხარეთა შორის ურთიერთობების აღდგენის საშუალებას იძლევა. ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ ღია, გამოხატული აგრესია ფარულზე ნაკლებ საშიშია. ამიტომ, კონფლიქტი არ არის ყოველთვის დისფუნქციონალური, ხშირად იგი საჭიროც კია ურთიერთობების განსავითარებლად[31].

„კოფლიქტის თეორია" რეალურად ჩამოყალიბდა 1961 წელს, როდესაც ლონდონში გამოვიდა ინგლისელი სოციოლოგის ჯონ რექსის ნაშრომი სოციოლოგიური თეორიის ძირითადი პრობლემების შესახებ[32].

ჯ. რექსი ცდილობდა დაემტკიცებინა ტ. პარსონსის თეორიის ცალმხრივობა და შექმნა საკუთარი, საზოგადოებრივი ცხოვრე-

ბის სხვა, საპირისპირო მხარის, მოდელი, სადაც მოქმედება ინსტრუმენტულია, წესრიგი ძალადობითი, ურთიერთობა — კონ-ფლიქტური. სრული ინტეგრაციის არარსებობა ჯ. რექსისთვის არის არა „უნესრიგობის", არამედ საზოგადოების ორ ან მეტ კონ-ფლიქტური მისწრაფებების მქონე ჯგუფად დაყოფის მაჩვენებე-ლი. მეცნიერის აზრით, ნებისმიერი სოციალური სისტემა შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ პირობებში, როდესაც შეზღუდულია რესურსები. ამიტომ სისტემას უნდა ჰქონდეს მათი განაწილების მექანიზმი: რესურსების ეკონომიკური განაწილება სოციალური სისტემის სხვადასხვა უბნის სათანადო შესაძლებლობების გათვალისწინე-ბით; ძალაუფლების განაწილება ეკონომიკური განაწილების სის-ტემაში ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად; ძალაუფ-ლების განაწილების ლეგიტიმურობის დამცავი ღირებულებები და ბოლოს — რელიგიური რწმენა და რიტუალები, როგორც ღირე-ბულებითი დანიშნულების მკაცრი დაცვის პროდუქტი.

ამგვარად, ინტეგრაცია არის განმანაწილებელი პროცესების შედეგი. ადამიანებს შორის კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ღირებულების გარშემო გაერთიანება უკვე აღარ კმარა, აუცილე-ბელი ხდება შეთანხმება სხვა წარმმართველ საკითხებშიც. მაგრამ კონფლიქტი შეიძლება მაინც მოხდეს, დავუშვათ იმ მიზეზით, რომ მოცემულმა საზოგადოებამ არათანასწორი საშუალებები და წახ-ალისებები წარმოადგინოს.

ასეთმა თვალსაზრისმა ჯ. რექსი სრულიად ბუნებრივად მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სოციალური წესრიგი არის განაწ-ილებაზე კონტროლის დამწესებელი გარკვეული ჯგუფის მიერ თავისი უფლებების დაცვის შედეგი. და რადგანაც ინტეგრაცია

სხვა არაფერია, თუ არა ღირებულებით-ნორმატიული სფეროს თანამდევი პროდუქტი, ამდენად ნორმები აუცილებელია მხოლოდ განანილებაზე კონტროლისათვის მებრძოლი ჯგუფების შიდა ინტეგრაციის შესანარჩუნებლად. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი ცვლილება დეტერმინირებულია (განსაზღვრულია) ხელისუფლებასთან სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებით.

ჯ. რექსის აზრით, ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში კონფლიქტს ეთმობა ცენტრალური ადგილი, წესრიგი კი ხასიათდება ერთ-ერთი მხარის გამარჯვების შედეგად მიღწეული „დაზავების" ნიშნებით. „წმინდა კონფლიქტური მოდელის" აგებისას იგი გამოყოფს შესაძლებლობათა განაწილების პროცესს, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს თავად შესაძლებლობებთან. ჯ. რექსი უარყოფს საზოგადოების ერთიანი, მთლიანი კულტურის, როგორც არაფორმალური სოციალური კონტროლის საფუძვლის, არსებობას. ჯ. რექსი სოციალურ ცვლილებებს აღწერს როგორც ძალაუფლებისათვის კონფლიქტების სერიათა პროდუქტს იმ ცალკეულ ჯგუფებს შორის, რომლებიც მოკლებული არიან როგორც დიფერენცირებული სოციალური ინსტიტუტების, ასევე სულიერ-ღირებულებითი სისტემების კონტროლს.

საკითხისადმი პარსონსისეული მიდგომის ცალმხრიობის დასაბუთებისას ჯ. რექსი თვითონ აღმოჩნდა დილემის წინაშე: შეექმნა ინტეგრალური კონცეფცია თუ მოეხდინა განაწილების პროცესის აბსოლუტიზაცია. იგი მეორე გზას დაადგა. *მისი ვარაუდის თანახმად, თანამედროვე საზოგადოებაში ნებისმიერი სოციალური ქმედობა რაციონალურია იმ თვალსაზრისით, რომ მას აქვს გაცნობიერებული მიზანი და არის არჩევანი ყველაზე ეფ-*

ექტური საშუალებისა. მის მიერ განხილული სამივე საბაზო სოციალური სიტუაცია — კონფლიქტი, დაზავება, რევოლუცია — რაციონალური ტიპის ურთიერთქმედების სიტუაციებად არის აღიარებული. ჯ. რექსის აზრით, საზოგადოება შედგება „დამოუკიდებლად მოქმედ რეალურ ინდივიდთა" კონკრეტული ჯგუფებისა და მათი კონკრეტული ქმედობებისაგან. უფრო მეტად გაუძნელდა მას აეხსნა სოციალური წესრიგის არსებობის ფაქტი. როგორც უკვე ვთქვით, სტაბილურობა ჯ. რექსისთვის არის განუწყვეტელი კონფლიქტისა და მისი თანმხლები პროცესის — მაღალი ფენების მიერ დაბალი ფენების უკმაყოფილების დათრგუნვის — შედეგი.

ჯ. რექსი ცდილობდა შეექმნა ლოგიკურად გამართული თეორია, რომლის მიხედვითაც კონფლიქტი არის სოციალური სამყაროს არსი და საერთოდ უარყოფდა ნორმატიულ-ღირებულებითი ასპექტების მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებაში, ადამიანის საქმიანობა მისთვის მხოლოდ რაციონალურ-პრაგმატული აქტი იყო. მაგრამ კონკრეტული სოციალური პროცესების — რევოლუცია, დაზავება და სხვ. აღწერისას ის იძულებულია მიუთითოს „იდეალურ" ფაქტორებზე, რაც არ შეესაბამება ზოგად თეორიულ აგებულებას. ამას კი მივყავართ წინააღმდეგობამდე, რომელსაც განაწილების აბსოლუტიზაციის თეორია ვეღარ ხსნის. ის მეცნიერები, რომლებიც ავითარებდნენ ამ მოდელს, ცდილობდნენ თავი დაეღნიათ ამ წინაალმდეგობისაგან იმით, რომ გამოყოფდნენ მაკრო და მიკროპროცესებს. მაკროპროცესები განიხილებოდა როგორც ინსტრუმენტალური, ხოლო მიკროპროცესები რეალურ ადამიანებთან მჭიდრო კავშირის გამო აღჭურვეს მორალური და ირაციონა-

ლური ელემენტებით. მაგრამ ამგვარ ცდას წარმატება არ ჰქონია. ეს წინააღმდეგობა გადაილახება მაშინ, თუ შეიქმნება ინტეგრალური თეორია, რომელიც განიხილავს წესრიგსა და კონფლიქტს როგორც განსაკუთრებულ და განსხვავებულ პირობებს (ეს რეალურადაც ასეა) და არა როგორც აბსტრაქტულ თეორიულ დებულებებს".

კონფლიქტურ-თეორიული მიმართულების თანამედროვე წარმომადგენლებს ხშირად უწოდებენ „ნეოვებერიანელებს", თუმცა ასეთი სახელწოდება სავსებით მართებული არ არის, რადგან მათ მიერ შემუშავებული სისტემა (მოდელი) მაქს ვებერის თეორიის მხოლოდ მცირე ნაწილს ასახავს.

„ნეოვებერიანული" სოციალური თეორია მხოლოდ კონფლიქტზე კი არ ამახვილებს ყურადღებას, არამედ მის განმსაზღვრელ პროცესებსა და კლასობრივი სტრუქტურის ყველა მხარეზე. ამ თეორიის მიმდევრები ზოგადად ეთანხმებიან კ. მარქსს კლასობრივი ბრძოლის როლის როგორც საზოგადოებრივი მოძრაობის, განვითარების წყაროს შესახებ. მაგრამ თვლიან, რომ მარქსისტული შეხედულება სოციალურ სტრუქტურაზე მეტისმეტად გამარტივებულია და მკაცრად დეტერმინისტული.

მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონალიზმის მიმდევრებმა დიდი წვლილი შეიტანეს საზოგადოების შესწავლაში, ეს მიმართულება მაინც მოხვდა კრიტიკის ქარცეცხლში, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ ფუნქციონალისტები საზოგადოებაში მხოლოდ ნონასწორობის, სტაბილურობის და უნივერსალური ფუნქციონალობის ასპექტებს უჭერდნენ მხარს. ასეთმა მიდგომამ მეცნიერული კვლევის მიღმა დატოვა ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექ-

ტები, როგორიცაა კონფლიქტი, ცვალებადობა და სხვ., რომელთაც უკვე ამერიკელმა მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება.

როგორც ვნახეთ, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოქცეული კონფლიქტები უფრო მეტად იყო კლასობრივი და საზოგადოებრივი ხასიათის.

კონფლიქტის თეორიის განვითარების მომდევნო ეტაპზე განსაკუთრებით *მიაქციეს ყურადღება კონფლიქტს და მის როლს საზოგადოების განვითარების პროცესში* და მის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბებასაც კი ცდილობდნენ. დაიწერა ისეთი შრომები, როგორიცაა: „სოციალური კონფლიქტის ფუნქცია" (ლ. კობერი), „კონფლიქტის ზოგადი თეორია" (კ. ბოლდინგი), „კლასები და კლასობრივი კონფლიქტები ინდუსტრიულ საზოგადოებაში" (რ. დარენდორფი), „კონფლიქტის სოციალური საფუძვლები" (ლ. კობერი) და სხვ.

დასავლეთის პოლიტოლოგიაში ჩამოყალიბდა კონფლიქტის პარადიგმა (თანხმობისა და პლურალიზმის პარადიგმებთან ერთად), რომელიც, ერთი მხრივ, მკვლევარის აზროვნებას წარმართავს კონფლიქტის არსის აღქმისაკენ, ხოლო მეორე მხრივ კონფლიქტს განიხილავს მხოლოდ გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეულს, რაც გულისხმობს თანხმობას ყველა დიდ სოციალურ ჯგუფსა და, უპირველეს ყოვლისა, კლასს შორის.

კონფლიქტის პარადიგმის განმარტება დაპირისპირებათა შესწავლასთან მიდგომის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართუ-

ლებას შეიცავს. ერთის თანახმად, რომელიც ეყრდნობა სტრუქტურულ ფუნქციონალიზმსა და ადამიანებს შორის ურთიერთობას, საზოგადოების სისტემაში კონფლიქტი ხდება, მაგრამ მას დროებითი ხასიათი აქვს და ამ სისტემაში მონაწილეობს არა როგორც ფუნქცია, არამედ როგორც *დისფუნქცია, პათოლოგია*. ცხადია, ასეთ კონფლიქტს ობიექტური ბუნება კი არა აქვს, არამედ სუბიექტური. *მეორე თვალსაზრისით, საზოგადოებისათვის კონფლიქტი არის სავსებით კანონზომიერი, ბუნებრივი მოვლენა. ამიტომ საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა ამ მიდგომით განიხილება არა როგორც ჰარმონია ან წონასწორობა, არამედ როგორც დისჰარმონია — კონფლიქტი.* კონფლიქტის ბუნება სხვადასხვაგვარად არის ახსნილი: ან სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებით, ან სოციალური სტრუქტურის თავისებურებით. პირველის მომხრეები ყურადღებას ამახვილებენ ინდივიდუალიზაციის კონცეფციის დამუშავებასა და კონფლიქტის გაფანტვა-გაქარწყლებაზე, მეორესი კი (ძირითადად მარქსისტები) კონფლიქტს განიხილავენ, როგორც სოციალური ჯგუფების კონფრონტაციას — დაპირისპირებას კლასებს შორის. ისინი შეისწავლიან მიკროსოციოლოგიურ ცვლილებებს, აანალიზებენ ფუნდამენტურ უთანხმოებასა და სოციალური ჯგუფების ინტერესების დამთხვევას.

ამ ორ მიმართულებას შორის განსხვავება კარგად ჩანს *ტ. პარსონსისა და რ. დარენდორფის კონცეფციების შედარებისას. პირველი ამახვილებს ყურადღებას თანამშრომლობასა და ინტეგრაციაზე, სისტემის გათანასწორებაზე, მეორე კი — კონფლიქტსა და ცვლილებებზე.* ტ. პარსონსის აზრით, ყოველი საზოგადოება არის მყარი და სტაბილური, კარგად ინტეგრირებული

სტრუქტურა; საზოგადოების ყოველი ელემენტი თავის ფუნქციას ასრულებს და ამით ხელს უწყობს სისტემის სიმყარეს. სოციალური სტრუქტურის ფუნქციონირება ეფუძნება საზოგადოების წევრებს შორის არსებული ფასეულობების კონსესუსს, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურის სტაბილურობასა და ინტეგრაციას. რ. დარენდორფის კონცეფციის თანახმად კი ყოველი საზოგადოება განიცდის ცვლილებას თავის ყოველ წერტილში; ნებისმიერ საზოგადოებაში არის კონფლიქტი, სოციალური კონფლიქტი ვლინდება ყველგან, ყველა სფეროში; საზოგადოების ყოველ ელემენტს შეაქვს თავისი წვლილი დეზინტეგრაციასა და ცვლილებებში; ყოველი საზოგადოება აგებულია მისი ერთი წევრის მიერ მეორეს დამორჩილებით.

ფრანგმა სოციოლოგმა *ა. ტურენმა*[24] ერთმანეთისაგან გამიჯნა ინტეგრაციისა და კონფლიქტის კონცეფციები და ჩამოაყალიბა მათ შორის განსხვავება. ამას ავტორმა *„სხვადასხვა სოციოლოგია“* უწოდა. ერთ-ერთი მათგანი აერთიანებს დისციპლინებ გამიზნულს „სოციალური წესრიგისათვის“, ე. ი. ინსტიტუტებისა და ურთიერთობათა იმ ერთობლიობისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული სისტემის სტაბილურობას. მეორეა „მოქმედების სოციოლოგია“, რომელიც, უპირველესად, დაინტერესებულია ცვლილებებით და მოქმედებებს განიხილავს როგორც კონფლიქტის ჯაჭვს.

ა. ტურენის თანახმად, ნებისმიერი სოციალური პროცესი სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა რანგის და დონის სოციალურ სტრუქტურათა შორის კონფლიქტების სისტემა.

ბევრი თანამედროვე მკვლევარი შეისწავლის საზოგადოების განვითარების ეტაპებს საზოგადოების სტაბილურობის უზრუნველ-ყოფისა და კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით.

კლასებს შორის დაპირისპირებამ საუკუნის დასაწყისში, შეიძლება ითქვას, განაპირობა კონფლიქტის თეორიის ჩამოყალიბება. საერთოდ, როგორც ჩანს, მეცნიერება ფეხდაფეხ მიჰყვება და იკვლევს საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს. ასე ხდება დღესაც, როდესაც სხვადასხვა სახის ეთნიკურმა თუ პოლიტიკურმა კონფლიქტმა შედარებით მასიური ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლისა და სოციალისტური ბანაკის ლიკვიდაციის შემდეგ.

კონფლიქტი და ძალადობა უფრო ხშირად სოციალურ პრობლემათა სპეციფიკური სიმპტომებია. სოციალური კონფლიქტები ახასიათებს ნებისმიერ საზოგადოებას. კონფლიქტში მონაწილე სოციალური ჯგუფები იბრძვიან მატერიალური და სულიერი სიმდიდრის, ძალაუფლების მოპოვებისა და ინტერესთა და პრეტენზიათა რეალიზაციისათვის[35].

კონფლიქტები ყოველთვის წარმოიქმნება და ერთი საზოგადოება მეორისაგან მასში კონფლიქტის არსებობა-არარსებობით კი არ განსხვავდება, არამედ მის მიმართ დამოკიდებულებით. სწორედ ეს განსაზღვრავს კონფლიქტთა რეგულირების ისეთი რაციონალური მეთოდების არსებობას, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს კონფლიქტებისაგან მომდინარე საშიშროებას[36]. თანამედროვე კონფლიქტოლოგები თავიანთი კვლევის საგნად იმ პირობების ძიებას მიიჩნევენ, რომელიც კონფლიქტებს მათი უკიდურესი, საშიში ფორმიდან თუნდაც ცხარე, მაგრამ მაინც კამათის სახემდე

დაიყვანს[37]. ისინი ცდილობენ იპოვონ ის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რომლებიც წაახალისებს ადამიანთა უნარს, გააკეთონ სწორი არჩევანი მიზნის მისაღწევად და გააკონტროლონ გარემო ურთიერთობები. ეს უნარი კი ადამიანს, აუცილებელ აგრესიასა და სიხარბის ელემენტებთან ერთად, ჩამოუყალიბდა გადარჩენისა და ინდივიდუალური განვითარებისათვის ბრძოლაში. მას განუვითარდა გონებრივი შესაძლებლობა, რომ მოქმედების შედეგთა შეფასებით გაუსწროს მოვლენებს, შეცვალოს გარემოებები და სოციალური სტრუქტურები, შემოქმედებითად მიუდგეს ახალ ინფორმაციებსა და სიტუაციებს და იმოქმედოს უფრო რაციონალურად, ვიდრე პრიმიტიული გაღიზიანების დროს იმოქმედებდა.

მკვლევართა ნაწილი ცდილობს კონფლიქტთა მართვის უნივერსალურ ხერხებს მიაგნოს, ნაწილი კი კონფლიქტთა გადაწყვეტის საშუალებებს ეძებს. ამ საკითხების, ისევე როგორც საერთოდ კონფლიქტის პრობლემის, შესწავლა ჯერ კიდევ დასრულებული არ არის. აქედან გამომდინარე, ბევრი ცნება თუ ტერმინი გაურკვეველია; საკამათო ხდება პრობლემისადმი მიდგომა და მეთოდოლოგიის შერჩევა. კონფლიქტები თავისთავად ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ჩვენ დღეს მეტ ინფორმაციას ვფლობთ. მიუხედავად ამისა, ადამიანთა უმრავლესობას ამ საკითხის მიმართ პრაქტიკული ინტერესი არა აქვს. ადამიანებს არ სურთ, უარი თქვან იმ გარემოებაზე, რომელიც მათ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და მათი ცხოვრების წესს შეესაბამება, არ სურთ, დაიტვირთონ თავი ისეთი პრობლემებით, როგორიცაა ოჯახური, ინდუსტრიული, სოციალური, საზოგადოებრივი, ეთნიკური თუ სხვა სახის კონფლიქტები. მაგრამ, თუ გავაანალიზებთ უკანასკნელი წლების მოვლენებს, რომლის მოწმენიც აღმოვჩნდით, ვნახავთ, რომ გარემო პირობების

ცვლილებებმა კონფლიქტთა და ძალადობის ესკალაცია გამოიწვია, აქტუალური გახადა დაპირისპირებათა საკითხის გადაწყვეტა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თანამედროვე შეიარაღების ხელმისაწვდომობა ზრდის ძალადობასა და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობებს, ცხადი ხდება, რომ კონტროლის არსებული ხერხები, თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური ტენდენციების ფონზე, არ იძლევა საშუალებას შევაჩეროთ დაძაბულობები. აუცილებელია ახალი გზებისა და მეთოდების ძიება.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, კონფლიქტების მართვის ძველი მეთოდები ფუნდამენტურად მცდარი იყო, რადგან იგი ემყარებოდა ადამიანის შესაძლებლობებისა და მათი მართვის ტრადიციული შეფასებისას დაშვებულ შეცდომას. ეს თეორიული და, ამავე დროს, პრაქტიკული შეცდომა ის არის, რომ უგულვებელყოფილ იქნა ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ადამიანის ქცევის გამომწვევი საფუძვლები და ხელისუფლება თავისი ინტერესებისა და არსებული ინსტიტუტების დაცვას ცდილობდა მბრძანებლური კონტროლით. მაგრამ ეს საკითხისადმი არაპრაქტიკული მიდგომაა, რადგანაც ხელისუფლების მხრივ ძალადობის გამოყენება ან სოციალიზაციის პროცესების გაღრმავება არ ცვლის ადამიანთა ქცევის ზოგიერთ ტიპს.

კონფლიქტთა შეფასების არაერთგვაროვნების გამო, სახელმწიფო ხელისუფლება, უმეტეს წილად, საკუთარი ინტერესებისა და იდეოლოგიის გათვალისწინებით, თავად წყვეტს, თუ როგორი პოლიტიკა გაატაროს თავისი იურისდიქციის ფარგლებში, თუნდაც შიდა ან ინტერნაციონალური კონფრონტაციის რისკის ფასად.

თუ საკითხს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ რეპრესიული რეჟიმიც კი სამართლებრივად ჩაითვლება და ასეთ ქვეყა-

ნას შიდა უთანხმოების მოსანესრიგებლად შეიძლება გარედან დახმარებაც კი გაეწიოს.

ზემოთქმულს იზიარებს *ჰ. მორგენთაუ*[38]. იგი თვლის, რომ თუ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა შექმნას ეკონომიკური და სამხედრო ძალა, მან უნდა დააგროვოს კიდეც ეს პოტენცია და თავისი ნების გასატარებლად გამოიყენოს. სახელმწიფომ, ჰ. მორგენთაუს მიხედვით, უნდა დაიცვას საკუთარი ინტერესები თავდაცვის თუნდაც აგრესიული საშუალებებით.

პრობლემის ანალიტიკური გადაჭრა ასეთი მიდგომით შეუძლებელია, რადგანაც სიტუაციის გაკონტროლება სუბიექტური სამართლითა და ძალისმიერი საშუალებებით ხდება. ხოლო ხელისუფლება, რაოდენ კორუმპირებული და ავტორიტარულიც უნდა იყოს, მართალი იქნება, როცა თავისი ინტერესების დაცვას შეეცდება. კონფლიქტთა სტაბილიზაციის წარმატებულ საშუალებებად კი დღემდე სწორედ ტრადიციული კონტროლისა და თავშეკავების პოლიტიკა, დაპატიმრებები, სიკვდილით დასჯა და უცხოური, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების, ჩარევა ითვლებოდა.

მაგრამ საზოგადოებასა და ერებს შორის არსებობს მრავალი რთული კონფლიქტი, რომელთა შეჩერება არ ხერხდება არც სამართლებრივი ნორმების, არც სხვა ძალდატანებითი საშუალებების გამოყენებით. ასეთ კონფლიქტთა რიცხვს მიეკუთვნება საზოგადოებათაშორისი და მათ შიგნით არსებული დაპირისპირებანი, ეთნოკონფლიქტები, უცხოური ინტერვენციითა და დამოუკიდებლობის დაკარგვით გამონვეული კონფლიქტები. ყველა ამ შემთხვევაში თავს იჩენს ფრუსტრაცია და ფარული ინტერესების დაუკმაყოფილებლობა, როცა არც მოლაპარაკებაა შესაძლებელი,

არც სასამართლო წესით მიზნის მიღწევა და არც მოთხოვნათა ჩახშობა ძალისმიერი მეთოდებით. პირიქით, ყოველგვარი ძალისმიერი მოქმედება კიდევ უფრო აღრმავებს ფრუსტრაციას და, აქედან გამომდინარე, დაპირისპირებასაც.

ობიექტურია იმის მტკიცება, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედ ადამიანთა მემკვიდრეობითი იმპულსები შეიძლება უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე ძალდატანება სახელმწიფოს მხრიდან, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ძალდატანებისა და კონტროლის ვერანაირი ფორმა ვერ შეაჩერებს კონფლიქტებსა და ძალადობას ოჯახში, ქუჩაში, საზოგადოების შიგნით თუ ერებს შორის. დაშინების პოლიტიკას უკურეაქცია მოსდევს და, შესუსტების ნაცვლად, ხდება ძალადობის ესკალაცია.

ამ უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ ნერტილში მიმდინარე პროცესებმა დაგვანახა, რომ კონკრეტული ინდივიდის ან იდენტური ჯგუფის წინააღმდეგობის ძალა ხშირად დიდად აღემატება ხელისუფლების ძალაუფლებას. ეს რეალობაა და მისი უგულვებელყოფა არ შეიძლება. ცენტრალური ხელისუფლება და ძალაუფლების მქონე სხვა რეჟიმი ვერ უმკლავდება სამხედრო თვალსაზრისით მათზე ბევრად უფრო სუსტ ჯგუფებს. ეს უკანასკნელნი თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ყველა საშუალებას მიმართავენ, რაც კი ხელეწიფებათ, მათ შორის ძალადობის სხვადასხვა ფორმებსაც. ამის შედეგად ყალიბდება სურათი, რომ კანონიერად აღიარებული სახელმწიფო ძალადობა კონფრონტაციას უნევს არაოფიციალურ ძალადობას, რომელიც ხელისუფლების მიერ შეფასებულია როგორც ბუნტი, აჯანყება ან ტერორიზმი.

ავტორიტარული საზოგადოების ძალოვანი სტრუქტურები ცდილობენ, კონფლიქტი ჩანასახშივე ჩაახშონ, რაც იწვევს, რო-

გორც წესი, ან საზოგადოებრივ სტაგნაციას და მოძველებული სტრუქტურების კონსერვაციას, ან კონფლიქტის ლატენტური განვითარების სტადიაში გადასვლას, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტა[29]. ხელისუფლება, რომელსაც არ სურს, რომ მის სუბიექტებს შორის დაძაბულობამ უარყოფითი გავლენა იქონიოს სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკაზე, ცდილობს, ქვეყანაში არსებული დაძაბულობა ასეთი გზით მართოს. ქცევის ამ თეორიიდან გამომდინარე, ლოგიკური ხდება საკონფლიქტო სიტუაციაში გახვეული ადამიანებისა და ჯგუფების დასჯა, რათა სამომავლოდ აღიკვეთოს მსგავსი ქმედობა. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ასეთი მეთოდები არ გამოდგება. მიუხედავად ამისა, ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, სადაც საზოგადოებაც დემოკრატიულია და რეპრესიების საწინააღმდეგო ინსტიტუტებიც ჩამოყალიბებული, ინდუსტრიული ურთიერთობების მაგალითზე შეიძლება თვალი გავადევნოთ მემკვიდრეობით მიღებული ავტორიტარული სტრუქტურების სიცოცხლისუნარიანობას. რადგანაც წარსულმა ბევრი რამ მემკვიდრეობით დაგვიტოვა, ხოლო ახლად შექმნილი ისტორიული სივრცე რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, არაა გასაკვირი, რომ ძველი ფორმების თანამედროვე საზოგადოებრივი ფორმებით შეცვლის განუწყვეტელ პროცესში დღემდე შემორჩენილიყო ავტორიტარიზმისა და ძალის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტები. საოცარი ის უფროა, რომ ადამიანები ვერ აცნობიერებენ წარსულის არსებობის კანონზომიერებას ყოველდღიურ ცხოვრებასა და აზროვნებაში. ამის გამო ყოველთვის არ ხერხდება დემოკრატიის შესაძლებლობათა გამოყენება ავტორიტარიზმის წინააღმდეგ. წარსული აკონტროლებს თანამედროვეობას, ჩვენი აზროვნებაც წარსულითაა შეზღუდული. ამას

ადასტურებს ისიც, რომ ინდივიდი, რომელიც მართავს სახელმწიფოს, ყოვლისშემძლედ ითვლება. ხშირად სწორედ ძალაუფლება ხდება სოციალური სტრუქტურების, პიროვნული და ჯგუფური ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორი. ასეთი აზროვნების პირობებში ძნელი წარმოსადგენია პოლიტიკურად ძლიერთა ინტერესების შემლახავი ცვლილებები. ამიტომაც, საკითხისადმი სერიოზული მიდგომის ნაცვლად, მოსალოდნელია ერთი პოლიტიკური ელიტის მეორით შეცვლა ამბოხების ან რევოლუციის შედეგად. მაგრამ ვერც ეს გადაწყვეტს ურთიერთობებისას წამოჭრილ სიძნელეებსა თუ დაპირისპირებებს.

კონფლიქტის კონცეფცია

„კონფლიქტი" არაერთმნიშვნელოვანი, დინამიური, სხვადასხვაგვარად განმარტებადი სიტყვაა, რომელსაც შესაძლოა განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს სხვადასხვა ადამიანისათვის სხვადასხვა კონტექსტში. მას ძალუძს გამოხატოს შეხედულებათა სხვადასხვაობა, დისკუსიის, კამათის ან ჩხუბის, ბრძოლის ან კონფრონტაციის, აღელვების, უწესრიგობის ან ქაოსის მდგომარეობა. ყოველივე ეს შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის დროს — როგორც ინდივიდის შიდაემოციური ან ფსიქოლოგიური პროცესის, ისე სოციალურ ჯგუფებს შორის ან თავად ჯგუფის შიგნით (ოჯახი, ქალაქი, სახელმწიფოები, კულტურები და ცივილიზაციებიც კი) ურთიერთობის გამოსახატავად.

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვას „კონფლიქტი" ნეგატიური ელფერი აქვს. იგი აღიქმება როგორც თანამშრომლობის, ჰარმონი-

ის, შეთანხმების, მშვიდობის საპირისპირო „ოპოზიციური" სიტყვა. ამიტომ ადამიანების უმრავლესობას კონფლიქტი დესტრუქციულ, არასასურველ მოვლენად მიაჩნია, სოციალურ აბსტრაქციად, რომელიც თავიდან უნდა ავიცილოთ, შევაჩეროთ ან საერთოდ აღვკვეთოთ.

რა არის კონფლიქტი?

პასუხის გაცემა არც ისე იოლია, რადგან მრავალნაირია მისი გამომწვევი მიზეზები, განვითარების დონე და ფორმები. შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტი არის მრავალგანზომილებიანი სოციალური მოვლენა, რომელიც ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და, ამავე დროს, მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული პროცესების, სოციალური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციისათვის. ამ თვალსაზრისით კონფლიქტი არის ყოველდღიური, ჩვეულებრივი მოვლენა, სრულიად ბუნებრივი და გარდაუვალი — ამ სოციალურ ფაქტს ჩვენ ვაწყდებით ფეხის ყოველ ნაბიჯზე და თუ კონფლიქტი კონსტრუქციული ფორმით გამოიხატა, მაშინ იგი სასურველიც კი არის.

კონფლიქტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მხარეები ვერ ინაწილებენ მატერიალურ და სიმბოლურ რესურსებს, ვერ თანხმდებიან და ხელმძღვანელობენ ამ შეუთავსებელი წარმოდგენებით. ამ განსაზღვრების რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი:

1. კონფლიქტი მიეკუთვნება როგორც აღქმის, ისე ქცევის სფეროს. შეუთავსებლობაზე ინდივიდის ან ჯგუფის წარმოდგენა და ის მნიშვნელობა, რომელიც ამ წარმოდგენას ენიჭება, ისევე სა-

გულისხმოა, როგორც მისით განპირობებული ქცევა. არ არის აუცილებელი (და არც გარდაუვალი) კონფლიქტის ქცევითი კომპონენტი გამოიხატოს ძალადობით. ძალადობა არის კონფლიქტის გამოხატვის ან კონფლიქტურ ქცევაში ჩართვის ერთ-ერთი შესაძლებელი საშუალება.

2. შეუთავსებლობას სუბიექტური ხასიათი აქვს (ამავე დროს შესაძლოა რეალური საფუძველიც). კონფლიქტის ასეთი განსაზღვრება ავლენს საკვანძო მექანიზმს — ადამიანის აზროვნების წესი და მოქმედება იცვლება, რაც იწვევს კონფლიქტის (ერთი შეხედვით მოუგვარებლის) შესაძლო ტრანსფორმაციასა და მოგვარებას.

3. კონფლიქტი საერთო ფენომენია. განსაზღვრებაში არ არის გამიჯნული კონფლიქტის სხვადასხვა სოციალური დონე. ამიტომ იგულისხმება, რომ კონფლიქტების, იქნება იგი პიროვნებათა თუ ჯგუფთაშორისი, სტრუქტურა და დინამიკა მსგავსია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ერთ სოციალურ დონეზე მოქმედი კონფლიქტის შედეგები შეიძლება მივუსადაგოთ მეორეს.

4. კონფლიქტი არის დინამიური, ემყარება პროცესებით და არა სტატიკური მდგომარეობით ან მოვლენით ურთიერთქმედებას. ეს საყურადღებო მომენტია, რადგან იგი გულისხმობს, რომ კონფლიქტი გაივლის რამდენიმე სტადიას, რაც თავისთავად პოტენციური მნიშვნელობისაა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ართმევენ თავს კონფლიქტს მისი განვითარების სხვადასხვა სტადიაზე.

კონფლიქტის მიზეზები

კონფლიქტები წარმოიქმნება მატერიალური ან „სიმბოლური“ რესურსების შეუთავსებლობის შესახებ წარმოდგენების ნია-

დაგზე. მაგრამ რა არის ამ შეუთავსებლობის სათავე? როგორ ავხსნათ კონფლიქტის მიზეზები?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან 1. კონფლიქტის უახლოესი ან უშუალო მიზეზები, ანუ ის მოვლენები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ძალადობა (მაგ.: ერცჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში) და 2. კონფლიქტის ძირეული (საფუძვლისეული) მიზეზები, ანუ უფრო ფუნდამენტური და ხანდაზმული, რომლებიც განაპირობებენ კონფლიქტის წარმოქმნის უშუალო საბაბს.

თუმცა ეს ორივე მიზეზი აშკარად ჯრის დაკავშირებული ერთმანეთთან, კონფლიქტის გაანალიზების და მოწესრიგების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც აქვს ძირეული მიზეზების განსაზღვრასა და მათ წვდომას.

კონფლიქტის ძირეული მიზეზები. კონფლიქტის ძირეული მიზეზების რამდენიმე თეორიული ახსნა არსებობს. ეს თეორიები ძირითადად ყურადღებას უთმობენ ან სტრუქტურულ მოვლენებს, ან ადამიანურ ფაქტორს.

კონფლიქტის სტრუქტურული თეორიების ამოსავალი არის ის, რომ საზოგადოება ისეა მოწყობილი, რომ თავად ქმნის კონფლიქტის მიზეზებსაც და პირობებსაც. ეს თეორიები არ ცდილობენ ახსნან რომელიმე კონკრეტული კონფლიქტის ან ძალადობის აფეთქება. ამის ნაცვლად ისინი ყურადღებას მიმართავენ იმ საერთო ძალებისა და დინამიკისაკენ, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ფენებს აქცევენ მეტნაკლებად მიდრეკილს კონფლიქტისა და ძალადობისაკენ. ამ თეორიებს აქვთ ორი მიზანი: პირველი — ახსნას, რატომ და როგორ ჩნდება კონფლიქტის წარმოქმნის ალბა-

თობა და მეორე — ახსნას როგორ ვითარდება და როგორი გაგრძელება აქვს კონფლიქტს. სტრუქტურული თეორიების ერთ-ერთი მაგალითია ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც კონფლიქტის მიზეზებს უკავშირებს წარმოების საშუალებათა ორგანიზაციას. ამ თეორიების ერთ-ერთი ვარიაციაა იოჰან ჰალტუნგის[9]. მიერ შემუშავებული სტრუქტურული ძალადობის იდეა, რომელიც ძალადობის განსაზღვრას აფართოებს უშუალოდ მიყენებული ფიზიკური დაზიანებიდან იმ სიტუაციამდე, როდესაც „ადამიანები თავისი ფიზიკური და სულიერი ძალების თვითრეალიზაციას ვერ ახდენენ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობის შესაბამისად". ი. ჰალტუნგი თვლის, რომ ძალადობა ფესვს იდგამს არათანაბარ, უსამართლო სოციალურ სტრუქტურებში, რომლებიც ვერ იცავენ მასების ინტერესებს.

არათანასწორი სოციალური სტრუქტურები წარმოქმნიან დაბალშემოსავლიან, ცუდი განათლებითა და უვარგისი ჯანმრთელობით, სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობით გამორჩეულ სოციალურ ჯგუფებს. ასეთი შეფარული ძალადობა გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე უშუალოდ ფიზიკური.

სტრუქტურული თეორიები ზოგადად განსაზღვრავენ კონფლიქტის მიზეზებს, მაგრამ ვერ ხსნიან, რატომ წარმოიქმნება კონკრეტული კონფლიქტი, მით უმეტეს ძალადობის ფორმით. ასეთი თეორიები აკნინებენ ადამიანის ფაქტორის როლს და არჩევანის შესაძლებლობას, მის შემოქმედებით უნარსა და ძალადობითი კონფლიქტის ალტერნატივას. ის თეორია კი, რომელიც კონფლიქტის ძირეული მიზეზების ახსნისას ადამიანის ფაქტორს ითვალისწინებს, კონფლიქტის მიზეზად მიიჩნევს ადამი-

ანის ქცევაზე დამოკიდებულ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ფაქტორს. ეს არის ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული მრავალ-ფაქტორიანი თეორიები. მაგ: *ერთ-ერთი ამტკიცებს, რომ აგრესიული ქცევა ადამიანისათვის თანდაყოლილია და კაცთა მოდგმაში ბიოლოგიურად დაპროგრამებული*[41]. *მეორე ფსიქოანალიტიკური*[42] *თეორიის მიხედვით უძველესი დიფერენციაცია „ჩვენსა" და „სხვას"* (უცხოს) შორის არის ღრმა ფსიქოლოგიური მოთხოვნილება იმისა, რომ გყავდეს მტერი. ამ თეორიის სოციალურ-ფსიქოლოგიური ვარიანტი ყურადღებას ამახვილებს ჯგუფების განათლებისა და დიფერენციაციის პროცესებზე, განსაკუთრებით იმ როლზე, რომელსაც თამაშობენ წარმოდგენები (ან ცრუ წარმოდგენები), სტერეოტიპები, დეჰუმანიზაცია ძალადობითი კონფლიქტის გამომწვევი გადაწყვეტილების მიღებაში[43].

ფსიქოლოგიური მიდგომა ქცევას კონფლიქტის დროს განიხილავს ამ კულტურაში მიღებული წესებისა და გარესამყაროზე წარმოდგენების გათვალისწინებით.

არსებობს კონფლიქტის გამომწვევი ძირეული მიზეზების განსხვავებული ახსნაც ისევ და ისევ *ფაქტორების* გათვალისწინებაზე დაფუძნებული. *ეს არის ადამიანის ძირითადი მოთხოვნილების თეორია*[44], *რომელიც ერთმანეთისაგან განარჩევს პოზიციას, ინტერესს, ღირებულებებსა და მოთხოვნილებებს.*

პოზიციები არის გარკვეული სახის საზოგადოებრივი მოთხოვნები დაკავშირებული იმ ინტერესებთან, რომლებიც შეიძლება მოლაპარაკების საგნად იქცეს. ინტერესი არის ის რაც რეალურად სურთ მხარეებს და რაც ატის პოზიციის უკან მდგომი მოტივაცია და უფრო ხშირად არ არის განცხადებული აშკარად.

ღირებულებები მიეკუთვნება კულტურის სფეროს და ნაკლებად ცვალებადია. ღირებულებით ხდება პოზიციების გამაგრება.

მოთხოვნილებები არის ადამიანის ისეთი ძირითადი მოთხოვნები, როგორიც არის იდენტურობა, უსაფრთხოება და აღიარება. ისინი უნივერსალურია და არ შეიძლება ურთიერთდათმობის საგნად იქცეს.

ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არსებითი და მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარებისა და სოციალური სტაბილურობისათვის. ამიტომ ადამიანები მათ დასაკმაყოფილებლად თვით სოციალურ ძვრებსაც კი არ ერიდებიან. თუ სოციალური ინსტიტუტები ვერ აკმაყოფილებენ ან ხელყოფენ ამ მოთხოვნილებებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს პროტესტი, ამბოხება და ძალადობა.

სოციალური დისკურსი შეიძლება ვუწოდოთ ძალადობრივი კონფლიქტის თეორიების მესამე ჯგუფს, რომელიც ემყარება კრიტიკულ სოციალურ თეორიას, განსაკუთრებით მის *ფემინისტურ* და *პოსტსტრუქტურალისტურ* ვარიაციებს[45]. ეს თეორია განსაკუთრებით უსვამს ხაზს სოციალური დისკურსის მნიშვნელობას — ენის, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, სოციალური პრაქტიკის — იდენტურობის ურთიერთგამომრიცხავი ცნებების (ჩვენ — ისინი, ჩვენები — სხვები) გენერირებას, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალადობითი კონფლიქტი ვერ აიხსნება მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური ელიტის ანალიზის საფუძველზე. ეს თეორია გვთავაზობს საკითხის ასეთ გადაწყვეტას: უნდა შეიქმნას პლურალისტური იდეალი[46], დაფუძნებული ახალ დიალოგებზე, რომელიც განსხვავებას, მრავალგვარობას, არამსგავსებას პრობლემებად არ მიიჩნევს.

ამ სამი მიდგომიდან თითოეული მიესადაგება ხანგრძლივ, სიღრმისეულ და ძნელადმოგვარებად კონფლიქტს, თითოეულს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. მაგრამ სტრუქტურალისტური მიდგომა მაინც უფრო მეტად ითვალისწინებს ადამიანის ქცევას, მოთხოვნებს (განსაკუთრებით იდენტურობის) კულტურისა და დიალოგის მნიშვნელობას.

საზოგადოებრივი რესურსების ეფექტური მართვა არის დამატებითი ელემენტი, ოპტიმალური მართვა ბოლოსდაბოლოს ნიშნავს ძალაუფლების კანონიერ გამოყენებას, ძალაუფლება კი უნდა იყოს სანქციონირებული ხელისუფლების მიერ[47]. სტაბილური და ძლიერი სოციალური ურთიერთობების სისტემა იქმნება ხელისუფლებისა და კანონიერების მჭიდრო კავშირის საფუძველზე. ლეგიტიმურ ურთიერთობებს საზოგადოება მიიღებს, ჯეროვნად აფასებს და მათ შესანარჩუნებლად არ არის საჭირო ძალის გამოყენება. თუ ლეგიტიმურობა არ არის ან საეჭვოა (აპარტეიდი სამხრეთ აფრიკაში, ყოფილი საბჭოთა კავშირი), მაშინ სოციალური გარდაქმნების მოთხოვნებმა შესაძლოა პოლიტიკური მღელვარება და სოციალური უწესრიგობა გამოიწვიოს. იქ, სადაც ამგვარ მოთხოვნებს ახშობენ ან თრგუნავენ, წარმოიქმნება ძალადობითი კონფლიქტი. თუმცა არ არის აუცილებელი ცვლილებების პროცესმა ხანგრძლივი ძალადობითი კონფლიქტი გამოიწვიოს. ამის მაგალითია ჩეხეთისა და სლოვაკეთის ე. წ. „ხავერდოვანი გაყრა", ხელისუფლების შეცვლა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. საერთოდ, გარდამავალი პერიოდი შეიძლება იქცეს კონფლიქტის წყაროდ, რადგან ამ დროს საზოგადოება ძნელად გადასაჭრელი საკითხების წინაშე აღმოჩნდება.

იდეოლოგია და რელიგია

იდეოლოგია და რელიგია ხშირად ხდება კონფლიქტის მიზეზი. ტერმინი „იდეოლოგია" უფრო მეტად იხმარება პოლიტიკის საზოგადოებრივი სფეროს, ხოლო რელიგია — სულიერ სამყაროსთან მიმართებით. ასეთი დაყოფა არ ითვალისწინებს, რომ ამ ორმა ტერმინმა მნიშვნელოვანნილად გადაკვეთა ერთმანეთი.

კონფლიქტთან განსაკუთრებით არის დაკავშირებული რელიგია, რადგან ზოგიერთს განკერძოებულობის ან განსაკუთრებულობის პრეტენზია აქვს. ცნობილია მორწმუნეთა ცალკეული სპეციალური თემები (საზოგადოებები), რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან ადამიანის სულის ხსნის გამო. რელიგიური რწმენა შესაძლოა იქცეს პოლიტიკურ ქმედობათა მოტივაციად, ან ლიდერებმა იგი გამოიყენონ როგორც პოლიტიკურ საშუალებათა და მიზანთა ერთობლიობა (კომპლექსი) იმავე მიზნების მისაღწევად. პოლიტიკური იდეოლოგიებიც (კაპიტალიზმი, ფაშიზმი, მარქსიზმი) ასევე ფლობენ ფუნდამენტური რწმენის ამგვარ კომპლექსს, რომელიც ხშირად დაკავშირებულია შეხედულებებთან ეკონომიკურ ორგანიზაციასა და საზოგადოების ძალაუფლებაზე და ასრულებენ კიდეც მასში ასეთ როლს.

ზოგჯერ ღია კავშირი მყარდება გაბატონებულ იდეოლოგიასა და რელიგიას შორის და ეს უკანასკნელი სახელმწიფო რელიგიად იქცევა. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ისინი კონკურენტებად რჩებიან და ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ მაორგანიზებელი პრინციპების გამო. მაგ.: იტალიაში 1945 წლის შემდეგ კათოლიკური ეკლესია თვლიდა, რომ კომუნიზმი იყო მისი მეტოქე მრევლის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის ბრძოლაში.

თითქმის მთელი XX საუკუნის მთავარი იდეოლოგიური კონფლიქტი იყო წინააღმდეგობა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის.

იგი სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა: ჩამოყალიბდა ეკონომიკური და სამხედრო ბლოკები, მიმდინარეობდა როგორც კოსმოსურ სივრცეში, ასევე რეგიონალური და ადგილობრივი გამალებული შეიარაღება, ადგილი ჰქონდა ომებს სახელმწიფოებს შორის.

რელიგიებს შორის მეტოქეობა და კონფლიქტი იშვიათი მოვლენა როდია ისტორიაში. საკმარისია გავიხსენოთ შუა საუკუნეების ჯვაროსნული ლაშქრობები და აქედან მოყოლებული რელიგიის გამო ინდოეთისა და პაკისტანის გაყოფით დამთავრებული. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ იდენტიფიკაციას (იდენტიფიკაციის სხვა ფორმებთან ერთად, როგორიც არის ნაციონალიზმი და ეთნიკური მიკუთვნილობა) დაცემას უწინასწარმეტყველებდნენ, რელიგიური რწმენა მაინც არსებით როლს ასრულებს საზოგადოებაში. აღმოსავლეთში იგი ძლიერდება ისლამური ფუნდამენტალიზმის, ხოლო დასავლეთში — ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის ფორმით. ფუნდამენტალიზმის აღმავლობა ორივე შემთხვევაში არის ნაწილობრივი პასუხი თანამედროვე მსოფლიოს არასასურველი ფაქტორებისა (დასავლური მოდერნიზაცია ისლამური, ხოლო თანამედროვე ცენტრალიზებული სახელმწიფო ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის შემთხვევაში). ორივე მიმართულების ფუნდამენტალისტები ცდილობდნენ, თავისი გავლენის სფერო ეკლესიის ფარგლებს გარეთ გაეტანათ და გაევრცელებინათ მთლიანად სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე. ზოგი ანალიტიკოსის აზრით, ცივილიზაციების შეჯახება ისლამსა და დასავლეთს შორის მოასწავებს ახალ გლობალურ კონფლიქტს, რომელმაც დაიკავა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის ძველი დაპირისპირების ადგილი.

კონფლიქტის მიზეზების ახსნისას ყურადღებას ამახვილებენ სოციალური იდენტურობის მნიშვნელობაზე.

იდენტურობას განსაზღვრავენ, როგორც ინდივიდუალურობის ძლიერ შეგრძნებას, რომელიც ინდივიდს საშუალებას აძლევს წინასწარ გაითვალისწინოს (განჭვრიტოს) თავისი ცხოვრება. *თუ ინდივიდს მოვლენათა წინასწარი გათვალისწინება არ შეუძლია, ის მუდამ შიშში იცხოვრებს. იდენტურობა უფრო მეტია, ვიდრე საკუთარი „მეს" ფსიქოლოგიური შეგრძნება. იდენტურობის განცდა ადამიანს უნერგავს რწმენას, რომ ამ სამყაროში ის დაცულია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, სოციალურად და სულიერადაც კი.* და თუ იდენტურობის ძირითად შეგრძნებებს რაიმე დაემუქრა, ადამიანს უჩნდება თავდაცვითი რეაქცია ფსიქიკური და ფიზიკური განადგურების თავიდან აცილების მიზნით[49].

ინდივიდის, როგორც ჯგუფის წევრის, იდენტურობა ხშირად აღინერება ეთნიკური მიკუთვნილობის, რელიგიის, იდეოლოგიის, ენობრივი და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ტერმინებით. თითქოს მართლაც, იდენტურობას აქვს ორი დამატებითი ასპექტი — იმის შეგრძნება, რომ ვიღაც არის X და არ არის Y (მაგ: ისრაელელი და არა პალესტინელი, ირლანდიელი კათოლიკე და არა ირლანდიელი პროტესტანტი და პირუკუ). არსებობა ისეთი ჯგუფისა, რომელსაც ესა თუ ის ადამიანი არ მიეკუთვნება და რომელიც მისი ჯგუფის ანტაგონისტურია, ქმნის დაძაბულობას, საფრთხეს, კონფლიქტს. პარადოქსალურია, მაგრამ ამან შესაძლოა გააძლიეროს საკუთარი იდენტურობის შეგრძნება.

კონფლიქტში მონაწილე პრობლემებიდან აღსანიშნავია *რესურსები.* კონფლიქტის დომინირებულ (ძირითად) ნყაროთა შორის ისტორიულად ყოველთვის იყო და ამჟამადაც არის ტერიტორიაზე, მატერიალურ, ეკონომიკურ, ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწ-

ვდომობის და მათი კონტროლის მოთხოვნა. ამ რესურსების გამო მეტოქეობა იყო ევროპაში დიდი ომების მიზეზი, XIX-XX სს. მსოფლიო იმპერიების შექმნაც ამ რესურსებზე დავის შედეგი იყო და რაც მთავარია, ამა თუ იმ მხარის ინტერესების დაცვა ხშირად ცილდებოდა ერთი სახელმწიფოს საზღვრებს და ფართო მასშტაბით დღესაც „მქონეთა" და „არმქონეთა" შორის უთანაბრობის სახე აქვს. რესურსების არათანაბარი განაწილება კონფლიქტის წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. სიცოცხლის უზრუნველსაყოფად აუცილებელი რესურსების ხელში ჩასაგდებად ხშირად მიმართავენ ომს. ამის ნათელი მაგალითია ის, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს დასავლეთი ახლო აღმოსავლეთში, ნიგერიასა და სხვა ადგილებში განლაგებულ ნავთობის მარაგთან ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას, აქვე უნდა მოვიხსენიოთ ამავე მიზნით ერაყის შეჭრა ქუვეითში და ამის გამო აშშ-ის რეაქცია გაეროს ეგიდით.

XX საუკუნის ბოლოს რესურსების საკითხმა ახალი მიმართულება მიიღო ეკოლოგიისა და გარემო პირობების მიმართ ყურადღების გამახვილების გამო. დღეს მოსახლეობის რაოდენობის მატებამ გამოიწვია მიწაზე, სასმელ წყალსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნილებისა და მათი მოხმარების ზრდა. გარემო პირობების დეგრადაცია აძლიერებს შეუსაბამობას რესურსებზე მოთხოვნილებასა და მათზე ხელმისაწვდომობას შორის. და რადგან ბუნებრივი რესურსებისა და გარემო პირობების დეგრადაციის განანილება პლანეტაზე არათანაბარია, ბევრი ქვეყანა და რეგიონი განიცდის რესურსების კრიზისს და შესაბამისად თანდათან მატულობს მათ შორის დაპირისპირებაც.

განსაკუთრებით მძლავრია დაპირისპირება წყლის რესურსების, კერძოდ კი სასმელი წყლის, გამო აფრიკაში, მახლობელ აღ-

მოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში. კონფლიქტის პრობლემაა, აგრეთვე, ძალაუფლება. ეს პრობლემა გულისხმობს იმას, თუ როგორ იმართება საზოგადოება, როგორ ნაწილდება რესურსები და ძალაუფლება; ეხება ასევე საზოგადოების თვალში ხელისუფლების ლეგიტიმურობას. ოპტიმალური მართვის დროს ძალადობითი კონფლიქტი ნაკლებად მოსალოდნელია.

ოპტიმალური მართვის საფუძველს ქმნის იმ ინსტიტუტების, კანონების, პროცედურებისა და ნორმების კომბინაცია, რომლებიც საშუალებას აძლევენ ადამიანს გამოხატოს თავისი მოთხოვნები და შედარებითი სამართლიანობის ფარგლებში დაიცვას თავისი ინტერესები.

კონფლიქტის პირველი სტადია არის კონფლიქტის წარმოქმნა, როდესაც კონფლიქტი ლატენტური ფორმიდან გადაიზრდება ღია კონფლიქტში როგორც საზოგადოებრივი კონფრონტაცია, თუმცა მონინააღმდეგე მხარეებს ძალადობისთვის ჯერ არ მიუმართავთ. ლატენტური კონფლიქტის დროს არის სოციალური დაძაბულობა, ფარული ან ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი აზრების სხვადასხვაობა (და მათ შორის განსხვავება). განსხვავების ეს დინამიკა შესამჩნევია დამკვირვებლისათვის, მაგრამ უფრო ხშირად ის სტაბილურობითა და წესრიგით არის შენიღბული. ეს ის სტადიაა, როდესაც შეუთავსებელი მიზნები არსებობს, მაგრამ მხარეები მათ მწვავედ ვერ აღიქვამენ.

კონფლიქტი ღია ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორი მნიშვნელოვანი ხდება ეს განსხვავებანი (მაგ: რესურსების ხელში ჩაგდების სურვილი, სამართალი და მისი როლი სახელმწიფოში, ენის ამორჩევა ან ქვეყნის მომავლის განჭვრეტა) და ეთმობა თუ არა მათ საზოგადოებრივ დინამიკაში ცენტრალური ადგილი. რამ-

დენადაც მეტად აღიარებენ შეუთავსებლობის მომენტებს, იმდენად მეტად გამოიკვეთება განსხვავებათა ფორმაცა და შინაარსიც: უფრო მეტად გააქტიურდება პოლიტიკური და საზოგადოებრივი დებატები მათ გარშემო. როგორც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები იწყებენ მოქმედებას ამ განსხვავებათა მიხედვით (ანუ ვინ ვის ემხრობა), მათ შორის ჩნდება გამყოფი ხაზი და სოციალური განხეთქილება. ასპარეზზე გამოდიან პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც თავიანთ თავსა და თავიანთ მომხრეებს უპირისპირებენ საზოგადოების დანარჩენ ნაწილს ფორმულით „ჩვენ“ და „ისინი“. შემდგომ ამ განსხვავებას „საქმის“ სახელით გამოიყენებენ მოსახლეობის მობილიზაციისათვის.

ამ მომენტში კონფლიქტი მიაღწევს ძალადობის ზღვარს. თუ სოციალური ინსტიტუტები საკმარისად მდგრადია და მოქნილი, ხოლო პოლიტიკური ხელმძღვანელობა შემოქმედებითად მოაზროვნე, მაშინ შესაძლოა ამ განსხვავებებთან კონსტრუქციულმა მიდგომამ წინააღმდეგობა დიალოგამდე მიიყვანოს. თუ არა და, სიტუაცია გაუარესდება და ძალადობის პერსპექტივა გაიზრდება.

კონფლიქტის ესკალაცია იწყება მაშინ, როდესაც ინსტიტუციონალიზებული მექანიზმები კონსტრუქციულად ვერ რეაგირებენ და კონფლიქტში ჩაბმული მხარეები ღიად ავლენენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას. *„ძალადობის დისკურსი“* ვითარდება იმის პროპორციულად, თუ რამდენად ამარაგებენ ლიდერები და პრესა მოწინააღმდეგეს და მოთხოვნები, მუქარა და ულტიმატუმი თანდათან ურთიერთობის საშუალებად იქცევა. ყოველივე ამას მოჰყვება გამოძახილი უბრალო ადამიანების ყოველდღიურ საუბარშიც. იქ, სადაც ასე არ ხდება, ლიდერებსა და ხალხს შორის ხელმეორე გან-

ხეთქილება არის მოსალოდნელი, რაც გაართულებს და მოდიფიცირებულს გახდის პირველად კონფლიქტს. თუმცა ესკალაციის ადრეულ სტადიაზე პირადი ურთიერთობის საშუალებები (ენა), ლიდერების საჯარო გამოსვლებისგან განსხვავებით, შესაძლოა არსებითად იცვლებოდეს დაძაბულობის ხარისხის მიხედვით. ურთიერთობის ეს ორი საშუალება (ენა) თანდათან ერწყმის ერთმანეთს და ყალიბდება „მტრის" საერთო ხატი. როდესაც ლიდერებისა და ყოველდღიური ურთიერთობის ენა ერთნაირად ექსტრემისტული გახდება, უკვე მოსალოდნელია კონფლიქტის სწრაფი ესკალაცია. ***ესკალაციის ხანგრძლივობის მიხედვით ვითარდება 3 ტენდენცია:***

1. კონფლიქტის ძირითადი საკითხები შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ მხარეები, რომლებიც თავდაპირველ მოთხოვნებს მალიმალ ზრდიან, როგორ ახდენენ თავიანთი მიზნების მოდიფიკაციას. საკითხის იმგვარი გადაწყვეტა, როგორიც თავიდან მისაღები იყო, ახლა უკვე მათ აღარ აკმაყოფილებთ.

2. კონფლიქტში მონაწილე მხარეები დიასპორის მობილიზაციის ხარჯზე მიიზიდავენ გარეშე მომხრეებს, რომ მოიპოვონ წამოწყებული საქმის პოლიტიკური, ფინანსური და მორალური მხარდაჭერა, ღია ან ფარული, ხშირად სხვა სახელმწიფოსიც კი. კონფლიქტში მონაწილე შედარებით სუსტი მხარე ხშირად იყენებს კონფლიქტში ასიმეტრიის პრობლემის გადასაწყვეტ ამ საშუალებას, რაც იწვევს შიდა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას.

3. როგორც ერთი, ისე მეორე მხარე სულ უფრო ხშირად მიმართავს მცირე მასშტაბის ძალადობას. მაგ: დემონსტრანტების დახოცვა ხელისუფლების მიერ, ოპოზიციის ცნობილი ლიდერების სიკვდილი მათი დაკავებისას, ოპოზიციური ძალების სპორადიული, მაგრამ სულ უფრო კოორდინირებული ხელისუფლების წინა-

აღმდეგ მიმართული გამოხდომები. ამას შეიძლება მოჰყვეს მეტად დრამატული შედეგი, მაგ., ხელისუფლების მიერ ოპოზიციის ფართომასშტაბიანი დათრგუნვა ძალისმიერი ხერხების გამოყენებით. ასეთი დათრგუნვა შედეგიანია მაშინ, როდესაც მხარეთა შორის ასიმეტრია უკიდურეს ზომას აღწევს. მაგრამ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ დათრგუნვისა და კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები. კონფლიქტის საფუძვლისეული მიზეზები ძალას არ კარგავენ, შესაძლოა დროებით ლატენტური სახეც მიიღონ, მაგრამ დიდია იმის ალბათობა, რომ მოგვიანებით კვლავ იფეთქონ. ასეა თუ ისე, ფიზიკური ძალადობის გამოყენების ზღურბლს უკვე გადააბიჯეს, რაც არსებითად ცვლის და ზრდის მხარეებს შორის კონფლიქტურ ურთიერთობებს, ასევე საპასუხო ესკალაციის შესაძლებლობას და ამით ქმნის „ძალადობის სპირალს", რომლის შესუსტებაც თანდათან უფრო და უფრო ძნელდება.

კონფლიქტის ხანგრძლივობა (დრო, რომლის განმავლობაშიც კონფლიქტის ატანა შესაძლებელია). კონფლიქტის დაღვინების სტადია მაშინ იწყება, როდესაც მხარეები ღია კონფლიქტზე — ომზე გადადიან, როდესაც კონფლიქტში მონაწილეთა მომხრეები ირაზმებიან ძალადობითი კონფლიქტის გარშემო და იგი გადაუჭრელ, ხანგრძლივ ხასიათს იძენს. კონფლიქტის ამ სტადიაში ბრალს სდებენ ყოველთვის მოწინააღმდეგე მხარეს — „ისინი" ქმნიან პრობლემას, „ისინი" არიან აგრესორები, სამართალი „ჩვენს" მხარეზეა. ამას კი იმ დასკვნამდე მიეყავართ, რომ კონფლიქტი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ გამარჯვების/დამარცხების შემთხვევაში, რისი მიღწევაც ყველაზე ეფექტური საშუალებით — ძალის გამოყენებით შეიძლება.

სწორედ ამ სტადიაზე ძალადობა იღებს პათოლოგიურ ხასიათს, სამოქალაქო ინსტიტუტები სუსტდება, იშლება და სამოქალაქო საზოგადოება ხდება ძალადობის თანაზიარი: ან აქტიური მონაწილე, ან პასიური მომხრე და უფრო ხშირად — უდანაშაულო მსხვერპლი. საომარი მოქმედება დაპირისპირებულ მხარესთან კონტაქტის დამყარების ერთადერთ ფორმად იქცევა. „ძალადობის დისკურსის" დამკვიდრებასთან ერთად, მოღალატედ ითვლება ყველა, ვინც საომარი მოქმედების ალტერნატიულ მოქმედებას წამოაყენებს. გარეშე ძალების ნებისმიერი მცდელობა, დაეხმარონ ძალადობის მოწინააღმდეგეებს, ანუ ე. წ. „მშვიდობისმყოფელთ" უკუქმედებას იწვევს. ასუსტებს ამ უკანასკნელთა პოზიციას თავის სამშობლოში.

თუ ძალადობითი კონფლიქტი გაჭიანურდა, მის მონაწილეებს შეიძლება დაეუფლოთ მახეში გაბმის, ჩიხში გამომწყვდევის ან მკვდარი წერტილის შეგრძნება. მათ ჰგონიათ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ სრული გამარჯვება ან სრული დამარცხებაა (თუმცა ხშირ შემთხვევაში რეალური სურათი სულ სხვანაირია). უჩნდებათ არასწორი წარმოდგენა, იკარგება ნდობის ფაქტორი, არ უნდათ, რომ სხვას უჩვენონ თავისი სისუსტე არც კომპრომისი სურთ. დარწმუნებული არიან, რომ კონფლიქტის მოლაპარაკებით მოგვარებას უფრო მეტი ნეგატიური ასპექტი ახლავს, ვიდრე ომის გასახანგრძლივებელ დანახარჯებს. ასეთ დროს პოლიტიკური ლიდერები ფარხმალს არ ყრიან, ვერ იცვლიან სტრატეგიას. მაშინაც კი, როდესაც იციან, რომ მოლაპარაკებით საქმის გადაწყვეტას უპირატესობა აქვს, ნებისმიერი ხერხით ცდილობენ, მოიგონ კონფლიქტი სამხედრო ძალის გამოყენებით. ასეთ დროს სიტუაცია ჩიხში ექცევა. მოწინააღმდეგეებს შესწევთ

ძალა, რომ ერთმანეთს დარტყმა მიაყენონ. მაგრამ, ამავე დროს, თითოეული მათგანი უკვე აცნობიერებს, რომ არ შეუძლია კონფლიქტის მხოლოდ თავისი ძალებით მოგება, რომ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებლად. და თუ კონფლიქტი ისევ გაგრძელდა, მაშინ მათი მდგომარეობა გაუარესდება. ასეთ დროს კონფლიქტი სამი მიმართულებით განვითარდება: ის ან ჩიხში მოექცევა და ასე დარჩება, ან უკეთეს მდგომარეობაში მყოფი მხარე განაგრძობს ძალადობის ესკალაციას, ან, ბოლოს და ბოლოს, ფიზიკური, საომარი და ფსიქოლოგიური დაძაბუნება (გამოფიტვა) მხარეებს მოაქცევს ე. წ. „ურთიერთმავნე ჩიხში", რომელიც სიტუაციის გამოსწორების წინაპირობას შექმნის.

კაცობრიობის განვითარების, კულტურათა შორის სხვაობის შენარჩუნებისა და ადამიანების სურვილთა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი *მოთხოვნილებები*, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობით, *სამ ძირითად კატეგორიად* იყოფა. ესენია: *1. ადამიანთა მოდგმის უნივერსალური მოთხოვნილებები; 2. კულტურული ღირებულებები და 3. დროებითი ინტერესები.*

მოთხოვნილებები ადამიანთა ყოფიერების განუყოფელ ნაწილს განეკუთვნება, *ა. მასლოუს*[9] აზრით, საკვებისა და თავშესაფრის ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, ემატება განვითარების პროცესთან დაკავშირებელი ფუნდამენტური ხასიათის მოთხოვნილებებიც. კონფლიქტში ჩაბმული ადამიანები თუ იდენტური ჯგუფები მათ დასაკმაყოფილებლად მიმართავენ ყველა საშუალებას და სამართლებრივი ნორმების დარღვევით იმოქმედებენ მანამ, სანამ თავისას მიაღწევენ. ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რით არის განპირობებული ადამიანის ქცევა-გენეტიკით, გარემო პირობების

ზემოქმედებით თუ ორივე ფაქტორით ერთდროულად. მაგრამ ეს არცაა კონფლიქტოლოგთა ამოცანა. ჩვენ არაკონტროლირებად ქცევებს იმიტომ შევისწავლით, რომ შევუფარდოთ ისინი საზოგადოების გარკვეულ მოთხოვნილებას.

რაც შეეხება *ღირებულებებს*, ამ კატეგორიაში იგულისხმება ის იდეები, ჩვევები, ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც გარკვეული სოციალური ერთობის მახასიათებელია. ესაა კულტურული და იდენტური ჯგუფების ლინგვისტური, რელიგიური, კლასობრივი, ეთნიკური ნიშან-თვისებები. ღირებულებები ადამიანებს დროთა განმავლობაში აქვთ შეძენილი და ზოგადია ყოველი კონკრეტული საზოგადოების წევრთათვის. ზენოლის, დისკრიმინაციის, იზოლაციის პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს სწორედ ღირებულებათა შენარჩუნება და იგი ხდება კიდეც თავდაცვითი და აგრესიული ქცევის მიზეზი.

ღირებულებები იცვლება გარკვეული დროის განმავლობაში სოციალური ინტეგრაციის, განათლების საერთო დონის ამაღლებისა და სხვა პირობების ზემოქმედებით. მაგრამ ახალი ღირებულებების დამკვიდრება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც უშიშროების შეგრძნებასა და განვითარების შესაძლებლობის არსებობას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწორედ კულტურული ღირებულებების, როგორიცაა: რელიგია, ენა, ცხოვრების წესი, გარეგნული ატრიბუტები და ა.შ., დაცვა გაიგივდება იდენტურობის დაცვასთან და მწვავე კონფლიქტის მიზეზად გადაიქცევა.

მკვლევართა ნაწილი *ადამიანთა მოთხოვნილებებსა და ღირებულებებს აერთიანებდა ტერმინით — „ინტერესები"*. მაგრამ ამჟამად მიღებულია *ჯ. ბარტონის*[20] განმარტება, რომლის

მიხედვითაც „ინტერესები" განისაზღვრება როგორც მატერიალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვა. ამ თვალსაზრისით ტერმინი გულისხმობს ინდივიდის ან იდენტური ჯგუფის პროფესიულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მისწრაფებებს, რომლებიც მატერიალური უზრუნველყოფითაა მოტივირებული. „ინტერესები" საზოგადოების წევრებს, გარკვეულწილად, ყოფს ჯგუფებად, რომლებიც შესაძლებელია ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ კიდეც. ამასთან, ინტერესებს გარდამავალი და ცვალებადი ხასიათი აქვს და გარემო პირობებზე არის დამოკიდებული მათი გაქრობა შეიძლება დაემუქროს იდენტური ჯგუფის არსებობას. ასევე საშიშია არაკონტროლირებადი „ინტერესებიც", რომლებიც საზოგადოების შიგნით უთანასწორობისა და გაუცხოების დონის გაზრდას უწყობს ხელს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი „ინტერესების" შეფარდება გარემო პირობებთან, სამართალთან და სხვა ღირებულებებთან. აგრეთვე, საჭიროა შესაბამისი ტაქტიკისა და პოლიტიკის შემუშავება, რადგანაც ადამიანთა მოთხოვნილებები, ღირებულებები და ინტერესები აყალიბებენ მათ პოლიტიკურ მიზნებს. ამასთან, ერთი საზოგადოების შიგნით განსხვავებულ იდეოლოგიათა ფუნდამენტური მიზნების მსგავსების პირობებში შესაძლებელია განსხვავდებოდეს ამ იდეოლოგიების მატარებელთა ინტერესები და ღირებულებები. ზოგჯერ, კონფლიქტური ურთიერთდამოკიდებულების დროს, სხვადასხვა ჯგუფებს ერთი და იგივე მიზნები და ამოცანები აქვთ და მათ შორის კონფლიქტის აღსაკვეთად საკმარისია მხოლოდ ანალიტიკური დიალოგის გამართვა საერთო მიზნების აღმოსაჩენად და მათი დაკმაყოფილების საშუალებათა გამოსაძებნად.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანთა დაპირისპირების მიზეზი ხდება მათი უნივერსალური მოთხოვნილებების, კულტურული ღირებულებებისა და ინტერესების დაცვა-განხორციელება, რაც სხვადასხვა მოთხოვნის სახით ვლინდება. მაგალითად, როდესაც კონფლიქტთა საფუძველი არის რესურსებისათვის დავა, მის უკან დგას შემცირებულ ფიზიკურ ან იშვიათ რესურსებზე მოთხოვნილების არსებობა. რესურსების ვარგისიანობა-განაწილებასა და მათზე მოთხოვნილებას შორის ბალანსის დარღვევა ქმნის გაუცხოებისა და უიმედობის ატმოსფეროს. ამას ემატება დღევანდელ პირობებში არსებული სოციალური ორგანიზაციის სირთულე და წარმოიქმნება მზარდი საკონფლიქტო გარემო. აპათიური მდგომარეობა, რომელიც ადამიანებს უჩნდებათ გადარჩენისათვის ბრძოლაში განცდილი მარცხით, შესაძლოა შეიცვალოს პროტესტის მდგომარეობით მაშინ, თუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, დამხმარე პროგრამების განხორციელების და ინოვაციების შედეგად ცხოვრების დონის ზრდა ამ ადამიანებში გამოიწვევს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილე-ბებისათვის ბრძოლის აუცილებლობის შეგრძნებას.

სახელმწიფო სტრუქტურაში ეთნოტერიტორიული ავტონომიების არსებობა კონფლიქტების გაჩენის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეთნოტერიტორიული ერთეულების იერარქიული სისტემის არსებობის დროს ნომინალური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები გარკვეულ კულტურულ და პოლიტიკურ პრივილეგირებას გრძნობენ თავის ტერიტორიაზე. ამის გამო სისტემის შიგნით გროვდება სხვა ეთნიკური ჯგუფების მიერ უსამართლობად აღქმული ანომალიები და იქმნება ინტერ-

ეთნიკური დაძაბულობის კერები. შესაძლებელია, ნომინალურ ჯგუფთა ერთი ნაწილი უმრავლესობას წარმოადგენდეს თავისი განსახლების ტერიტორიაზე, სხვები კი — უმცირესობას, მესამეთ საერთოდ არ გააჩნდეთ ტერიტორიული ავტონომიურობა. ამასთან ერთად, ცენტრალიზებული სახელმწიფო სისტემა გარკვეულწილად თრგუნავს დაქვემდებარებულ ერთეულთა უფლებებს და ეს კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას ქმნის. ხოლო თუ ნომინალური ჯგუფები თავიანთ პოზიციების განმტკიცებას ცდილობენ, ეს, თავის მხრივ, სხვა ჯგუფების წინააღმდეგობას იწვევს და სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება. საკმარისია, ასეთ დროს ოდნავ შესუსტდეს ცენტრალური ხელისუფლების ზეწოლა, რომ თავს იჩენს ინტერეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტები, რაც ხშირად შეიარაღებული დაპირისპირებით ვლინდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მიმდინარე ეთნოკონფლიქტები.

გაუგებრობებისა და დაპირისპირების მიზეზი ხდება, აგრეთვე, ისტორიული ტრადიციის, ეთნიკური მოწყობის მოდელისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გაუთვალისწინებლად, თვითნებურად დადგენილი საზღვრები. მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ კონფლიქტთა თავიდან ასაცილებლად უნდა გამოიყენონ საზღვრების უცვლელობის პრინციპი. მაგრამ სხვანი არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას. მათი აზრით, თვით ამ საზღვრების გაჩენაც უკანონოა და თუ ინგრევა უკანონოდ შექმნილი ქვეყნები, უნდა დაირღვეს უკანონო საზღვრებიც. საკითხის ასე მარტივად დასმა არ შეიძლება. თუ გავაანალიზებთ ორივე შეხედულებას, ლოგიკური დასაბუთება ორივეს მოეძებ-

ნება, მაგრამ, თუ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა გვსურს, ერთიანი მიდგომით ვერ განვსაზღვრავთ კონკრეტულ შემთხვევებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც უმრავლესობა ტოტალიტარული იმპერიის საზღვრების დაშლის მომხრეა, იმპერიის შიგნით დადგენილი საზღვრების აღრევის მხარდამჭერი ძნელად თუ აღმოჩნდება. რასაკვირველია, ახალი პოლიტიკური ერთეულების ძველ ადმინისტრაციულ ჩარჩოებში ჩამოყალიბება თავიდან აგვაცილებდა ბევრ სისხლიან ეთნოტერიტორიულ კონფლიქტს.

კონფლიქტთა აკუმულირებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდენტურობისა და უმცირესობათა საკითხები, რაც პოლიეთნიკურ საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტ პრობლემებს წარმოქმნის. ბევრი მეცნიერი ყველაზე საკამათოდ სწორედ პოლიეთნიკურ საზოგადოებებში მიმდინარე კონფლიქტებს მიიჩნევს. თანამედროვე მსოფლიოში არსებულ დაპირისპირებათა უმრავლესობა კი ამგვარი სახის კონფლიქტებია. ისინი დესტრუქციულ გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ცალკეულ საზოგადოებებზე, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ცნობილია, რომ 99 ქვეყანას ჰყავს 291 ეთნიკური უმცირესობა „რისკის ფაქტორით"[51]. ამასთან, ეთნიკური და ნაციონალური იდენტურობის პრობლემამ შრომითი მიგრანტებისა და ლტოლვილთა რიცხვის ზრდის კვალდაკვალ ახალი დატვირთვა შეიძინა, რაც ახალ, პერმანენტულად ეთნიკურ უმცირესობებს აყალიბებს[52], რომლებისთვისაც თავიანთ ჯგუფის იდენტურობის მტკიცება, სოციალური თუ პოლიტიკური დეგრადაციის შედეგად გაჩენილი შიდა სტრესის მოხსნის ხშირად ერთადერთი საშულებაა. იდენტურობა შედარებითი ცნებაა; იგი საზოგადოებრივი და შეთანხმებითი კატეგორიაა. კოლექტიური იდენტურობის სახეთაგან ასხვავებენ კულტურულ, ეთნიკურ, ეთ-

ნორელიგიურ, ნაციონალურ და სოციალურ იდენტურობას[53]. დიდია მათი მნიშვნელობა საზოგადოებრივ სისტემაში პიროვნებისა და ჯგუფის ორიენტაციისათვის. იდენტურობის საფუძველს კულტურული სხვაობა, სტერეოტიპების, ხალხური ტაქსონომებისა და სოციალური დისტანციის არსებობა წარმოადგენს.

უმცირესობებისათვის იდენტურობის დაცვა არსებობის დაცვის ტოლფასია. უკანასკნელ ხანებში დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესმა იდენტურობის საკითხი მხოლოდ უმცირესობის პრობლემად როდი აქცია. თუკი დასავლეთ ევროპაში იდენტუ-რობის მტკიცება ადმიანებს კულტურული სტანდარტიზაციის თავიდან ასაცილებლად სჭირდებათ, სხვაგან იგი თვითგამორკვევისა და თვით-დამკვიდრების საყრდენ პუნქტად იქცა. განვითარებული ეკონომიკის მქონე საზოგადოებაში იდენტურობის აღიარების მოთხოვნის შესაძლებლობა, როდესაც იდენტურ ჯგუფებს ძალადობის გამოყენების საშუალება აქვთ, საშიში ხდება გარშემო მყოფთათვის. ამასთან, რაც მეტია თავისუფლება და განვითარების შესაძლებლობანი, მით უფრო მძაფრი იქნება ბრძოლა შემდგომი მოთხოვნებისათვის. იქმნება ძალადობრივი ეთნიკური მოძრაობების გაჩენის საშიშროება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ინტერჯგუფური და ინტერეთნიკური კომუნიკაციისა და გაცვლის სისტემების მეშვეობით, შესაძლებელია, იდენტურ ჯგუფებს ჰქონდეთ ურთიერთაღიარებისა და ურთიერთთანამ-შრომლობის პერსპექტივა. *თ. ერიქსენის*[54] შეხედულებით, პოლიეთნიკურ საზოგადოებებში იდენტური ჯგუფები განცალკევებით არ დგანან. მათ აქვთ ინტერეთნიკური კავშირები, რომლებშიც შეიძლება ნეგატიური

სტერეოტიპებიც თამაშობდეს გარკვეულ როლს, მაგრამ ესეც აუცილებელია ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ჯგუფის წევრობა და ლოიალურობა კონფლიქტის ან შეჯიბრის სტერეოტიპებითა და არტიკულაციითაა განმტკიცებული. ამ პროცესს თ. ერიქსენი დიხოტომიზაციას („dichotomisation") უწოდებს. ინტერეთნიკური ურთიერთობები რომ ჩამოყალიბდეს, აუცილებელია კულტურული სხვაობის კომუნიკაციის პროცესის ორმხრივი აღიარება. სხვა შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის იდენტურობის უარყოფა მოხდება და ეს შექმნის კონფლიქტის გამწვავების პირობებს. პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ინტერეთნიკური ურთიერთობების სწორი წარმართვისათვის ასევე აუცილებელია ჯგუფებს შორის დამატებითი საერთო სფეროს არსებობა. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, საურთიერთობო, გაზიარებული ენა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მისი არჩევაც საკამათო ხდება და კონფლიქტის გარემოს ქმნის.

ინტერეთნიკური დაძაბულობის შესახებ მსჯელობისას ვ.ა. ტიშკოვი[55] გამოჰყოფს იმ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ კონფლიქტის შემდგომ გაღრმავებას. ეს ფაქტორებია:

1. ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბების ისტორია, ისტორიული მახსოვრობა სხვადასხვა ეტაპზე ერთაშორისი ურთიერთობების ხასიათის შესახებ (წარმომავლობის, ისტორიული ტერიტორიების, გაყოფათა საკითხები, მხარეთა ურთიერთმოქმედებანი).

2. მხარეთა ეკონომიკური განვითარების დონე (აბსოლუტური და შეფარდებითი), სხვადასხვა ერების წარმომადგენელთა ადგილი საკუთრებისა და მრეწველობის სისტემაში.

3. ეთნიკურ ჯგუფთა სოციალურ-კულტურული განვითარების სტრუქტურა: სოფლის თუ ქალაქის მოსახლეობის სიჭარბე, პროფესიული კვალიფიკაციისა და განათლების დონე. მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ეროვნული ინტელიგენციის ჯგუფებისა და ეროვნულ-კულტურულ და სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა არსებობა;

ვ. ტიშკოვი განსაკუთრებით გამოყოფს ფაქტორებს, რომლებიც არსებითად მოქმედებს ერთაშორის დაძაბულობათა ფორმირებასა და გაძლიერებაზე:

1. მოსახლეობის უმეტესი ნაწილის საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებაზე უარყოფითად მოქმედებს დაგმობის (გაკიცხვის) თანმიმდევრული პოლიტიკის უქონლობა და ეროვნული ძალმომრეობის გამოვლინებათა აღუკვეთლობა.

2. უარყოფითი დამოკიდებულება იმ ერის, უპირველეს ყოვლისა რუსების, მიმართ, რომელთა წარმომადგენლებსაც ასოციაციურად აკავშირებენ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ აპარატთან, ხოლო რესპუბლიკებში იმ ერის მიმართ, რომლის სახელიც ჰქვია ამა თუ იმ რესპუბლიკას;

3. მნიშვნელოვან პრობლემას ჰქმნის იმ ხალხების მდგომარეობა, რომლებიც სტალინური რეპრესიების დროს დეპორტაციისა და მასობრივი გადასახლების მსხვერპლი შეიქმნა, განსაკუთრებით მათი, ვინც ვერ დაუბრუნდა თავის პირვანდელ საცხოვრებელ ადგილს და დაკარგა ეროვნული სახელმნიფოებრიობის უწინდელი ფორმები.

4. ეთნოსთაშორის დაძაბულობის გამძაფრებას ინვევს ადგილობრივი ეთნოდემოგრაფიული ფაქტორების გაუთვალისწინებლად საკავშირო ადმინისტრაციულ-უწყებრივი ეკონომიკური ღონისძიებების გატარება.

5. სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გაღრმავების და ცხოვრების დონის შეფარდებითი დაქვეითების გამო ბევრი რეგიონის მოსახლეობა შეიგრძნობს და სხვადასხვა ფორმით გამოხატავს ეროვნულ მტრობას იმ ერების მიმართ, რომლებიც, მისი აზრით, „უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ჩვენ".

6. ეროვნულ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა, ეთნოსოციალური ერთობის ნორმალური მოქმედების, განვითარების და კვლავწარმოების საჭირო პირობების უქონლობა, ეროვნული ღირსების შელახვა ან ეროვნული ჩაგვრა.

ვ. ტიშკოვი[54] აღნიშნავს, რომ ეთნოსთაშორისი კონფლიქტის ანალიზი ძალიან რთულია, მისი გამომწვევი მიზეზებიც მეტად ჩახლართულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია გამოიყოს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზთა და წინააღმდეგობათა ოთხი ძირითადი ჯგუფი: ეკონომიკური, სოციალური, ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკური.

ეკონომიკური მიზეზები რეგიონალური ხასიათისაა და, შესაბამისად, ითვალისწინებს მისახლეობის ცხოვრების დონეთა შორის ეთნიკურ სხვაობებს.

კონფლიქტების სოციალური მიზეზები ორმაგი ხასიათისაა. ჯერ ერთი, ამ მიზეზებს მიეკუთვნება წარმოების, ვაჭრობის, წესრიგის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვ. დარგების წამყვან სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების მიერ ე. წ. მხოლოდ „ზევიდან" დანიშვნის პრაქტიკა. ეს, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობით დასახლებულ ზონებში ყველა საპასუხისმგებლო პოსტი რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობის წარმოდგენლებს უკავიათ. ამიტომ

ხელმძღვანელთა მხრიდან არაკომპეტენტურობის ან კორუპციის ნებისმიერ ფაქტს მოსახლეობა აფასებს ეთნოსთაშორისი ურთიერთობებიდან გამომდინარე და თან შესამჩნევად ამძიმებს მათ.

ისტორიულ-კულტურული მიზეზები ძალიან მრავალფეროვანია. ჯერ ერთი, კონფლიქტთა გამძაფრებას ხშირად უწყობს ხელს ურთიერთდაკავშირებული ხალხების რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ შეხედულებათა შორის ოდინდელი კარდინალური განსხვავება. ამას ემატება ამ ხალხების თანამედროვე ურბანისტულ კულტურასთან, სტილსა და ცხოვრების ნორმებთან ზიარებისა და შეხების სხვადასხვა ხარისხი. მეორეც, ამ ერების ძველი და ახალი ისტორია დამძიმებულია შინაომებით.

დღეს კი, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიას და ეროვნული თვითშეგნებაც სწრაფად იზრდება, ხალხთა მასების განსჯის საგანი ხდება ძველი საუკუნეების წინანდელი გამარჯვებები და დამარცხებანი.

მესამე, და ყველაზე ძირითადი, ის არის, რომ ბინადარი ხალხების არაერთგზის მიგრაციებმა წარსულში და ნახევრადმომთაბარეთა რეგულარულმა სეზონურმა გადაადგილებებმა „მშობლიური მიწისა" და ეთნიკური ტერიტორიის შესახებ წარმოდგენა საკმაოდ გააბუნდოვნა და დახლართა.

ასევე მრავალგვარია კონფლიქტთა განვითარების *პოლიტიკური მიზეზები.* მათი ნაწილი წარმოიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე ათწლეულებში, მაშინ, როდესაც ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ კავშირებსა და მოსახლეობის ეთნი-

კურ შემადგენლობას შორის კომპრომისის შედეგად დაწესდა საკავშირო, ავტონომიურ რესპუბლიკათა და საოლქო საზღვრები. მაგრამ ამან, ხალხთა განსახლების ისტორიული თავისებურებების გამო, ვერ აგვაცილა თავიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევა, განსაკუთრებით, საზღვრისპირა რაიონებში.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების დახასიათება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნოკონფლიქტების შესწავლისათვის.* სწორედ მათი ანალიზი მოგვცემს საშუალებას, გავიაზროთ ამ დაპირისპირებათა რეალური საფუძველი.

ყოველივე ამას, მეცნიერთა ერთი ნაწილის[57] აზრით, დაერთო სახელმწიფოებრიობის *ჩამოყალიბების და დემოკრატიზაციის პროცესი,* რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მანამდე დადგენილი საზღვრებისა და იდენტურობის პრობლემა. ეს კი იწვევს არასტაბილურობას და ზრდის კონფლიქტთა გამომწვევი მიზეზების რიცხვს. თუ საზოგადოება პოლიეთნიკურია, იდენტურ ჯგუფებს ეძლევათ საშუალება, მეტნაკლებად სანქცირებულად გამოხატონ აქამდე ჩახშობილი პრეტენზიები. ამის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია. მეცნიერთა შრომას მხოლოდ ერთი შედეგის გამოღება შეუძლია — კონფლიქტის გარემოს, მისი გამომწვევი ფაქტორებისა თუ მიზეზების საფუძვლიანი კვლევის შედეგად დაისახოს ის გზები და ხერხები, რომლებიც დისკომფორტს, ინციდენტს, გაუგებრობას, დაძაბულობას ან თუნდაც კრიზისს არ მისცემენ მძლავრ კონფლიქტად ჩამოყალიბების საშუალებას. მით

უმეტეს, რომ კონფლიქტთა უმრავლესობა შერეულ ტიპად არის აღიარებული[58], რაც იმას ნიშნავს, რომ მათში, კონკურენციულთან ერთად, კოოპერაციული ინტერესების აღმოჩენაც შეიძლება. აქედან გამომდინარე, ყურადღება ექცევა კონფლიქტთა ფუნქციებს. მის პოზიტიურ მხარედ შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

1. კონფლიქტი ისეთ პრობლემებს ეხება, რომლებიც გადაჭრას მოითხოვს. იგი ააშკარავებს დაუკმაყოფილებლობისა და გაღიზიანების წყაროებს;

2. კონფლიქტი ევოლუციური ცვლილებების საშუალებას წარმოადგენს და ძალისმიერი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას ამცირებს. მისი არსებობის აღიარება და მის მიმართ პოზიტიური რეაქცია ასევე ამცირებს სტაგნაციის შესაძლებლობას, რაც კონფლიქტში ჩართულ მხარეებს აძლევს საშუალებას, რომ აღდგენილ იქნას ძალთა ბალანსი და აღორძინდეს ის ბაზისური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება ურთიერთობები;

3. კონფლიქტი მასში ჩართულ მხარეებს აძლევს საშუალებას უკეთ გაერკვნენ საკუთარ მიზნებში, ღირებულებებსა და ინტერესებში;

4. კონფლიქტი არის ურთიერთობების შემზღუდავი ასპექტების ან რესურსების არათანაბარი განაწილების შედეგად წარმოქმნილი დაძაბულობის ან მტრული დამოკიდებულების განტვირთვის საშუალება;

5. მართვადი კონფლიქტი, რომელიც არ ემუქრება ბაზისურ ურთიერთობებს, ხელს უწყობს ურთიერთობათა სრულყოფასა და განვითარებას[59].

მაგრამ კონფლიქტს ხშირად დესტრუქციული ფუნქციაც აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შიშის რეაქციასა და თავდაცვის

მოთხოვნილებას ინვევს ინდივიდსა თუ ჯგუფებში; ზრდის პრობლემათა რაოდენობას; ხელს უწყობს მტრული ალიანსების ჩამოყალიბებას; ამახინჯებს კომუნიკაციებს დაპირისპირებულ მხარეთა შორის; კონფლიქტის ნეგატიური გამოვლინებაა ისიც, რომ მის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ მკაცრი და უკიდურესი პოზიცია უყალიბდებათ და ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა.

კონფლიქტთა ამ ფუნქციებზე დაყრდნობით გამოიყოფა კონფლიქტის *კონსტრუქციული* და *დესტრუქციული* ტიპები. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გამოკვეთილად კონსტრუქციული ან გამოკვეთილად დესტრუქციული კონფლიქტები თითქმის არ არსებობს. იგი უფრო მეტად შერეული ტიპისაა და დიდ მნიშვნელობას იძენს სწორედ კონფლიქტის დადებითი მომენტების გამოყენება-წახალისება, უარყოფითისა კი — გაკონტროლება-შეზღუდვა.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებს აანალიზებს *ბ. პიეტცონკა*[60] და თვლის, რომ პოტენციური კონფლიქტების პირობებს ქმნის ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთ რეგიონებში განფენილი ტერიტორიული ერთობების ეთნიკური სტრუქტურის ჰეტეროგენურობა, ეთნიკურად შედარებით ჰომოგენური ტერიტორიების პოლიტიკური საზღვრებით გამოყოფა, ადმინისტრაციული ცვლილებებისა და იძულებითი მიგრაციების საფუძველზე გაჩენილი ეთნოტერიტორიული დაყოფები; ექსკლავებისა და ანკლავების, ავტონომიების და ეთნიკური უმცირესობების არსებობა. ყოველივე ეს შეიძლება მძლავრი ეთნოკონფლიქტების მიზეზად იქცეს.

მსგავსი ეთნოკონფლიქტები კი მათი წარმოშობის მიხედვით სხვადასხვა ტიპებად იყოფა.

ვ. ტიშკოვი[1] ეთნიკური კონფლიქტების შემდეგ ტიპებს გამოყოფს:

1. პოლიტიკურ მოძრაობათა სახით გამოხატული ეროვნულ-პოლიტიკური კონფლიქტები, რომელთაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეროვნული ლოზუნგები აქვთ.

2. სახალხო მოძრაობათა სახით გამოხატული ერთაშორისი მასობრივი კონფლიქტები, რომელთა საფუძველია არსებული ტერიტორიული დაყოფისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მონყობის გადასინჯვის (ან შენარჩუნების) მოთხოვნა. მოძრაობათა მიზანია წინააღმდეგობა გაუწიონ დაპირისპირებულ ეროვნულ მოძრაობებსა და მეზობელ საკავშირო ან ავტონომიურ რესპუბლიკათა ხელისუფლების ორგანოებს.

3. უმცირესობათა ეროვნულ-კულტურული მოძრაობები, რომლის მიზანია მშობლიური ენის, კულტურის დაცვისა და აღორძინების, აგრეთვე ტერიტორიული ან კულტურული ავტონომიის უფლებათა უზრუნველყოფისა და დაცვის მოთხოვნა. ამ ტიპის ეროვნული მოძრაობები მიმართულია ხელისუფლების ზემდგომი (რესპუბლიკური) ორგანოების და, გარკვეულწილად, რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ.

4. სოციალურ-ეკონომიკური სფეროს წინააღმდეგობით გამოწვეული ეროვნებათაშორისი დაძაბულობანი უმცირესობასა და მკვიდრ მოსახლეობას შორის. ამ დაძაბულობათა შედეგები, როგორც წესი, მიმართულია ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების წინააღმდეგ.

5. ეთნოსთაშორისი კონფლიქტების ეს ტიპები, ვ. ტიშკოვის[62] აზრით, არსებითად, მხოლოდ მოდელებია, რომლებიც დამოუკიდებლად პრაქტიკულად არ გვხვდება. სინამდვილეში, რეალურად არსებული კონფლიქტების დროს, ამ მოდელების ძირითადი ნიშნების შერწყმა ხდება.

ასეთ კონფლიქტთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ეთნოტერიტორიული კონფლიქტებია, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებითაა განპირობებული და სხვადასხვა სახითაც გამოვლინდებიან. ხშირად მათ პოლიტიკურ-ტერიტორიული კონფლიქტის ხასიათი უფრო აქვთ, ვიდრე ეთნოკონფლიქტისა. უბრალოდ, გარკვეული პოლიტიკური ძალები ეთნიკურ ლოზუნგებს იყენებენ. პოსტსაბჭოურ სივრცეში დღეს არსებული სიძნელეები და წინააღმდეგობები შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ჯგუფის უკმაყოფილების ამა თუ იმ მიმართულებით წარმართვას. ჯერჯერობით, ამ კონფლიქტებისა და დაძაბულობათა გადანყვეტა ყოველი ცალკეული თუ საერთაშორისო საზოგადოების შესაძლებლობებს აღემატება, თუმცა კი ზოგჯერ ხერხდება კონფლიქტთა შეჩერება და მეტნაკლებად სტაბილური სიტუაციის შექმნა. ამასთან, ყოველი კონკრეტული კონფლიქტი ინდივიდუალური და უნიკალურია, ამდენად გამართლებულია მათი ცალ-ცალკე შესწავლა, გამომწვევი მიზეზების დადგენა და სათანადო კონკრეტული დასკვნების გამოტანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1 Montagu A., The Nature of Human Aggression, in Shaw Paul R, Wong, Juwa, Genetic Seeds of War Face. Evolution, Nationalism and Patriotism, London, 1989, p.3.

2 იქვე: Burke, C. Aggression in Man, in Shaw, p.3.

3 იქვე.

4 reud S., Why war//wspsa, 1964.

5 Kluchholhnin C., Mirror for man, NY. 1999. Monsfield S., The Gestalt of Wor; an Inguiry into Its Origins and Meanings as a Social Institution NY. 1982. Brown P., Staister I. Introduction: Culture and Aggression // A Q. V. 59 #4, 1986.

6 Dollar, J. M: Elber M., Doob, L, Mourer O. H. Seorg, R. Frusration and Aggression, New Haven. 1939.

7 Sumner W.G. War // wspa 1964.

8 Glackman M., Castom and Conflict in Africa. Oxford, 1955.

9 Lorenz K., On Aggression, NY. 1969.

10 Bigelow R., The Dawn Warriors Man's Evolution Forward Peace, Boston, 1969.

11 Tiger, L., Introduction // International Social Science Journal, v.23. #1, 1971.

12 Montagu M.F.A. The Nature of Human Aggression, NY. 1976.

13 White, L.A. The Science of Culture. NY. 1949.

14 Newcomb W.W. Toward an Understanding of War // Essays in the Science of Culture. NY. 1960

15 Elliot-Smith G., Human History. NY. 1929

16 Montagu, დახახ. ნაშრ.

17 კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 1998.

18 Merton R., Social Theory and Social Structure, Glencoe III, The Free Press, 1957. მისივე: On Theoretical Sociology, #4. The Free Press, 1967.

19 Parsons, T. Structural-Functional analysis in Sociology. The Idea of Social Structure, # 4, 1972

0 Koser Lewis, The Functions of Social Conflict, # 4. 1956.

21 Гайденко П.П., Давидов Ю.Н., История и рациональность: социология Макса Вебера и веберовский ренессанс, М. 1991

22 Weber, M. The Methodology of the Social Sciences, Glencoe, 1999, გვ. 26-27.

23 Parsons T. The Structure ... 1961

24 კონფ. სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 1998, გვ.10.

25 Lundberg A. The Foundatins? of Sociology, New York, 1939.

26 Simmel G., Conflict - Glencoe, 1956.

27 Тернер Д., Структура социологической теории, Москва, 1994, стр. 25-50.

28 Тернер Д., დასახ. ნაშრ., გვ. . 25-50.

29 Тернер Д., დასახ. ნაშრ., გვ. 34.

30 Coser L., დასახ. ნაშრ., გვ. . 28-31.

31 კონფ. სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 1998, გვ. 10-12.

32Rex J. Key Problems in Sociological Theory, London: Routlege and Kegan Paul, 1961.

33 Rex J. დასახ. ნაშრ.

34 Турен А. Социальные движения, революция, демократия, М., Свободная Мысль, 1991.

35 Coser Lewis, The Functiones of Social Conflict, N.Y., 1956, p. 12-23.

36 Coser L., დასახ. ნაშრ., გვ. 30-35.

37 Deutsch Morton, Subjective Features of Conflict Resolution: Psychological, Social and Cultural Influences, p. 27,

38 Burton John, Conflict: Resolution and Provention London: MacMillan Press, 1990, p. 113; (Morgenthau Hans (1948), Politics Among Nations: The strugglt for Power and Petace, Knopf.

39 აშშ და რუსეთის საელჩოების ანალიტიკური მასალა.

40 altung J. Essays in Peace Research, Vol. 1. Copenhagen, 1975.

41 Lorenz, K. On Aggression, NY, 1974.

42 Volkan, V. The need to have Enemies and Allies: From Clinical Practice to International Relationships, Nortville: Aronson, 1988.

43 Volkan, V. დასახ. ნაშრომი

44 Burton John, Conflict: Human Needs Theory, London: Mac Millan, 1990,

45 Jarbi, Vivienne, Discourse on Violence, Manchester, 1996.

46 Connole, William E, Nhe Ethos of Plura Lisation, Minneapolis, 1995.

47 Ghai D. Hewitt de Alcataro, C, Blobalization and Sosial Integration: Patterns and Processess, occasional Paper # 2, Word Summit for Social Development, Geneva, 1994, p. 15.

48 Northrup, Terrel A, Dinamics of Identity in Personal and Social Conflict in Louis Kriesberg, Terrel Northrup and Stuart J. Thorson, Intractable Conflicts and their Transformation, 1989, p. 65.

49 Maslow Abraham, The Farther Reaches of Human Nature, Penguin Books, 1976.

50 Burton John. Conflict: Resolution and Prevention, London, Macmillan, 1990, p.38-39.

51 Gurr Ted R., and Scarritt, James R., "Minority Rights at Risk: A Global Survey", Human Rights Quar terly (Auigust), 1989.

52 Eriksen T.H. Ethnicity and Nationalism. Anthropological Perspectives. London-Boulder. Colorado. 1993. p. 2-3.

53 Eriksen T.H. დასახ. ნაშრ., გვ. 60.

54 Eriksen T.H. დასახ. ნაშრ., 1993. გვ. 26-27.

55 Тишков В.А. Да изменится молитва моя, Москва, 1989, стр. 30-39.

56 Тишков В.А., დასახ. ნაშრ., გვ. 30-39.

57 Дробижева Л.М., Аклаев А.Р., Коротеева В.В., Солдатова Г.У.; Демократизация и образы национализма в Российской федерации 90-х годах, М. 1996. Стр. 22-23.

58 Deutsch Morton., დასახ. ნაშრ., გვ. 26-56.

59 Крейтон и Крейтон, Альтернативное решение конфликта, Материалы семинара проведенного в г. Тбилиси 1995 г.

60 Pietzonka B. Ethnish-territoriale Konflikte in Kaukasien. Eine politish-geographische Systematisierung, Baden-Baden, 1995.

61 Тишков В.А., დასახ. ნაშრ., გვ. 34-36.

62 Тишков В.А., დასახ. ნაშრ., გვ. 34-36.

ეთნოტერიტორიული კონფლიქტები

ნებისმიერ ეთნიკურ კონფლიქტს აქვს ტერიტორიული ასპექტი, დაკავშირებული კონკრეტულ ტერიტორიასთან. მაგრამ ყველა ეთნიკური კონფლიქტი არ აცხადებს ტერიტორიულ პრეტენზიას ეთნიკური ერთობის „სახელით" და ამიტომ არც განიხილება როგორც ეთნოტერიტორიული. ასეთებია ის ეთნოკულტურული კონფლიქტები, რომელთა წარმოქმნა განპირობებულია ეროვნული ენისა და კულტურის განვითარება-ფუნქციონირების ხელისშემშლელი პირობებით. ისინი უფრო ხშირად ეროვნული უმცირესობის ინტერესებს იცავენ და მათი მოთხოვნები შემოიფარგლება ეთნოკულტურული (და არა ადმისტრაციულ-ტერიტორიული) ავტონომიის შექმნით. ასეთივეა ეთნოსოციალური კონფლიქტები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ეთნიკური ჯგუფების მეტოქეობა ეკონომიკის შემოსავლიანი ან პრესტიჟული სფეროების ხელში ჩასაგდებად და სათანადო სოციალურ ნიშნებსა და ელიტურ ფენებში წარმომადგენლობის მისაღწევად. მაგრამ არც ეთნოკულტურული და არც ეთნოსოციალური კონფლიქტი არ მიეკუთვნება ეთნოტერიტორიულ კონფლიქტს, თუმცა შეუძლიათ პირდაპირ თუ ირიბად გავლენა მოახდინონ ეთნიკური ჯგუფების განახლებაზე, მიგრაციულ ბალანსზე და ა. შ., რითაც ტერიტორიული კონფლიქტის ხასიათს მიიღებს.

საკუთრივ ეთნოტერიტორიული კონფლიქტი არის ეთნოსის ან ეთნიკური ჯგუფის „სახით" მიმდინარე დავა მათი ამა თუ იმ ტერიტორიაზე ცხოვრების, მისი ფლობის და მართვის უფლების გამო. სუვერენულ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი ტერიტორიული დავა არ არის კლასიკური ეთნოტერიტორიული კონფლიქტი.

ლოგიკურად ასეთი დავა არის სახელმწიფოთაშორისი (ხალხთა-შორისი) ტერიტორიული კონფლიქტი, რადგან მასში უბრალოდ ეთნოსები კი არ მონაწილეობენ, არამედ სახელმწიფოები, ერები, ხშირად მთელი პოლიეთნიკური საზოგადოებები, თუმცა ტიპიურ ეთნოტერიტორიულ კონფლიქტსა და სახელმწიფოთაშორისი ტერიტორიულ დავას ბევრი რამ მჭიდროდ აკავშირებს. მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობა ყალიბდებოდა როგორც ეროვნული სახელმწიფო გამოკვეთილი ეთნიკური (ეთნოკულტურული, ეთნოლინგვისტური, ეთნოპოლიტიკური, ეთნომეურნეობრივი) უპირატესობით. სადავო ტერიტორიული საკითხებიც მათ შორის აუცილებლად იძენს ეთნიკურ შეფერილობას[1].

მთელ ეთნიკურ ჯგუფს ან მის უმრავლესობას არასოდეს უჩნდება ტერიტორიული პრეტენზიები. მოთხოვნებს, როგორც წესი, წამოაყენებს პოლიტიკური ელიტა, ეროვნული მოძრაობა და პარტიები, მათი ლიდერები, ინტელიგენცია და ა. შ.

ეთნიკური ჯგუფის „სახელით„ ტერიტორიული პრეტენზიების წინ წამოწევა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ეთნოსი უცხადებს სოლიდარობას ამგვარ მოთხოვნებს. ბევრად უფრო სახიფათოა ის ტერიორიული კონფლიქტები, რომლებშიც მოსახლეობის უმრავლესობას ჩაითრევს ეროვნული მოძრაობის რადიკალურად განწყობილი, აქტიური ნაწილი თავისი ლოზუნგებით. ასე მოხდა სომხურ-აზერბაიჯანული, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური, ეთნოტერიტორიული კონფლიქტების დროს. კონფლიქტში ჩართულ მხარეთა ტერიტორიული მოთხოვნები ემთხვევა მთელი ეთნოსის შემაკავშირებელ ეროვნულ იდეას, რაც ართულებს კომ-

პრომისის გზების ძიებას. მაგრამ სახიფათოა ის ეთნოტერიტორიული კონფლიქტებიც, რომელთა სუბიექტებიც თავდაპირველად არიან ამა თუ იმ ეთნოსის მხოლოდ მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან აქტიური და რადიკალური დაჯგუფებები. კონფლიქტების უმრავლესობა სწორედ ასეთია და ისინი პერსპექტიულ ფართომასშტაბიან ეთნოტერიტორიულ კონფლიქტებად ყალიბდებიან[2].

მაგალითად საბჭოთა ხელისუფლების დროს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის გატარებულმა საზღვრებმა ბევრგან გათიშეს ერთიანი ეთნოკულტურული და სამეურნეო რეგიონები, ხოლო იმდროინდელმა მიგრაციულმა ნაკადებმა ეთნიკური განსახლების მოზაიკურობა (სიჭრელე) გაამძაფრეს. სსრკ-ის დაშლის შემდეგ ერები აღმოჩნდნენ გათიშული სახელმწიფო საზღვრებით, ანუ თანამემამულეები სხვადასხვა სახელმწიფოებში აღმოჩნდნენ. ამის ნათელი მაგალითია საზღვრები რუსეთსა და ესტონეთს, რუსეთსა და ლატვიას, უკრაინასა და მოლდავეთს, რუსეთსა და ყაზახეთს, უზბეკეთსა და ტაჯიკეთს, ყირგიზეთსა და უზბეკეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის.

განსაკუთრებით რთულია ის კონფლიქტები, რომლის მონაწილეებიც სადავო მიწებს თავისი ისტორიული სამშობლოს ნაწილად თვლიან. ასეთად თვლიან მთიან ყარაბაღს სომხები და აზერბაიჯანელები, ალაის ველსა და პამირ-ალაის — ტაჯიკები და ყირგიზები, ზარაფშანის ველს — უზბეკები და ტაჯიკები. მაგრამ თუ შუა აზიაში ტერიტორიულ პრეტენზიებს ეროვნულ-რადიკალები გამოთქვამენ, ამიერკავკასიაში ამ პრეტერზიებმა ფართომასშტაბიანი ომის სახე მიიღო.

საზღვრების გადასინჯვის მოთხოვნა მიმდინარეობს როგორც ეროვნულ სახელმწიფოებრივი ტერიტორიის „შიგნიდან", ასევე „გარედანაც". პირველ შემთხვევაში ამას ირედენტულ პრეტენზიების სახე აქვს ეთნიკური ჯგუფების „სახელით", რომლებიც ისწრაფვიან, შეუერთდნენ თავიანთ სამშობლოს, ხოლო მეორე შემთხვევაში — საზღვარგარეთიდან ექსპანსიური პრეტენზიისა. ამასთან, ტერიტორიული პრეტენზიების დასასაბუთებლად ხელსაყრელი საბაბია ის, რომ „ეთნიკური ნათესავები" სახლობენ მოსაზღვრე ქვეყნებში, სადაც ისინი ეროვნულ უმცირესობას წარმოდგენენ და განიცდიან პოლიტიკურ თუ უფლებრივ დისკრიმინაციას (რეალურსა თუ ყალბს, მოჩვენებითს)[3].

ეთნოტერიტორიული კონფლიქტებს მიეკუთვნება აგრეთვე ამა თუ იმ ტერიტორიის ადმინისტრაციული სტატუსის გარშემო ატეხილი დავა, რომელიც დაკავშირებულია ეთნიკური ჯგუფის „სახელით" წამოყენებულ პრეტენზიებთან დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ავტონომიის ან ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნის შექმნის, ან პირიქით მათი გაუქმების მოთხოვნით. საკუთარი ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნების შექმნას (აღდგენას) ითხოვენ რუსეთში გერმანელები, ლიტვაში პოლონელები, უკრაინაში უნგრელები და რუმინელები, ბალტიასა და დსთ-ის სხვადასხვა ქვეყნებში რუსები და უკრაინელები. ავტონომისტური მოძრაობა შეიმჩნეოდა უზბეკეთში მცხოვრებ ტაჯიკებს შორის, ასევე ყირგიზეთში მცხოვრებ უზბეკებსა და მთიანი ბადახშანისა და ტაჯიკეთის ყირგიზებს შორის.

ტერიტორიული ადმინისტრაციული სტატუსისა და საზღვრების შეცვლის მოთხოვნები ხშირად თანმხლები მოთხოვნებია, თუმცა

სხვადასხვა ტიპის კონფლიქტებისთვის დამახასიათებელი. აქ რამდენიმე შემთხვევაა შესაძლებელი: პოლიეროვნული რესპუბლიკების გაყოფა (ჩაჩნეთ-ინგუშეთის მაგალითის მიხედვით — ყაბარდო-ბალყარეთისა ყაბარდოდ და ბალყარეთად, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა — ყარაჩაეთად და ჩერქეზეთად; პოლიეთნიკური წარმონაქმნებიდან მონოეთნიკურების გამოყოფა (დაღესტნის დაშლა ყუმიყეთის, ავარიის, რაგინსკის რესპუბლიკებად); ორი ან მეტი მოსაზღვრე რესპუბლიკის საზღვრის ორივე მხარეს მდებარე ეთნიკური განსახლების რაიონების ხარჯზე ერთიანი ეროვნული წარმონაქმნის ფორმირება (ლეზგინეთის შექმნის იდეა აზერბაიჯანისა და დაღესტნის მოსაზღვრე ტერიტორიებზე) იმ ეროვნულ-ადმინისტრაციული ერთეულების გაერთიანება, რომელიც სატიტულო (ძირითადი) მოსახლეობის აზრით მისი „ეთნიკური ტერიტორია" (ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთების, ჩიტისა და ირკუტსკის ოლქებში შემავალი ბურიატიის ავტონომიის ოლქების ბურიატიასთან მიერთების მოთხოვნა); ადმინისტრაციული საზღვრებით გაყოფილი ეთნიკურად მონათესავე ხალხების შეერთება (ყარაჩაეთისა და ბალყარეთის; ყაბარდოს, ჩერქეზეთისა და ადიღეს; ბაშკირეთისა და თათრეთის ინტეგრაცია და ა. შ.).

თავისებურია კონფლიქტები, რომლების მოთხოვნა არის პოლიეთნიკურ სახელმწიფოებისა და ადმინსტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების *ფედერალიზაცია* (უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, დაღესტანი), თუმცა უკრაინაში განიხილავდნენ ქვეყნის ფედერალიზაციის პერსპექტივას არა ეთნოეროვნული, არამედ წმინდა ტერიტორიული ნიშნით[4].

ძველი დასახლების ადგილებში *დაბრუნებას ითხოვენ* იქიდან დიდი ხნის წინ აყრილი ხალხები ისტორიულ სამშობლოში დაბ-

რუნება სურთ სტალინიზმის ეპოქაში დეპორტირებულ ხალხებს გერმანელებს, ყირიმელ თათრებს, ე.წ. მაჰმადიან მესხებს, ქურთებს. 50-იანი წლების ბოლოს ადრინდელი დასახლების ადგილებში დაბრუნდა მეორე მსოფლიო ომის წლებში რეპრესირებული ხალხების დიდი ჯგუფები (ჩაჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები, ბალყარები, ყალმუხები). მაგრამ რეპატრიციამ წარმოშვა ახალი პრობლემები(ოსებსა და დაბრუნებულ ინგუშებს და ა. შ. შორის): მიწის, საცხოვრებელი საკითხები, ტერიტორიული დავა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Стрелецкий В., Этнотеррториальные конфликты: сушнисть, генезис, типы. в сб: Идентичностть и конфликт в постсоветских государствах. М.б 1997, გვ. 230-231.
2. იქვე, გვ. 235.
3. იქვე, გვ. 237.
4. იქვე, გვ. 23

კონფლიქტის ფორმები

ეთნიკური კონფლიქტის ფორმის დადგენის პრინციპი მეტად მარტივია, რადგან თვით დაპირისპირება შეიძლება იყოს სისხლიანი და უსისხლო. მაგრამ, ერთიც და მეორეც შეიძლება იყოს სხვანაირი.

რეგიონული ომი (ექვსი მათგანი ხანგრძლივია — არანაკლებ რამოდენიმე თვის), ე. ი. შეირაღებული შეტაკებები რეგულარული ჯარის მონაწილეობით და მძიმე ტექნიკის გამოყენებით; ყარაბაღი, აფხაზეთი, ტაჯიკეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი (აქვე განვიხილავთ იჩქერიის კონფლიქტს).

მოკლევადიანი შეიარაღებული შეჯახება, რომელიც გრძელდება რამოდენიმე დღეს და რასაც მოჰყვება მსხვერპლი. ამ ტიპს განეკუთვნება ფერღანა, ოშკი, ოსურ-ინგუშური შეტაკება, აგრეთვე სუმგაითი — სულ ოცამდე. ასეთ შეტაკებებს უწოდებენ „კონფლიქტი-ჯანყი", „კონფლიქტი-დარბევა", „არამართვადი ემოციების კონფლიქტს".

სხვა კონფლიქტები არიან *„არა შეიარაღებული"*. მათ რიცხვს მიაკუთვნებენ „ინსტიტუციონალურ კონფლიქტებს", როდესაც წინააღმდეგობაში აღმოჩნდებიან კონსტიტუციის, კანონმდებლობის ნორმები, რომლის მეშვეობით ხდება მოპირდაპირე მხარეების იდეოლოგემათა რეალიზაცია. ამ ფორმის კონფლიქტებს არ ახლავს მუდამ თემთაშორისო დაპირისპირება. მაგალითად, თათრეთსა და ცენტრს შორის ინსტიტუციონალური, საკონსტიტუციო მწვავე კონფლიქტის დროს, რასაც დაერთო ეთნიკური დაძაბულობა, კონფლიქტები თათრებსა და რუსებს შორის არ ფიქსირდებოდა, რასაც ადასტურებენ მკვლევარი-ეთნოსოციოლოგები.

კიდევ ერთი ფორმა — მანიფესტაციები. მათ რიცხვში ასახელებენ მიტინგებს, დემონსტრაციებს, შიმშილობას, „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის", აქციებს.

დაბოლოს, როგორც უკვე ითქვა, არსებობს კონფლიქტის „იდეოლოგიური ფორმა", როდესაც მძვინვარებს „იდეების კონფლიქტი".

ყველა მოყვანილი ფორმა გამოირჩევა „მოქმედი პირებით, ანუ კონფლიქტის ძირითადი სუბიექტებით. როცა დომინირებს ინსტიტუციონალური ფორმა, მაშინ მთავარ მოქმედ პირებად გვევლინებიან ხელისუფლების სტრუქტურები, პარტიების საზოგადოებრივი მოძრაობის ორგანიზატორები, რომლებიც მოქმედებენ ხელისუფლების ინსტიტუტების მეშვეობით.

კონფლიქტის მანიფესტაციის ფორმის დროს სუბიექტებად გვევლინებიან ხალხთა მასები. ამიტომ ამ ფორმას ხშირად უწოდებენ „მასობრივი მოქმედების კონფლიქტს". ცხადია, რომ ეს ტერმინი პირობითია, მაგრამ კოფლიქტის ზონაში მკვეთრად განასხვავებენ მუდამ ცალკეულ ჯგუფებს და მასების გამოსვლას.

დაბოლოს, ფორმით იდეოლოგიურ კონფლიქტებში მონაწილეებად გვევლინება პოლიტიკური, სამეცნიერო, მხატვრული-შემოქმედებითი ჯგუფების ელიტა. მათ იდეებს აცნობს ხალხს მასმედია და განათლების სფეროს წარმომადგენლები. ტრადიციულ და გარდამავალ საზოგადოებაში იდეათა გამავრცელებლის როლს ასრულებენ ხუცები, ანუ ავტორიტეტის მქონე პირები.

კონფლიქტის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. ნებისმიერი დამახინჯებული ინფორმაცია, უადგილო განმარტება, ეპიტეთები და ა. შ. ამძაფრებენ სიტუაციას. როცა ჩეჩნებს უწოდებენ „ბან-

დიტებს", ამით უფრო აძლიერებდნენ მათ წინააღმდეგობას. ისეთი გამოთქმა, როგორიც არის „ჩვენი ჯარი", „ჩვენი ბიჭები" ქმნის წარმოდგენას იმისა, რომ ჩეჩნები „ჩვენი არ არიან". ასევე საზიანოა საინფორმაციო ვაკუუმის შექმნა, ეთნოპოლიტიკური, იდეოლოგიური და ინსტიტუციონალური კონფლიქტების ზონაში (თათრეთი, სახა (იაკუტია), ტუვა) მეტად გავრცელებულია ეჭვიანობა (აზრი), რომ მასმედია დამახინჯებულად ასახავს სიტუაციას, რაც ძაბავს ურთიერთობას აქ მცხოვრებ ეთნოსებსა და რუსებს შორის. აქ დამკვიდრდა გამოთქმა: „ინფორმაციული ომი".

თუ არაძალადობრივ კონფლიქტებს მოჰყვება ფსიქოლოგიური დაძაბულობა, ფრუსტრაცია, ეთნიკური ჯგუფების გადასვლა სხვა საცხოვრებლებში; ძალადობრივ კონფლიქტებს თან სდევს მსხვერპლი, ლტოლვილთა ნაკადი, იძულებითი დეპორტაციები. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის დროს ორივე მხარემ გაიღო დიდი მსხვერპლი; 160 ათასი აზერბაიჯანელი გაძევებული იყო სომხეთიდან; 250 ათასი სომეხი — აზერბაიჯანიდან. ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს 100 ათასი ადამიანი გახდა ლტოლვილი; ოსურ-ინგუშურმა კონფლიქტმა იმსხვერპლა 600 ადამიანი და 50 ათასი გახდა ლტოლვილი. საშინელი მსხვერპლი მოჰყვა კონფლიქტს ჩეჩნეთში: 302,8 ათასი ადამიანი გახდა ლტოლვილი.

სოციალურ ანთროპოლოგიურ მეცნიერებაში დღეს აღიარებული აზრია, რომ კონფლიქტების პრობლემა ყველაზე მწვავედ იჩენს თავს მრავალეროვან საზოგადოებაში და მსოფლიო ეთნოკონფლიქტების უმრავლესობაც სწორედ იქ ხდება. კონფლიქტი არა მხოლოდ იმ კონკრეტულ ჯგუფზე ახდენს დესტრუქციულ ზემოქმედებას, რომელშიც ის ვითარდება, არამედ ეს ზემოქმედება ვრცელდება ჯაჭვური რეაქციის სახით სხვა საზოგადოებებზეც. თავის თავად ეროვნულობა უკავშირდება ეთნოსს. მეცნიერები თვლიან, რომ ეთნოსი არის სოციალური ჯგუფის განსაკუთრებული სახე, რომელიც აღმოცენდება არა ცალკეულ ინდივიდების სურვილით, არამედ გარკვეული ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შედეგად. ეთნოსს ახასიათებს შედარებითი მდგრადობა. ესა თუ ის ეთნოსი, ჩვეულებრივ არსებობს საუკუნეების განმავლობაში, მას აქვს თვითნოდება, და რაც მთავარია, ეთნოსის არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასში გაერთიანებულ ადამიანთა თვითშეგნებას. ეთნოსთა ურთიერთიდენტიფიკაცია და განსხვავება სხვა მსგავსი ერთობებისაგან გამოიხატება ანტითეზით „ჩვენ-ისინი". თვითშეგნების გარდა, რომელსაც ეთნიკურ თვითშეგნებასაც უწოდებენ, არსებობს ამ ეთნოსში შემავალი ხალხის ობიექტური, რეალური მახასიათებლები. ეს მახასიათებლები, ჩვეულებრივ, იმ ინტეგრაციული და დიფერენციალური ნიშნების ერთობლიობაა, რომელიც თავს იჩენს ეთნოსის წევრთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი სფეროა ენა, როგორც ეთნოსის წევრთა საკომუნიკაციო საშუალება.

ენასთან ერთად, ეთნოსის არსებობის განმსაზღვრელია კულტურა, უპირველესად კი მისი ისეთი კომპონენტები, რომლებსაც აქვს ტრადიციული, მასობრივი ხასიათი და ვლინდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეთნოსის კულტურული ერთობა თავის მხრივ დაკავშირებულია ეთნოსის წევრთა ზოგიერთ ფსიქიკურ თავისებურებასთან. ეს ფსიქიკური თავისებურებები საბოლოო ჯამში ქმნის ეთნიკურ (ეროვნულ) ხასიათს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სრულიად არ არის აუცილებელი ჩამოთვლილ ნიშანთაგან ნებისმიერი მხოლოდ და მხოლოდ ერთი გარკვეული ეთნოსისათვის იყოს სპეციფიკური (მაგ.: ინგლისურ ენაზე მეტყველებს არა მხოლოდ ერთი ეთნოსი — ინგლისელები, არამედ ანგლო-საქსები, ჩრდილო ამერიკელები და ა. შ.). ეთნოსის თავისებურება გამოიხატება არა რომელიმე ერთი კომპონენტით, არამედ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ობიექტურ თვისებათა ერთობლიობით. მაგრამ არც ეს ნიშნავს იმას, რომ ეთნოსი თვისებათა, ნიშანთა უბრალო თავმოყრაა. იგი განსაზღვრული მთლიანობაა, რომელშიც ძირითად როლს ასრულებენ სხვადასხვა კომპონენტები. ერთ შემთხვევაში მთავარია ენა, მეორეში — სამეურნეო-ყოფითი თავისებურებები, მესამეში — ქცევის დამახასიათებელი ნიშნები და ა. შ.

ეთნოსის მრავალსაუკუნოვან არსებობას უზრუნველყოფს ენის, კულტურისა და ყოფის დამახასიათებელი ნიშნების თაობიდან თაობაზე გადაცემა. ეთნოსის ხანგრძლივი არსებობისათვის მნიშვნელობა აქვს უპირატესად ქორწინებას ერთი ეთნოსის შიგნით ანუ ფაქტიურად ენდოგამიას. ეთნოსის აღმოცენება მასში გაერთიანებული ადამიანთა ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგია, ისიც მაშინ, როცა ისინი ერთად ცხოვრობენ ერთ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე ადამიანები სამეურნეო, კულტურული, ყოფითი

საქმიანობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, უყალიბდებათ გარკვეული ფსიქიკა, თვითშეგნება. ეს კავშირი იმდენად ძლიერია, რომ რაიმე მიზეზის გამო გამოყოფილი ეთნოსის ნაწილი (ბუნებრივი თუ იძულებითი მიგრაციები, სახელმწიფოს საზღვრების გადაადგილების პოლიტიკური შედეგები და სხვ.) დიდხანს ინახავს ადრინდელი ერთობის დამახასიათებელ ნიშნებს.

ჩვენ აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ ეთნოსის შინაგანი დანაწევრების, მისი რთული იერარქიის, შემადგენლობის შესახებ. ამგვარი ანალიზი შორს წაგვიყვანს. ჩვენ გვაინტერესებს ეთნოსის ის ნაწილი, რომელსაც „ეროვნულ უმცირესობას" უწოდებენ და რომელთა ერთ ტერიტორიაზე სახლობა სახელმწიფოს პოლიეთნიკურად გადააქცევს.

საბჭოთა მეცნიერებაში ცნება „უმცირესობების" აღსანიშნავად გამოიყენებოდა სინონიმური გამონათქვამები: „ეროვნული უმცირესობა" და „მცირე ხალხები". „მცირე ხალხები" ადამიანთა ისეთი ერთობაა, რომლის დამოკიდებულებაც ეროვნული ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის მიმართ, მისი შედარებით შეზღუდული ეთნოდემოგრაფიული პოტენციალის გამო, გამოირჩევა თავდაცვითი რეაქციით. სხვათა შორის სწორედ ამიტომ მცირე ხალხებს დიდ ხალხთან კონტაქტისას ახასიათებს არა გარე, არამედ შიდა ორიენტაცია, ჩაკეტელობა თავის თავში, რა თქმა უნდა მაშინ, როცა ერთაშორის (ეთნოსთაშორის) ურთიერთობებს კონფლიქტური ხასიათი აქვს. „მცირე ხალხები", როგორც კრებითი ტერმინი, ოთხი კატეგორიის წარმონაქმნს მოიცავს: ა) მცირერიცხოვანი ხალხები; ბ) ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობანი, ანუ ის ხალხები, რომელთა ძირითადი მასა უმცირესობის მიერ ამჟამად დაკავებული ტერიტორიის გარეთ იმყოფება; გ) ეროვნული, ეთნოგრაფი-

ული ჯგუფები, დეზინტეგრირებული და დისპერსულად მცხოვრები ხალხები, ეთნიკური ანკლავები; დ) საკუთრივ „მცირე ხალხები", ანუ ისინი რომელთა ეთნოდემოგრაფიული სიმცირე არის არა აბსოლუტური, არამედ ფარდობითი სიდიდე"[1].

ა. კუზნეცოვი შენიშნავს: „უფრო მართებული იქნებოდა ტერმინი „ეროვნული უმცირესობანი" მიგვესადაგებინა მხოლოდ მოსული ხალხის, იმიგრანტებისათვის და არა იმ მცირერიცხოვანი მკვიდრი მოსახლეობის აღსანიშნავად, რომელიც საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე ბინადრობს. (თუმცა, დასავლეთში სპეციალისტთა უმრავლესობა ამ ინტერპრეტაციას არ იზიარებს ლ. მ.) ეთნიკური ტერიტორია შეიძლება დახლეჩილი იყოს სახელმწიფო საზღვრებით და ერთი და იგივე ეთნიკური ერთობა ცხოვრობდეს ორ ან მეტ სახელმწიფოში. მაგრამ ნებისმიერ ასეთ სახელმწიფოში მოხვედრილი ეთნიკური ერთობა უნდა განვიხილოთ, როგორც აბორიგენი ხალხის ნაწილი და არა როგორც ეროვნული უმცირესობა"[2].

უცხოელი მეცნიერები იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ეროვნული უმცირესობები", „ინდიგენური ხალხი", „ურბანული უმცირესობები" და ა.შ. ყველა ამ უმცირესობას აქვს საერთო ნიშანი — პოტენციურად კონფლიქტური დამოკიდებულება სახელმწიფოსა და დომინანტურ ერთან[3].

ტერმინები „უმცირესობა" - „უმრავლესობა" რელატიურია. უმცირესობა მხოლოდ უმრავლესობასთან მიმართებით არსებობს (და პირიქით) და შეესატყვისება საზღვრების გარკვეულ სისტემას. თანამედროვე საზოგადოებაში ეს საზღვრები ძირითადად სახელმწიფო საზღვრებს გულისხმობს. სახელმწიფო საზღვრების შეცვლამ, ბუნებრივია, შეიძლება გამოინვიოს უმცირესობა-უმრავლესობის თანაფარდობის ცვლილებებიც. ამასთანავე, გარკვე-

ულ საზღვრებს შიგნით მყოფი უმცირესობა სხვაგან შეიძლება უმრავლესობას წარმოადგენდეს ან პირიქით[4].

საერთაშორისო პოლიტიკური შეფასებით „უმცირესობა" არის სახელმწიფოში არსებული ყველა რაოდენობრივად არადომინირებული ჯგუფი. ასეთი ჯგუფები უმეტეს შემთხვევაში არის ისეთი მრავალრიცხოვანი ერების დიასპორა, როგორიცაა რუსები, გერმანელები, ქურთები, ასირიელები და სხვ. ან დისპერსიულად დასახლებული ხალხები, მაგ.: ებრაელები. ამ ქვეყნების წარმომადგენლები არ არიან მოხვედრილი ისეთ ვითარებაში, რომ მათ ვუნოდოთ „ეროვნული უმცირესობა". ეთნიკური უმცირესობა შეიძლება განისაზღვროს როგორც საზოგადოების დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით რიცხობრივად ძლიერ განსხვავებული ჯგუფი, რომელიც პოლიტიკურად არადომინანტურია და შეიძლება მივაკუთვნოთ ეთნიკურ კატეგორიას[5].

ეროვნული უმცირესობის ამჟამად ყველაზე მიღებული განსაზღვრება ეკუთვნის გაეროს დისკრიმინაციის აცილების და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის სპეციალურ რაპორტიორს (მომხსენებელს) ფრანჩესკო კაპოპორტს, თუმცა ამ განმარტებამ ყველა ექსპერტი არ დააკმაყოფილა და გაეროს ჯერ კიდევ ეძებს მის დეფინიციას. ამ განმარტების თანახმად, „ეროვნული უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით მცირერიცხოვანი, არადომინანტური პოზიციის, ამ სახელმწიფოში მცხოვრებ ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომლის ნევრებს აქვთ დანარჩენი მოსახლეობისაგან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური მახასიათებლები და თავისთავად გამოხატევენ სოლიდარობას თავისი კულტურის, ტრადიციის, რელიგიის და ენის დასაცავად"[6].

უმცირესობის სტატუსს საბჭოთა პერიოდში თავისი დადებითი მხარე ჰქონდა. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს გარკვეული შეღავათი ეძლეოდათ, რაც, ერთის მხრივ, დომინირებულ ერში თავისთავად იწვევდა ფარულ გულისწყრომას, მეორეს მხრივ კი ეროვნულ უმცირესობებს აძლევდა უსამართლო პრეტენზიების წამოყენების საშუალებას. უმცირესობის წარმომადგენლები ნებისმიერ „საბჭოურ დისკრინიმაციას", იგივეს რასაც განიცდიდა დომინირებული ერის წევრი, ეროვნულ ჩაგვრად აღიქვამდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამა თუ იმ საქმის მოგვარებას „კუთვნილი სტატუსის" გამოყენებით ახერხებდა, მაგრამ შეღავათების არსებობის აფიშირებას გაურბოდა, რადგანაც არ სურდა, ეროვნული უმცირესობის სტატუსის აღიარება. უფრო სწორად, საბჭოთა პერიოდში, „ეროვნული უმცირესობის" წარმომადგენლად ყოფნა არ ითვლებოდა პრესტიჟულად.

ეროვნულ უმცირესობათა საკითხის მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობები მოითხოვენ კოლექტიურ უფლებებს, რამაც უნდა განაპირობოს კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის, როგორც ასეთის, გადარჩენა, ეთნიკური კულტურის დაცვა, კულტურული იდენტურობა, რომელიც ამ ჯგუფის ცხოვრებას და სოციალურ ორგანიზაციას უკავშირდება. ბევრი ქვეყანა თვლის, რომ ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის შიგნით, მისი ტერიტორიის ფარგლებში უნდა მოგვარდეს. ეს კი ხელს უშლის გაერო-ს, ეროვნული უმცირესობის სტატუსის შესახებ ერთიან გადაწყვეტილების მიღწევაში, რომელმაც უნდა განაპირობოს ამ ჯგუფების ცხოვრებისა და სოციალური ორგანიზაციის მონესრიგება.

როგორც რ. შტავენჰაგენი აღნიშნავს თანამედროვე სახელმწიფოების უმეტესობა მომხრეა, იყოს ეროვნული ან მონოეთნი-

კური. ფართოდ გავრცელებული კონცეფცია — ერი-სახელმწიფო ან ეროვნული სახელმწიფო თანამედროვე პოლიტიკაში თითქმის აიგივებს ამ ტერმინებს და ეს დიდ დაძაბულობას იწვევს. სეტონ უოტსონი ამას ნათლად აყალიბებს: სახელმწიფოს შეუძლია არსებობა ერთი ერის მიხედვით განსაზღვრული ეროვნების გარეშე ანუ შესაძლოა მათ სუბიექტებად ჰყავდეს რამდენიმე ერი. ასეთ დროს ერი შეიძლება გაიგივდეს სახელმწიფოს მოსახლეობასთან და მოთავსდეს სხვა ერებთან ერთად ერთ სახელმწიფოში, ან შეიძლება დაიყოს რამდენიმე სახელმწიფოდ. როგორც ვიცით, ზოგი სახელმწიფო უფრო ადრე შეიქმნა ვიდრე ერები და არიან გაცილებით ძველი ერები ვიდრე თანამედროვე სახელმწიფოები[7]. საერთოდ სახელმწიფოების უმეტესობა პოლიეთნიკურია, მაგრამ პოლიეთნიკურობის ხარისხი მერყეობს. მონოეთნიკური სახელმწიფო მსოფლიოში არ არსებობს (გამონაკლისს წარმოადგენს გეოგრაფიულად იზოლირებული ქვეყანა ისლანდია და სომხეთი — არასომხური მოსახლეობის მცირე პროცენტით. სომხები 1989 წლის აღწერით — 93,3%-ი იყო, ამჟამად კი უფრო მეტია)[8]. პოლიეთნიკური სახელმწიფოების უმრავლესობა ხშირად უარყოფს არსებულ პოლიეთნიკურობას. არა და, ასეთ საზოგადოებაში მოხვედრილი სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები განსხვავდებიან ტრადიციული ყოფითი კულტურით. ამის გამო იქმნება ისეთი ვითარება, რომელიც იწვევს გაუგებრობას, შუღლს, დაძაბულობას, კონფლიქტს და ხშირად შეტაკებას ეთნოსებს ან სახელმწიფოსა და ეთნოსს შორის[9]. ასეთი სახელმწიფოები ცდილობენ უმცირესობის ინტერესები შეუხამონ თავის ინტერესებს, უწოდებენ მათ ეროვნულ უმცირესობებს, მაგრამ არ აღიარებენ მათ უფლებებს. ძირითადად უმცირესობები სახელმწიფოსგან მოითხოვენ იმაზე მეტს, ვიდრე ეს

უკანასკნელი თვლის საჭიროდ მიანიჭოს მათ, სწორედ ამიტომ ზოგიერთი ქვეყანა უარყოფს ეროვნული უმცირესობის არსებობას[10].

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ დაყოფილი საზოგადოებები არის არასამართლებრიობის შედეგი. თუ არ არსებობს სამართლებრიობა, მღელვარება და კონფლიქტი უმცირესობასა და უმრავლესობას შორის თითქმის გარდუვალია. ასეთი კონფლიქტები ხანგრძლივია, უმცირესობას დომინანტური ძალა აქვს და აკონტროლებს უმრავლესობას. საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო ხშირად მხარს უჭერენ უმცირესობათა მოთხოვნებს. ხშირად უმცირესობას გარედან აქვს სტრატეგიული და იდეოლოგიური მხარდაჭერა, ანდა ჰყავს გულშემატკივარი იგივე ეთნიკური წარმოშობის ხალხების სახით და ისინი საზღვრების გადაწევის ან წარსულში მომხდარი მიგრაციების გამო აღმოჩნდნენ განხეთქილნი. ეს კი გარედან დახმარების პერსპექტივას ქმნის. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვება გახანგრძლივებული, ძვირად ღირებული კონფლიქტი, საზოგადოების და ეკონომიკის დეზინტეგრაცია და, ბოლოს, რაც მთავარია, დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ის ღირებულებები, რომელთა დაცვა გახდა კონფლიქტის თავდაპირველი მიზეზი, ანუ კონფლიქტი შეუქმნის საფრთხეს თავად ეთნიკური ჯგუფის არსებობას, ეთნიკურ კულტურას: უმრავლესობის ხელისუფლებამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მისცეს უმცირესობას მისი უფლებების დასაცავი ლიბერალური გარანტიები, კონსტიტუციურმა სტრუქტურამ კი უნდა შექმნას ინტეგრირებული საზოგადოება. ხშირად უმცირესობა თვლის, რომ პიროვნული უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს საზოგადოების ავტონომიური მოწყობა. ინტეგრაციისათვის საჭიროა ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა, სოციალური და

ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში უმცირესობისა და უმრავლესობის თანასწორობა. მაგრამ, ჩვეულებრივ, ასე იშვიათად ხდება. კლასიკური ლიბერალური პოზიცია არის ისეთი პოზიცია, როდესაც ინდივიდს აქვს უფლება, ხოლო სახელმწიფო მოვალეა ან თავი შეიკავოს ამ უფლებათა ხელყოფისაგან, ან დაიცვას და ხელი შეუწყოს ინდივიდის უფლებებს. ასეთი პოზიცია წარმოიშვა ევროპაში და გავრცელდა მთელს მსოფლიოში.

არსებობს აზრი, რომ გადაწყვეტილება ტერიტორიული ავტონომიის მინიჭების შესახებ არ არის მართებული, „რადგანაც იგი წარმოქმნის სხვა უმცირესობებს ავტონომიის შიგნით. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს არ უჭერენ ტერიტორიულ ავტონომიას, ისინი უფრო მეტად ემხრობიან კულტურული ავტონომიის მინიჭებას. ხოლო იმის გამო, რომ კულტურული ავტონომიაც ხშირ შემთხვევაში თავისთავად მოითხოვს გარკვეულ ტერიტორიას, უმცირესობა უმჯობესად თვლის გარკვეული დოზით მოიპოვოს ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია და ამით დაიცვას იდენტურობა"[11].

მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პოლიტიკურ სამყაროში ისიცაა ცნობილი, რომ უმცირესობები ყოველთვის იმაზე მეტ უფლებებს ითხოვენ, ვიდრე სახელმწიფოს მიაჩნია საჭიროდ მიანიჭოს მათ. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეროვნული სახელმწიფოების უმეტესობა თავს თვლის მონოეთნიკურ საზოგადოებად, თუმცა იგი თავისი შემადგენლობით პოლიეთნიკურია და არ ქმნის განსაკუთრებულ კანონებს ეთნიკური უმცირესობისათვის, სჯერდება მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვას, რაც თავისთავად გულისხმობს ჯგუფის დაცვასაც[12]. არსებობს სხვაგვარი მიდგომაც. კერძოდ, ჯგუფის ინტერესებისა და უფლებების დაცვით

ადამიანის უფლებების დაცვა. „ვინაიდან ითვლება, რომ ადამიანთა უფლებების მატარებელი არის პიროვნება, ამიტომ თვით ეს ცნება გამორიცხავს ნებისიმერი სოციუმის უფლებების დაცვას. ჯგუფური უფლებების ცნება უნდა გაფართოვდეს, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს პიროვნების უფრო სრულყოფილ დაცვას ეროვნული სახელმწიფოს თვითნებური ქმედებისგან. დემოკრატიის მაჟორიტარული სისტემა საზოგადოების დომინანტურ ჯგუფებს აძლევს უფლებას ხშირად გამოიყენოს სახელმწიფოს ძალისმიერი მეთოდი რიცხობრივად მცირე ჯგუფების მიმართ. თუ უმრავლესობა და უმცირესობა ეთნიკური პრინციპით არის განსაზღვრული, მაშინ შეიძლება არსებობდეს ადამიანის უფლებების დარღვევის, იძულებითი ასიმილაციის, განდევნის და გენოციდის პოლიტიკა. კ. ნაგენგოსტი შენიშნავს, რომ ჯგუფური უფლებები ზოგჯერ შეიძლება იქცეს საშუალებად, რომელიც უზრუნველყოფს პატივისცემას ადამიანის უფლებების მიმართ, მაგრამ თუ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, უპირატესობა ადამიანის უფლებებს უნდა მიენიჭოს"[13]. ადამიანის უფლებების დაცვა გულისხმობს დისკრიმინაციის არარსებობას და კანონის წინაშე თანასწორობას, ასევე სოციალური, ეკონომიკური, იურიდიული და კულტურული უფლებების თანასწორობასაც.

თავისთავად პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ყველა ადამიანს, განურჩევლად იმისა, ეთნიკური უმრავლესობის თუ უმცირესობის წარმომადგენელია იგი, უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები და სახელმწიფოს წინაშე თანაბარი მოვალეობა. სახელმწიფო მათ, როგორც თავისი ქვეყნის მოქალაქეებს, ერთნაირად უნდა იცავდეს, ამიტომ არსებობს ტენდენცია, რომ თავისი იდენტიფიკაცია ყველამ მოქალაქეობას დაუკავშიროს.

დისკრინიმაციის არარსებობა კი გულისხმობს, რომ ადამიანის არც ერთი სპეციფიკური თუ განსაკუთრებული ჯგუფი არ უნდა დარჩეს ადამიანის საყოველთაო უფლებების დაცვის გარეშე.

მეცნიერებაში გავრცელებული აზრი, რომ ადამიანთა უფლებების დაცვა ეხება მხოლოდ ინდივიდებს და არა ადამიანთა ჯგუფებს, დღემდე არ არის ბოლომდე გაზიარებული და წინააღმდეგობებს აწყდება, რადგან უშუალოდ უკავშირდება ეთნიკური უმცირესობების პრობლემებს.

ეთნიკური უმცირესობების საკითხის განხილვისას მსოფლიო ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ დისკრიმინაციის და კანონის წინაშე თანასწორობის საკითხს.

ერთა ლიგის მცდელობა, შეექმნა უმცირესობათა დაცვის სისტემა, უშუდეგოდ დამთავრდა. „უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების ქვეკომისია" წლების განმავლობაში იღწვოდა უმცირესობის შესატყვისი განსაზღვრების ჩამოყალიბებისა და უფლებათა დეკლარაციისათვის; მაგრამ ვერც დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება ჩამოაყლიბა და ვერც უფლებების დეკლარაცია მიიღო. მათ მიერ შექმნილი პროექტი იყო პირველი, რომელიც იქცა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო შეთანხმებების 27-ე პარაგრაფად, რომელიც განიხილავს უმცირესობათა უფლებებს, თუმცა ვერ იცავს მათ. სირთულე ის არის, რომ ყოველივე ეს დაკავშირებულია ცალკეული ეთნიკური ჯგუფის „თვითშეგნების" და „თვითგამორკვევის" საკითხთან, რაც თავის მხრივ უკავშირდება ადამიანის უფლებებს'[4].

ეთნიკური თვითშეგნება ურთულესი საკითხია. იგი თავის მხრივ უკავშირდება სხვის (არასაკუთარ) ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის თვითგამორკვევის უფლების განსაზღვრას ე. ი. იმ ეთნი-

კური ჯგუფების, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოში წარმოადგენენ ეთნიკურ უმცირესობებს. ეს პრობლემა დღემდე მეცნიერთა ცხარე კამათის საგანად რჩება"[5].

საერთაშორისო გაერთიანებანი ერთდროულად აღიარებენ როგორც თვითგამორკვევას, ასევე საზღვრების დაურღვევლობის პრინციპს, რაც თავისთავად ერთმანეთს ეწინააღმდეგება"[6]. საერთაშორისო ორგანიზაციები თვითგამორკვევის უფლებას ცნობენ ძირითადად საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისათვის (მაგ.: აფრიკის სახელმწიფოები, რუსეთის ფედერაციაში შემავალი უმცირესობები და, საერთოდ, ყოფილი იმპერიის შემადგენელი ერები, რომელნიც საკუთარ ტერიტორიაზე მკვიდრ მოსახლეობად ითვლებიან).

საქართველოს ტრადიციული კულტურისა და ყოფის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქართველოში, შეიძლება ითქვას, ეთნიკურ უმცირესობებს ჰქონდათ და აქვთ საკუთარი თვითშეგნება, თვითდასახელება, ენა, რელიგია და ტრადიციული კულტურა, რაც მათ საუკუნეების მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების პერიოდში შეინარჩუნეს. ანუ მათი მდგომარეობა ადრეც და ამჟამადაც ფაქტიურად კულტურულ ავტონომიას წარმოადგენს. „ხალხთა თვითგამორკვევის უფლება კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მოპოვების მიზნით სწორედ იმიტომ არის მიმზიდველი, რომ ის ხალხი, რომელიც ამ გზას ირჩევს, ერთდროულად ორ კურდღელს იჭერს. ერთის მხრივ, მათ მიერ შერჩეული სტრუქტურა (სამართლებრივ სახელმწიფოსა და მოქალაქეობრივ საზოგადოებაში) უზრუნველყოფს ამ ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ — საშუალებას აძლევს მას მეტერიალურად და ეკონომიურად არ გამოეთიშოს იმ გა-

რემოს, ან, როგორც ახლა ამბობენ, სივრცეს, რომელშიც იგი ცხოვრობს. კულტურულ-ეროვნული ავტონომია, როგორც გაფანტულად მცხოვრები მცირე ხალხების (ეროვნულ უმცირესობათა) ეთნიკური კონსოლიდაციის, მათი კულტურისა და მოპოვებულ ღირებულებათა დაცვის ოპტიმალური ფორმა აქტუალურია აწმყოში და, ამავე დროს, მომავალშიც. რა თქმა უნდა, კულტურულ-ეროვნული ავტონომია, როგორც ეროვნული საკითხის გადაწყვეტის გარკვეული ფორმა, არ არის პანაცეა მცირე ხალხებისათვის"[17].

მაგრამ, როგორც კი წამოიჭრება თვითგამორკვევის საკითხი, აქვე სიძნელეებს ვაწყდებით. ასე მხოლოდ საქართველოში არ ხდება. მსოფლიოს ბევრი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური კონფლიქტი დაკავშირებულია თვითგამორკვევის საკითხთან. განსაკუთრებით მახინჯი ფორმა მიიღო მან პოსტსაბჭოურ საზოგადოებაში.

ასევე არსებობს მოსაზრება „შიდათვითგამორკვევის" შესახებ, რომელიც გულისხმობს ერთი სახელმწიფოს შიგნით ეთნოუმცირესობათა „თვითგამორკვევას". ამ უკანასკნელის მოთხოვნებია შიდა ავტონომია, განსაკუთრებული უფლებები შიდა ბუნებრივ რესურსებზე, სხვადასხვა ტიპის ადგილობრივი და რელიგიური ავტონომიები, ფედერაციული ან კონფედერაციული სისტემა და სხვა, რომლებსაც აღიარებენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

უმცირესობების მიმართ ტოლერანტულად განწყობილ სახელმწიფოში (ხოლო საქართველო სწორედ ასეთი სახელმწიფოა), ეროვნულმა უმცირესობებმა უნდა ისწავლონ უმრავლესობასთან ურთიერთობა და შეიმუშაონ თანაცხოვრების მშვიდობიანი წესი. თუ ყოველ ეროვნულ უმცირესობას მიეცემა თვითგამორკვევის უფლება, რაც თავისთავად გულისხმობს ტერიტორიის მიკუთვნი-

ლობას, მაშინ მოსალოდნელია არა მშვიდობიანი თანაცხოვრება, არამედ კონფლიქტური სიტუაციები და ძალადობა. ასეთ დროს შესაძლებელია მიკროსახელმწიფოდ დანაწევრდეს არა მხლოდ საქართველო, არამედ ბევრი სხვა პოლიეთნიკური სახელმწიფოც, რაც დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში აბსურდულ შედეგებამდე მიგვიყვანს. „მსოფლიოში დაახლოებით 3500 ეთნიკური ჯგუფი და 180 ეროვნული ქვეყანაა. შეუძლია თუ არა თითოეულ მათგანს ჰქონდეს თავისი მონოეთნიკური სახელმწიფო? თუ ამ პრობლემის გადაწყვეტას საზღვრების შეცვლითა და მოსახლეობის მიგრაციით შეეცდებით, მაშინ მოგვიხდება: ა) 1000-ზე მეტი ახალი ეროვნების შექმნა; ბ) დაახლოებით ერთი მილიარდი ადამიანის მიგრაცია; გ) ძალადობისა და სიძულვილის ესკალაცია არნახულ დონეს მიაღწევს", რაც ნიშნავს ადამიანთა უფლებების ხელყოფისა და იმას, რომ ამ სახელმწიფოებში შესაძლოა იფეთქოს ღია კონფლიქტებმა[18]. ამიტომ უმცირესობათა საკითხი რჩება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და დღემდე გადაუჭრელ პრობლემად, როგორც სოციალური ანთროპროლიური მეცნიერების, ასევე ოფიციალური სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც. ამასთანავე, თავს იჩენს მუდმივი წინააღმდეგობა იმის თაობაზე, თუ რა არის უმცირესობა და რა არის ხალხი. ჰექტორ გროკ ესპიელის მიხედვით „ხალხი" და „უმცირესობა" განსხვავებული მნიშვნელობის ტერმინებია და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არის „ხალხები" და არა „უმცირესობები". თორბერი თვლის, რომ ტერმინი „ხალხი" გაერო-ს არასდროს განუსაზღვრავს ეთნიკური მნიშვნელობით. თუ „ხალხად" მოვიხსენიებთ სახელმწიფოში მაცხოვრებლებს, მაშინ უმრავლესობას ვიგულისხმებთ. ასე რომ, უმცირესობებმა სამართალი არსებული საზღვრების შიგნით

უნდა ეძიონ, თვითგამორკვევის უფლება მათ არ აქვთ. ამის ნაცვლად მათ ადამიანის უფლებების დაცვა უნდა მოითხოვონ".

როდესაც პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების უფლებები კანონით დადასტურდება, ეს, თუმცა კი, სახელმწიფოსთვის დემოკრატიული განვითარების პროგრესული ეტაპია, მაგრამ, იმავ დროულად, უნებლიედ ხდება უმრავლესობა-უმცირესობის განცალკევება და გარკვეულწილად დაპირისპირებაც. კანონდება ისეთი სიტუაცია, რომელიც თავისთავში შეიცავს კონფლიქტისა და დაძაბულობის მუხტს, რამაც ხელშემწყობი პირობების წარმოქმნისთანავე, შესაძლებელია ბიძგი მისცეს ურთიერთობების დამახინჯებულ ფორმაში გადაზრდას და შემდგომში კი — კონფლიქტს. მით უმეტეს, თუ მეზობელ ქვეყნებში უმცირესობათა მონათესავე ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობენ. ასეთ დროს ყოველთვის არსებობს ირედენტისტული (ეთნო-ლინგვისტური პრინციპით გაერთიანების) მოთხოვნების საშიშროება, რაზედაც ევროპის გამოცდილებაც მოწმობს. თუ უმცირესობებს განსაკუთრებულ უფლებებს მიანიჭებენ, წარმოიქმნება საშიშროება, კოლექტიური უფლებების მოთხოვნებმა მიიღოს ავტონომიის, თვითმმართველობის, თვითგამორკვევის, დამოუკიდებლობის, პოლიტიკური გამოყოფისა და სხვა მეზობელ, მონათესავე სახელმწიფოსთან შეერთების ფორმა, რაც დაემუქრება ქვეყნის ტერიტორიალურ მთლიანობას და, შესაძლებელია, საერთოდ არსებობის შენარჩუნებასაც კი.

ხშირად პატარა და სუსტი ქვეყნები განიცდიან მეზობელი ან მეტოქე ქვეყნების ზეწოლას უმცირესობის მოთხოვნებთან დაკავშირებული პრობლემის და კონფლიქტების გამო და აშკარაა, რომ უმცირესობათა მოთხოვნებს გარეშე ძალები ხშირ შემთხვევაში გა-

მოიყენებენ საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებისათვის[20]. მაგალითად, როგორც სტეფენ შენფილდი აღნიშნავს: „პოლიტიკოსები თავისი ნეოიმპერიული მიზნების განსახორციელებლად მორალურ მხარდაჭერას უწევენ შეიარაღებულ კონფლიქტებს მთელს პოსტკომუნისტურ სივრცეში. მათ მხარი დაუჭირეს განხეთქილებას საქართველოში, მოლდავეთსა და სხვა არარუსულენოვან ქვეყნებში, მაგ., წაჰკიდეს სომხეთი აზერბაიჯანს. რუსეთს არასდროს უწარმოებია ღია შეიარაღებული კონფლიქტი იმპერიის რეკონსტრუქციის დროშით. თუ ხელისუფლების სათავეში ექსტრემისტული იმპერიული ძალები მოექცევიან, მომავალში ასეთი ტიპის კონფლიქტი შესაძლებელი გახდება"[21]. „უხეშად რომ ვთქვათ, რუსეთი იმ მხარეს, რომლის მიმართ სიმპათიით არის განწყობილი, ეხმარება მანამ, ვიდრე თავისთვის დამაკმაყოფილებელ პოლიტიკურ მილიტარისტულ შედეგს არ მიიღებს, შემდეგ კი მოირგებს მშვიდობის დამცველის მიუკერძოებელ როლს და მზად იქნება, გამოიყენოს ძალა ექსტრემისტული ელემენტების წინააღმდეგ"[22].

საღი აზრი გვეუბნება, რომ ეროვნულმა უმცირესობებმა არ უნდა შეუქმნან საფრთხე რესპუბლიკის კონსტიტუციურ წყობას, სახელმწიფო ტერიტორიულ მთლიანობას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და სხვ. ყოველივე ზემოთქმულის გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობას, რომლის საფუძველზეც დაცული იქნება ეროვნული უმცირესობისა და ჯგუფების კულტურა და ეთნიკური სახე:

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობის აქტიურ მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში, ყველა

რანგის საარჩევნო ორგანოში, სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა და სხვ.

ეროვნულმა უმცირესობამ უნდა ისარგებლობს თავისი ეროვნული მიკუთვნილობის, თვითმყოფადობის გამოხატვის, მისი დაცვისა და განვითარების უფლებით, დაცული უნდა იქნეს იძულებითი ასიმილაციისაგან, უზრუნველყოფილი იყოს მშობლიური ენის, ისტორიისა და კულტურის შესწავლით

სახელმწიფომ უნდა მისცეს მათ საშუალება — შექმნან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები, დააარსონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულები (თეატრალური კოლექტივები, ანსამბლები, გამოსცენ ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და ა. შ.), დაამყარონ საქმიანი და კულტურული ურთიერთობა ისტორიულ სამშობლოსთან.

სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად მუდმივად ითანამშრომლოს გაერო-სთან, ეუთო-სთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ერთი მხრივ, თუ დაცული იქნება უმცირესობის უფლებები, იარსებებს გარანტია და პირობები მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, ხოლო მეორე მხრივ დაცული და გარანტირებული იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა — ეს ორი პრინციპი უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1 Иордан М. В., 1993 год малочисленных народов и этнических групп (вклад Росии в акцию ООН), в сб.: "Национальная политика в Российской федерации", М., 1993, с. 167.

2 Кузнецов А.И., О класификации этносов в островной Юго-восточной Азии; в сб.: Типология основных элементов традиционной культуры, М., 1984, стр. 244-245.

3 Eriksen T.H. Ethnicity and Nationalism, London Colorado, 1993, p. 125.

4 Eriksen T.H., დასახ. ნაშრ. გვ. 121-122.

5 Eriksen T.H., დასახ. ნაშრ. გვ. 121.

6 Stavenhagen R., The Ethnic Question (Conflicts, Development and Human Rights), The United Nations University, 1990, p. 59.

7 Stavenhagen R., დასახ. ნაშრ. გვ. 58.

8 Брукс С.Н., Народы СССР в стране и за рубежом, Документ №15, Межнациональные отношения в СССР, Исследования по прикладной и неотложной этнологии, серия А, Институт Этнологии и антропологии АН СССР, М., 1991, с. 28.

9 Stavenhagen R., დასახ. ნაშრ. გვ. 58.

10 Stavenhagen R., დასახ. ნაშრ. გვ. 59.

11 Munuera G., Preventing armed conflict in Europe lessons from recent experience, Chaillot Papers, 15/16, June 1994, Paris, p. 81

12 ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი თვლიან, რომ თუ დაცულია ადამიანის უფლებები, ის თავისთავად გულისხმობს ჯგუფური უფლებების დაცვასაც. მეორენი კი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ ჯგუფს თავისი პრივილეგიები აქვს.

13 Баланс и разделение политической власти в полиэтничных обществах, Резюме конференции, National Academy Press, Washington, D.C., 1993, стр. 13-14.

14 Stavenhagen R., დასახ. ნაშრ. გვ. 52-53.

15 ამაზე მიუთითებს საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები, რომელიც ბოლო წლებში გაიმართა. იხ. 1. Баланс и разделение политической власти в полиэтничных обществах, Резюме конференции...; 2. Право народов на самоопределение: идея и воплощение, М., 1977

16 Горовиц Д., Ирредентизм, сепаратизм и самоопределение, в кн.: "Национальная политика в Российской федерации", М., 1993, стр. 155.

17 Иордан М.В., 1993 год малочисленных народов и этнических групп, (Вклад России в акцию ООН), в кн.: Национальная политика в Российской федерации, М., 1993, стр. 163.

18 Гамбург Д., Этноцентрическое насилие, в кн.: Национальная политика ... стр. 41.

19 Stavenhagen R., დასახ. ნაშრ. გვ. 68.

20 Stavenhagen R., დასახ. ნაშრ. გვ. 63.

21 Shenfield D. Stephen, Armed Conflict in Eastern Europe and the Former Soviet Union", p. 41.

22 Shenfield D. Stephen, დასახ. ნაშრ. გვ. 43.

დღეს მსოფლიოში შეინიშნება ტენდენცია — ნებისმიერმა ეროვნებამ (დომინანტურია ის თუ ეროვნული უმცირესობა), სახელმწიფოში თავისი იდენტურობა უფრო მეტად მოქალაქეობას დაუკავშიროს, ვიდრე ეთნიკურობას[1]. მაგრამ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამის განხორციელება პოსტსაბჭოთა სივრცეში, შემორჩენილი საბჭოური მენტალიტეტის წყალობით, ძალიან რთულია, განსაკუთრებით კონფლიქტური სიტუაციების ფონზე. „მოქალაქეობის გრძნობა აბსოლუტურად უცხოა საბჭოთა ადამიანისათვის. ის კი არ არის საქმე, ჭკვიანია იგი თუ სულელი: უბრალოდ, მისთვის პრინციპულად უცხოა მოქალაქეობა, როგორც შესაძლებელი გრძნობა. როდესაც ადამიანისათვის ასეთი გრძნობა შესაძლებელია, როცა მას შესწევს ძალ-ღონე ამ შესაძლებლობების განხორციელებისა, მაშინ ის მისთვის აუცილებელია იმ გაგებით, რომ უიმისოდ ადამიანს თავი ვერც წარმოუდგენია: თუ ეს არ არის, მეც არა ვარ"[2]. ასეთია მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური გააზრება. დომინანტი ერის ან უმცირესობათა წარმომადგენლებმა აუცილებელია, სურთ თუ არა, თავი დააღწიონ ეთნონაციონალისტურ გრძნობებს და ისწავლონ ერთ პოლიეთნიკურ სახელმწიფოში თანაცხოვრება, რასაც საფუძვლად დაედება ურთიერთპატივისცემა, მოთმინება, მიტევება და სხვა ღირებულებები. მრავალ მეცნიერსა თუ პოლიტიკოსს გამოუთქვამს ასეთი მოსაზრება, მაგრამ რეალობა და პრაქტიკა სულ სხვა შედეგს გვაძლევს. აუცილებლობა აუცილებლობად რჩება, ცხოვრება კი თავისას გვკარნახობს. ეჭვგარეშეა, რომ არც ერთ ხალხს არ უნდა კონფლიქტი. ამ ფიქრით არც

წარმოშობილან ეთნოსები და არც გამქრალან, კაცობრიობის ისტორია კი სავსეა უამრავი დაპირისპირებით, წინააღმდეგობით, კონფლიქტით და სისხლისმღვრელი ომებით. როგორც აღვნიშნეთ, კონფლიქტების უმრავლესობა ამ ბოლო დროს ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებთან დაკავშირებით იჩენს თავს. საინტერესოა, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში; სად იყო მოსალოდნელი ღია კონფლიქტი საბჭოთა კავშირის დემონტაჟის შემდეგ.

საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, მრავალეროვანი სახელმწიფოა. მის ტერიტორიაზე, საუკუნეების მანძილზე, თავს იყრიდა სხვადასხვა მიზეზით გადმოსახლებული არაქართველი მოსახლეობა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერით, აქ ცხოვრობდა რამდენიმე ათეული ეროვნების წარმომადგენელი, მათ შორის ათამდე კომპაქტურად დასახლებული, რომლებმაც დომინანტური ეთნოსის ტერიტორიაზე შექმნეს „ეთნოუმცირესობათა მიკროკუნძულები" (ტერმინი პირობითია). აქედან რამდენიმე მათგანი საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლშია მოქცეული, თავისივე ეროვნების ხალხით დასახლებულ სახელმწიფოების მეზობლად. მაგალითად: ჯავახეთში — სომხებით დასახლებული ტერიტორია ესაზღვრება სომხეთს; ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები — აზერბაიჯანს; შიდა ქართლის ოსებით დასახლებული ტერიტორია — ალანიის (ოსეთი) რესპუბლიკას; პანკისელი ქისტები (ვაინახები) — ჩაჩნეთის რესპუბლიკა იჩკერიას; ხუნძები — დაღესტანს. ასეთ „კუნძულებს" პირობითად პირველი ინოეთნიკური ტიპი ვუწოდოთ. ზოგიერთი არაქართული ეროვნების ჯგუფი კი დაშორებულია თავის ეთნოსს, რადგან მათი ისტორიული სამშობლო უშუალოდ არ ესაზღვრება საქართველოს და ამ ჯგუფების წარმო-

მადგენლები კომპაქტურად და დისპერსიულად სახლობენ რესპუბ-ლიკის შიდა რეგიონებში — ესენი არიან ბერძნები, ასირიელები, ქურთები და სხვ. მათ პირობითად ვუნოდეთ მეორე ინოეთნიკური ტიპი (არცერთ ამ ტიპს არ მიეკუთვნება აფხაზეთი, თუმცა მისი სა-საზღვრო მდებარეობა სეპარატისტული პრეტენზიების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. ამასთანავე, რადგანაც ისინი პოლიტი-კურ ორიენტაციას იღებენ არა მონათესავე ეთნოსზე, არამედ რუ-სეთზე, ამიტომ იგი უფრო შუალედურ ტიპს წარმოადგენს).

პირველი ინოეთნიკური ტიპის დასახლებები ავსებს რესპუბ-ლიკის ლიმიტროპულ ზონებს. ეთნოგრაფიული დაკვირვება გვიჩ-ვენებს, რომ ასეთ ზონებში იქმნება განსაკუთრებული მიკროსამ-ყარო, რომელშიც შერწყმულია სხვადასხვა ეთნოსების კულტურის ელემენტები. სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება ამ ზონაში თა-ვისებურ პროცესებს იწვევს, რაც განპირობებულია ქვეყნის უსაფ-რთხოების მოთხოვნილებით. იგი გამოიხატება განსაკუთრებული სტრატეგიის შემუშავებაში, რომელიც ორ ეთნოსს შორის ურთი-ერთდამთმობ, მოქნილ პოლიტიკაზეა დამყარებული, რაც მათ კულტურაში აისახება გარკვეული ტრადიციების სახით. ამის შესა-ნიშნავი მაგალითია ქართულ-ვაინახური საუკუნოვანი მშვიდობია-ნი ურთიერთობა საქართველო-ჩაჩნეთის სასაზღვრო რეგიონში.

მშვიდობიანობის დროს, ბუფერული მოსახლეობა კარჩაკე-ტილი და თითქოს მოწყვეტილია სახელმწიფოს საერთო ცხოვრე-ბისაგან, მაგრამ დაძაბულ სიტუაციაში მათი როლი მკვეთრად იზ-რდება. ისინი ხელს უწყობენ კონფლიქტის შერბილებას ან ორ ეთ-ნოსს შორის ურთიერთობის ქონესრიგებას. თუმცა, რიგ შემთხვე-ვაში, ეს პირველი ტიპის „კუნძულები" შეიძლება თავად იქცეს არე-ულობის ინიციატორად.

საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სასაზღვრო რეგიონებს. ქართველი მეფეები ცდილობდნენ შეეტანათ აქ კულტურა, განათლება, რადგან სასაზღვრო ზოლში ყოველთვის დიდია პროვოცირების ალბათობა გარეშე მტრის მხრიდან, სასურველი იყო ამ ზონის ქართული თუ არაქართული მოსახლეობა სახელმწიფო პოლიტიკის დასაყრდენ პლაცდარმად ექციათ. ამიტომ საზღვართან მოსახლე ეროვნული უმცირესობები ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტი.

დროთა განმავლობაში ლიმიტროპულ ზონაში მაცხოვრებელმა ეროვნულმა უმცირესობებმა გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწიეს (იქ, სადაც ქართველები უმცირესობას შეადგენდნენ, ასეთი კი 20 რაიონია) და დაიწყეს თავის მიკროტერიტორიაზე მოსახლე ქართველების (ამ შემთხვევაში უმცირესობის) შევიწროება, გასაქანი მიეცა ასიმილაციის პროცესს. დაირღვა ადამიანის უფლებები.

საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ დაძაბული კერები სწორედ პირველი ტიპის რეგიონებში გაჩნდა, ანუ იქ, სადაც მოსახლეობა თავის თავს მოსაზღვრე სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის მონათესავედ თვლის, თუმცა, ხშირად, ისინი იმ ქვეყნის ძირძველი მოსახლენი არ არიან. მაგალითად, სომხების ძირითადი მასა საქართველოში მოვიდა არა სომხეთიდან, არამედ თურქეთიდან; აზერბაიჯანელები კი ირანიდან არიან წამოსულები და არა აზერბაიჯანიდან, მაგრამ ეთნიკურად თავს მიაკუთვნებენ ამ რესპუბლიკის მკვიდრთ, როგორც აქ დააკანონა საბჭოთა აღწერებმა.

მეორე ტიპის მოსახლეობისგან არ არის მოსალოდნელი ღია კონფლიქტის გაჩაღება.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შექმნილმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა დაღი დაასვა არა მხოლოდ დომინანტურ მოსახლეობას, არამედ ეროვნულ უმცირესობასაც. „პოლიტიზაციის" პროცესიც შეეხო, როგორც ქართველ ერს, ასევე ეთნიკურ უმცირესობებს. კონფლიქტური სიტუაციის შექმნას ხელი შეუწყო „პოლიტიკურმა ელიტამ", რომელიც თავისი გავლენის შესანარჩუნებლად ეთნიკური დაპირისპირების გზას დაადგა. ოსეთისა და აფხაზეთის პოლიტიკოსებმა, პარალელურად კი სომხური და აზერბაიჯანული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა, აირჩიეს ეთნიკური ნაციონალიზმის გზა, რასაც შესანიშნავი „სამსახური" გაუწია ქართული ნაციონალიზმის გაღვივებამაც. ეთნონაციონალიზმი „პოლიტიკური ელიტისათვის" მასებით მანიპულირების საშუალებად იქცა. დაძაბულობამ თანდათან მოიცვა ხალხის უმეტესი ნაწილი. ეკონომიკის სწრაფ რღვევასა და სოციალური ვითარების მერყეობასთან ერთად, ამ პროცესს ხელს უწყობდა თვითშეგნების რღვევაც, რასაც ინფორმაციული ვაკუუმიც აჩქარებდა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ეთნიკურმა ჯგუფებმა (ეროვნულმა უმცირესობებმა) იცოდნენ, რომ ცხოვრობდნენ ერთიან სახელმწიფოში — საბჭოთა კავშირში, მაგრამ მისი დემონტაჟის შემდეგ ამ ცოდნას საფუძველი გამოეცალა და ძირითადად ეყრდნობოდნენ საბჭოთა პასპორტში დაფიქსირებულ ეროვნულ მიკუთვნილობას. ლოგიკური იყო მათ იდენტურობა ისევ ყოფილ საბჭოთა კავშირში ეძებნათ (კომუნისტური მმართველობის დროინდელი მოსახლეობა ხომ ყოველმხრივ „დაპროგრამირებული," რიგიდული, ანუ განსაზღვრული აზროვნების და მენტალიტეტის მქონე იყო). პირველი ინოეთნიკური ტიპის ანუ სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა მისწრაფება ახალი იდენ-

ტურობის მოპოვებისაკენ შედარებით ადვილი განსახორციელებელი იყო. მათი წარმოდგენით — გამოეყოფებოდნენ საქართველოს, შეცვლიდნენ საზღვრებს და შეუერთდებოდნენ თავიანთ მონათესავე რესპუბლიკას, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიმართ (იგი გაიგივებული იყო საბჭოთა კავშირთან) ჯერ კიდევ არ იყო ოპოზიციურად განწყობილი. ადვილი მისახვედრია, რომ ამას მოჰყვებოდა ეთნოტერიტორიული კონფლიქტები, რომელიც შემდგომ შიდა ომში გადაიზრდებოდა. ამ სავარაუდო კონფლიქტში, გამორიცხული არ არის გარეშე ძალების შენიღბული ჩარევა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ასეთი ღია კონფლიქტი მოხდა მხოლოდ ორ რეგიონში (აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი), ხოლო ორი, პოტენციურად კონფლიქტური რეგიონი (ჯავახეთი და ქვემო ქართლი), ამ გზას არ დაადგა, რასაც თავისი ახსნა აქვს.

სასაზღვრო ტერიტორიული კონფლიქტები მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. ეს, შეიძლება ითქვას. ზოგადი მოვლენაა. სასაზღვრო რეგიონში კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობა „რისკის ფაქტორს" მიეკუთვნება. მეცნიერებაში ცნობილია ასეთი დაპირისპირების რამდენიმე სახე. მაგალითად, ამერიკელი პროფესორი დონალდ ჰოროვიცი გამოყოფს ამგვარი მოვლენის ორ სახეს. ესაა „სეპარატიზმი და ირედენტიზმი"[3]. სეპარატიზმს ის განსაზღვრავს, როგორც „ჯგუფისა და მის მიერ დაკავებული ტერიტორიის იმ სახელმწიფოს იურისდიქციიდან გამოსვლას, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ეს ჯგუფი, ხოლო ირედენტიზმი არის ეთნიკურად მონათესავე მოსახლეობისა და მისი სასაზღვრო ტერიტორიის გაერთიანება და შეერთება იმ მონათესავე სახელმწიფოსთან, რომელიც მზად არის, იგი შეიერთოს. სეპარატისტული გზით იურისდიქციიდან გამოსვლას ჩვე-

ულებრივ მოჰყვება ახალი სახელმწიფოს შექმნა, ხოლო ირედენ-ტიზმის შედეგი არის გარკვეული ტერიტორიის მიერთება-ანექსია იმ მეზობელ სახელმწიფოს მიერ, რომელიც მზად არის შეიერთოს ესა თუ ის ჯგუფი. მაგრამ ეს არ არის უბრალო ანექსია; ამგვარ ანექსიას საფუძვლად ეთნიკური ნათესაობა უძევს"[4].

როგორც სეპარატისტული, ასევე ირედენტული გზით გამო-ყოფილ რეგიონებში ირღვევა ეთნიკური შემადგენლობის ბალანსი, შესაძლებელია პოლიეთნიკური მიკრორეგიონი მონოეთნიკურად იქცეს, რადგანაც არამონათესავე ეთნოსის წარმომადგენლებს არ ექნებათ სხვა სახელმწიფოში მოხვედრის სურვილი, ხოლო სახელ-მწიფოს დომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები საერთოდ დატო-ვებენ ლიმიტროპულ ტერიტორიას და ქვეყნის შიგნით გადაინაც-ვლებენ, როგორც ადგილმონაცვლენი. ამ ტერიტორიაზე არსებუ-ლი სხვა ეთნიკური ჯგუფები კი თავისი ისტორიული სამშობლოს-კენ აიღებენ გეზს.

როგორც დ. ჰოროვიცი აღნიშნავს, პრაქტიკულად ასეთი შე-ერთება (ირედენტიზმი), არც ისე ხშირად ხორციელდება: „სახელმწი-ფო, რომელიც მზად არის შეიერთოს ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი, შეიძლება იყოს უფრო ღარიბი, ვიდრე ის სახელმწიფო, რომელშიც ეს ჯგუფი ცხოვრობს, მეტად ავტორიტარულიც ან რაიმე სხვა მიზეზის გამო არასასურველიც. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ სახელ-მწიფოს მართვის სათავეში მოქცეული ადამიანები პოტენციური შეერთების მოსურნე ჯგუფს აფასებდნენ როგორც „გაუთლელ, არა-კულტურულ" ერთობას ან თვლიდნენ, რომ მათ დიდხანს მოუხდათ ცხოვრება უცხო რეჟიმის კულტურული გავლენის პირობებში"[5].

საქართველოში არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული ექვსი სასაზღვრო რეგიონია: აფხაზეთი, შიდა ქარ-

თლის ჩრდილო ნაწილი (ე.წ. სამხრეთ ოსეთი), ქვემო ქართლი, ჯავახეთი, პანკისის ხეობა და ყვარლის რაიონი. ამჯერად არ შევუდგებით მათი ისტორიული წარსულის განხილვას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ისინი საკმაო ხანია ცხოვრობენ საქართველოს მიწაწყალზე, უნდა იზიარებდნენ დომინანტი ეთნოსის საერთო ინტერესებს და „სტუმრის" სტატუსით ვეღარ შევაფასებთ, თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ სწორედ ასეთ რეგიონებში წარმოიქმნება კონფლიქტის კერები.

ამ ექვსი რეგიონიდან პოტენციურად შეიძლება ყველგან გაღვივებულიყო კონფლიქტი. რეალურად კი დიდი რისკის მატარებელი მხოლოდ ოთხია, ხოლო დანარჩენ ორში ღია კონფლიქტი მოსალოდნელი არ არის, თუმცა ყოფითი და სოციალური საკითხები იწვევს კონფლიქტურ სიტუაციას, რომელიც, შესაძლოა ხშირად ეთნიკური კონფლიქტის სამოსელში გახვეული მოგვევლინოს. ოთხიდან ორ რეგიონში (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) ჩამოყალიბდა ღია კონფლიქტი, ხოლო ორში — ქვემო ქართლში — აზერბაიჯანელებმა და ჯავახეთში — სომხებმა — საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისიდანვე წამოჭრეს ამ რეგიონების საქართველოდან გასვლის და მეზობელ რესპუბლიკებთან შეერთების საკითხი. აქ არ შევუდგებით თითოეული კონფლიქტის ისტორიის განხილვას, ან არმომხდარი ღია კონფლიქტების მიზეზების ძიებას, ეს არ არის ჩვენი სადღეისო ამოცანა. ჩვენ შევეცადეთ, მხოლოდ მიგვენიშნებინა საქართველოსთვის ფეთქებადსაშიში რეგიონები.

საქართველოს, ისევე როგორც სხვა პოლიეთნიკურ სახელმწიფოს, მოსაგვარებელი აქვს სასაზღვრო ზოლის საკითხი, რისთვისაც საჭიროა გეგმაზომიერი, კარგად გააზრებული პოლიტიკის

გატარება, რადგანაც ეს რეგიონები ყოველთვის იქნება დაძაბულობის რისკის მატარებელი.

როგორც აღვნიშნეთ, ექვსი რეგიონიდან ოთხი, დიდი რისკის შემცველია. მდგომარეობა ამ რეგიონებში შეიძლება ასე დავახასიათოთ: დიდი რისკის მქონე ორ რეგიონში (აფხაზეთი, სამხრეთი ოსეთი) მოხდა ღია კონფლიქტი, ორ რეგიონში კი (ჯავახეთი, ქვემო ქართლი) წინასაკონფლიქტო სიტუაციაა (ტერმინი პირობითია), ხოლო ორი რეგიონის მოსახლეობა (ყვარლის რაიონში ხუნძები და პანკისის ხეობაში ქისტები) არ არის ღია კონფლიქტის რისკის მატარებელი ე. ი. ზემოხსენებული ორი რეგიონის წინასაკონფლიქტო სიტუაცია შეიძლება, გარკვეული მიზეზის გამო, გადაიზარდოს ღია კონფლიქტში, ხოლო ორ, რისკის არშემცველ, რეგიონში თითქმის გამორიცხულია ღია კონფლიქტი. დიდი რისკის მატარებელ რეგიონებში (პირველი ტიპი) მოსალოდნელია როგორც სეპარატისტული, ისე ირედენტული კონფლიქტი, რასაც შემდეგი ფაქტორები უწყობს ხელს:

1. კომპაქტურად დასახლება სასაზღვრო ზოლში;

2. მონათესავე ეთნოსის, თანამემამულე ქვეყნის უშუალო მეზობლობა;

3. ეროვნული უმცირესობა პოტენციურად სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობის არც თუ მცირე ნაწილია;

4. აქვთ თავისი ტრადიციული კულტურა, ენა, თვითშეგნება, თვითნოდება და სხვათანოდება;

5. დომინირებული არიან მიკრორეგიონში;

6. რეგიონის მმართველობის შემადგენლობა ეთნიკურობით განისაზღვრება;

7. საერთოდ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა.

აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტი სეპარატისტულ კონ-ფლიქტად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა თავიდან მასაც ირედენ-ტიზმის სახე ჰქონდა. იგი ხან მეზობელ კავკასიელ ხალხთა კონფე-დერაციას ეყრდნობოდა, ხან რუსეთს უერთდებოდა, მაგრამ ბო-ლოს სეპარატისტული სახე მიიღო, რადგანაც ცალკე სახელმწი-ფოდ გამოყოფის პრეტენზია გაუჩნდა. დანარჩენ სამ რეგიონში ირედენტული კონფლიქტი იყო ანუ მოსახლეობის გარკვეული ნა-წილი ამჟღავნებდა სურვილს შეერთებოდა მეზობელ მონათესავე ქვეყანას. ამათგან ერთში მოხდა ღია კონფლიქტი, ხოლო ორი და-ნარჩენი აღნიშნულ პრეტენზიებს პოლიტიკური ვითარების შეც-ვლის გამო აღარ აცხადებს, მაგრამ პოტენციურად ირედენტული კონფლიქტის კანდიდატია.

ვნახოთ, რა ხდება დანარჩენ ორ რეგიონში (პანკისის ხეობა და ყვარლის რ-ნი). აქ ღია კონფლიქტი, როგორც ვთქვით, არ არის მოსალოდნელი და არც დიდი რისკის კონფლიქტური სიტუაციაა, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ხელშემწყობი ფაქტორები აქაც ისეთივეა, როგორც დანარჩენ რეგიონებში, მაგრამ განსხვა-ვება ის არის, რომ ისინი პროცენტულად სახელმწიფოს მოსახლეო-ბის ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ და, ამასთანავე, უშუალოდ მეზობელ, მონათესავე რესპუბლიკასთან კომუნიკაციის საშუალე-ბა შეზღუდული აქვთ, კავშირი მყარდება მხოლოდ მთებზე გამავა-ლი საცალფეხო ბილიკებით. მაგრამ აქაც, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, განსაკუთრებული ეთნოპოლიტიკური ვითარე-ბაა, რომელიც უფრო მეტად საინტერესოა მეცნიერთათვის, ვიდრე პოლიტიკოსებისათვის. ამ პროცესების მეცნიერული შესწავლა კი მომავალში აუცილებლად დადებითად წაადგება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს.

ამგვარად, სასაზღვრო ზოლში ბინადარ ეთნიკურ უმცირეს-ობებში კონფლიქტური სიტუაცია პირობითად ორი სახისაა: დიდი რისკის და მცირე რისკის მატარებელი. დიდი რისკის მატარებელი ჯგუფები პოტენციურად ღია კონფლიქტის კანდიდატები არიან (ოთხი რეგიონი), ხოლო მცირე რისკის მატარებელთა კონფლიქტი ძნელად თუ გადაიზრდება ღია კონფლიქტში (ორი რეგიონი). დიდი რისკის მატარებელ ჯგუფში კონფლიქტი თავის მხრივ შეიძლება ორი სახისა იყოს: 1. სეპარატისტული (აფხაზეთი); 2. ირედენტული რეალური (სამხრეთ ოსეთი) და პოტენციურად ღია კონფლიქტის მატარებელი ქვემო ქართლი — აზერბაიჯანული მოსახლეობით და ჯავახეთი — სომხური მოსახლეობით. ოთხივე რეგიონი დასანყისში დიდი რისკის შემცველი იყო, თუმცა ორ მათგანში ღია კონ-ფლიქტი არ მომხდარა და შეიძლება არც კი მოხდეს, თუ მას არ შეექმნება საამისო პირობები.

ქვეყნის შიგნით მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, რომელნიც კომპაქტურად ან დისპერსულად სახლობენ, არ არიან ეთ ნიკური კონფლიქტის კანდიდატები. აქ სხვა სახის კონფლიქტები მოსალოდნელი, ისეთები, რომელთა საფუძველი იქნება სახელმწიფო ინსტიტუტების, დომინირებული ერის მიმართ პრეტენზიების სახით გაფორმებული სხვადასხვა ყოფითი, სოციალური, კულტურული, იურიდიული საკითხები. რაც უნდა ბევრი იყოს ამგვარი საკითხები, მოთხოვნები მათი შესრულების შესახებ არ ჩამოყალიბდება პოლიტიკურ კონფლიქტად, ის კი არა, სასაზღვრო რეგიონში მცხოვრები არაქართული ეთნოსის ირედენტულ პრეტენზიებს არ უერთდება იგივე, მაგრამ ქვეყნის შიდა რეგიონში კომპაქტურად მოსახლე ეთნოსი. მაგალითად, აფხაზთა მოთხოვნები არ გაიზიარეს აჭარაში მცხოვრებმა აფხაზებმა, ხოლო ოსეთის ავტონომიუ-

რი ოლქის 60 ათასზე მეტი ოსის მოთხოვნებს არ შეუერთდა საქართველოს შიდა რეგიონებისა და ქალაქების 100 ათასზე მეტი ოსი მაცხოვრებელი.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეთნოკონფლიქტები პოტენციურად მოსალოდნელია სასაზღვრო რეგიონებში მაშინ, თუ ამას ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობის პროცენტული შეფარდება დომინანტურ ერთან.

როგორც ეთნოლოგს, არ გვაქვს უფლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ეთნოკონფლიქტების მამოძრავებელ ძალად ძირითადად ამ ეთნიკური ჯგუფების „პოლიტიკური ლიდერები" გვევლინებიან. ველზე ხანგრძლივად მუშაობის ჩვენმა პრაქტიკამ და განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელი წლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ შიდა ქართლისა და აფხაზეთის მოსახლეობა არ იყო ეთნოკონფლიქტების მომხრე, პირიქით, მოსალოდნელი აფეთქების წინ დაძაბულობა და შიშიც კი იგრძნობოდა მათში. სულ სხვა განწყობა შეინიშნებოდა „ეთნოელიტის" წარმომადგენლებში, რომელნიც, სხვათა შორის, ჩვენს გვერდით მუშაობდნენ და თავის განწყობას თითქმის აშკარად ავლენდნენ. ასე რომ, ელიტა, როგორც წესი, დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ გზით წარმართვაზე. გააჩნია, სადავეებს ვინ ჩაიგდებს ხელში. ეს პრაქტიკამაც დაადასტურა. ამა თუ იმ ეთნოსის საღი, განათლებული ელიტარული ნაწილი არ ილაშქრებს საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ და არც მისი დაქუცმაცების მომხრეა. ეს კარგად გვიჩვენა როგორც აფხაზურმა, ისე ოსურმა მაგალითმა.

ეთნოკონფლიქტს ყოველთვის იწყებენ დესტრუქციული ელიტარული ელემენტები, რომლებიც ხალხით მანიპულირებისათვის იყენებენ ეთნონაციონალიზმს. მასები ამ დროს არ გამოდიან

სამოქმედო ასპარეზზე, ისინი მხოლოდ კონფლიქტის მომდევნო ეტაპში იღებენ მონაწილეობას. ამგვარად, ეთნიკურობა შეიძლება არც კი იყოს კონფლიქტის დაწყების ძირითადი მიზეზი. კონფლიქტი ეთნიკურ კონფლიქტად მას შემდეგ ჩამოყალიბდება, როდესაც მასები მიიღებენ მასში აქტიურ მონაწილეობას. კონფლიქტის დაწყებაცა და მისი თავიდან აცილებაც, ამდენად, მოგვარებაც, ძირითადად ელიტარული ძალების კომპეტენციაშია, რადგან „მტრობის გამომწვევი არის ელიტა და არა მასები. ეს მას შეუძლია, და ხელეწიფება კიდეც, ჩაითრიოს ხალხის მასები თავის მიერვე ორგანიზებულ დაპირისპირებებსა თუ ძალისმიერ მოქმედებებში, რომელთა დამანგრეველ შედეგებს ისევ ხალხისთვის მოაქვს ზიანი. ელიტათა შორის მიღწეული შეთანხმება თუ თანამშრომლობა არის სწორეღ ის „მშვიდობა ხალხთა შორის", რომლის შესახებაც დღეს ასე ბევრს ლაპარაკობენ ისინი, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად თავად არღვევს ამ მშვიდობას"[6].

გამოყენებული ლიტერატურა

1 საქართველოში 1993 წლის 25 მარტს მიღებულ იქნა საკმაოდ ლიბერალური კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ათანაბრებს ყველა ეროვნების წარმომადგენლის უფლებებს, არ აწესებს არავითარ ცენზს და ირჩევს მოქალაქეობის ათვლის ნულოვან ვარიანტს.

2 მამარდაშვილი მ., საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992, გვ. 144-145.

3 ირედენტიზმი — [იტალ. irredentismo || ireredento — გაუთავისუფლებელი, უცხო ბატონობის ქვეშ მყოფი] — მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 ს-ის დასაწყისის იტალიაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა იტალიელებით დასახლებული სასაზღვრო მხარეების (ტრიესტის, ტრენტინოს და ა.შ.) იტალიასთან შეერთებას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ირედენტიზმი შეერწყა ფაშიზმს. მართალია, ტერმინმა „ირედენტიზმმა" დღეს პოლიტიკურ თუ პოლიტოლოგიურ წრეებში პოპულარობა ვერ მოიპოვა, მაგრამ ჩვენ ასეთი დაყოფა მართებულად მივიჩნიეთ, რაც თავისთავად საქართველოში კონფლიქტური სიტუაციების უკეთ აღქმის შესაძლებლობას გვაძლევს.

4 Горовиц Д. Ирридентизм, сепаратизм и самоопределение, в сб.: Национальная политика в Российской Федерации. М., 1993, გვ. 145

5. დასახ. ნაშრ., გვ. 147.

6 Тишков В. А., Концептуальная эволюция национальной политики в России, журн.: Исследования по прикладной неотложной этнологии, №100, М., 1996, გვ. 30-31

საერთოდ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ ეთნოკონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს შორის ერთ-ერთი, არც თუ უმნიშვნელო, ადგილი უჭირავს ეთნოკულტურების ღირებულებათა სისტემების სხვაობას თვით ეთნოსების აზროვნებაში. „კულტურაში არსებული დაძაბულობა და წინააღმდეგობა შეიძლება თავისთავად იქცეს ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გამწვავების ფაქტორად. მაგრამ ხდება ასეც: იმის მიუხედავად, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში იჩენს თავს წინააღმდეგობა, იგი იდეოლოგიის მეშვეობით ხშირად იჭრება და მკვიდრდება მასების შეგნებაში როგორც წარმოდგენა კულტურულ ღირებულებათა და სიმბოლოთა დაპირისპირების შესახებ"[1]. ღირებულებათა ორიენტაცია არის ეთნიკური ჯგუფების დაახლოების ან, პირიქით, დაპირისპირების პროცესი.

ღირებულება ეთნიკურობის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც განიხილება ეთნიკური თვითშეგნების რაკურსით. იგი ძალიან ფართო და ტევადი მნიშვნელობისაა — აღნიშნავს რეალურად არსებულ იმ მოვლენებსა და საგნებს, რომლებსაც, ძირითადად, ადამიანთა ქცევების სოციალ-ნორმატიული რეგულატორის ფუნქცია აქვს და პიროვნული აზრის შემცველ კოლექტიურ წარმოდგენებს. „თუ ეთნიკურ ფენომენს მთლიანად კონცეპტუალური მიდგომის თვალსაზრისით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ღირებულებები და სიმბოლოები უფრო მეტად წარმოადგენენ სხვადასხვა დონის სიღრმისეულ, პირადულ და აქტუალიზებულ, იდეოლოგიზებულ მნიშვნელობათა მქონე „კონსტრუქტებს", ვიდრე ეთნიკურობის სხვა ელემენტები.

პირადული, სიღრმისეული ღირებულებითი სტრუქტურები, რომელთა შესაბამისად კონკრეტული ეთნიკური საზოგადოების წევრები ამა თუ იმ გზით წარმართავენ თავიანთ ყოველდღიურ ქცევას, ფაქტიურად მკვიდრდება ხალხის მენტალიტეტში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ღირებულებები მხოლოდ ამ ეთნოსისათვისაა ნიშანდობლივი და სპეციფიკური. მათ, როგორც წესი, ზოგადსაკაცობრიო ხასიათი აქვს. ასეთებია: ოჯახი, სამუშაო, ჯანმრთელობა, პირადული მიღწევები, წარმატება, უშიშროება, ჰუმანურობა, სიმშვიდე ან აქტიურობა.

ამასთანავე, მათი განლაგება ღირებულებათა იერარქიულ შკალაზე ხალხის თვითშეგნებაში ეთნიკურ სპეციფიკასა და ელფერს იძენს. ამ ღირებულებათა შესისხლხორცება ხდება პიროვნების სოციალიზაციის პროცესში, ოჯახის, ნათესაობის, მეგობრობის ანუ, უპირველეს ყოვლისა, უახლოესი ადამიანების გარემოცვაში.

სულ სხვა ხასიათი აქვს საზოგადოებრივ ღირებულებებს: სამშობლოს, თავისუფლებას, ენას, ისტორიულ მეხსიერების ფაქტორებსა და სხვა. მათ ისევ პიროვნება გაითავისებს, მაგრამ ამ ღირებულებებში ჩართვის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იდეოლოგიზებულია საზოგადოება.

ერთიცა და მეორეც ურთიერთობისას ჩამოყალიბებული კონსტრუქტებია. ამათგან პირველი უფრო სტაბილურია, მყარია, ხოლო მეორე, იდეოლოგიზებული, როგორც წესი, უფრო სიტუაციურია და, ამდენად, გარემოებისდამიხედვით სხვადასხვაგვარად აქტუალიზებული. „მასზე განუზომლად დიდ გავლენას ახდენს სოციალური ინჟინერია და ის ინტელექტუალური ელიტის, პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობის შედეგია"[2].

„სოციალური ურთიერთობის პროცესში ადამიანებს უმუშავდებათ სოციალური ღირებულებებისადმი სამსახურის მისწრაფება. რა სოციალური ღირებულებანი გადაიქცევა ადამიანისათვის პიროვნული ცხოვრების მთავარ ორიენტირად, რომელსაც ძირითადად იგი ემსახურება, ეს სოციალურ გარემოსა და მის ინდივიდუალურ თავისებურებებზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ადამიანი თავისებურად განიცდის სოციალურ ღირებულებათა მნიშვნელობას, რის გამოც ყოველ მათგანს თავისი უნიკალური წვლილი და ელფერი შეაქვს მთლიანი სოციალური ცხოვრების პროცესში, ყოველ სოციალურ გარემოში არსებობს ძირითადი ღირებულებანი, რომელთაც ემსახურება ადამიანი. წარმოდგენებს ადამიანურ ცხოვრებაზე სწორედ ამგვარი ღირებულებისადმი სამსახური ქმნის. სოციალური ღირებულებანი ერთმანეთთან შინაგანად მჭიდრო კავშირში არიან, მაგრამ მაინც შესაძლებელი ხდება მათი დიფერენცირება და გრძელი სიის წარმოდგენა იმ სპეციალური ღირებულებებისა, რომლებსაც არსებითი როლი ენიჭებათ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების საქმეში"[3].

ადამიანის სოციალურ ღირებულებათა სისტემების ჩამოყალიბებას ძირითადად ორი ფაქტორი განსაზღვრავს — გარეგანი და შინაგანი. გარეგანი ფაქტორი არის ის სოციალური გარემო, სოციალური ჯგუფი, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება. სოციალურ ღირებულებათა ფორმირება ჯგუფის მოთხოვნით, მასში გაბატონებული ნორმების ზემოქმედების საფუძველზე ხდება. ყოველი სოციალური ჯგუფი, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, თავის წევრებს, მათი ზოგადი სოციალური ტენდენციების საფუძველზე, უქმნის მისწრაფებას გარკვეულ ღირებულებათა მიმართ. შინაგანი

ფაქტორი კი არის ადამიანის პირადი ცხოვრება, რომლის პროცესშიც გამოიკვეთება ადამიანის ის ინდივიდუალური თვისებები, არსებით გავლენას რომ ახდენს სოციალურ ღირებულებათა გაშინაგნებასა და ქცევის დეტერმინირებად მათ გადაქცევაზე. აქტიობის პროცესში ადამიანები არა მხოლოდ ეცნობიან სინამდვილესა და სოციალურ გარემოს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, არამედ იმეცნებენ თავის თავსაც[4].

ადამიანის ქმედობის ოთხივე სისტემაში — ორგანიზმი, პიროვნება, საზოგადოება, კულტურა — შედის ღირებულებები, რომლებიც როგორც ფსიქოლოგიური პროცესების, ასევე კულტურული მოდელებისა და ტრადიციების კომპონენტებია. იმის გამო, რომ ინდივიდი იზიარებს ღირებულებას იმავე კულტურისა და იმავე საზოგადოების სხვა ნევრებთან, რომელსაც თავად ეკუთვნის, ღირებულებები გავლენას ახდენენ ადამიანთა სოციალური ქცევების არჩევანზე[5].

იერარქიულად მოწესრიგებული ღირებულებები ქმნიან სისტემას, რომელშიც ნებისიმერ მათგანს განსაზღვრული ადგილი უკავია. ყოველი სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფისთვის ეს სისტემა შიგნით თითქმის ერთნაირია, იერარქიული პრინციპი დაცულია, მაგრამ სხვადასხვაა მათი მიმდევრობა შკალაზე. შესაძლებელია ღირებულების მიმდევრობის მანიფესტირება ცდებოდეს რეალურ ქმედობას, ავლენდეს სულ სხვა სურათს.

გამოიყოფა ღირებულებათა ორი ჯგუფი: პირველი — ღირებულება, რომელიც აქვს ამა თუ იმ ნივთს ადამიანის თვალში და მეორე — ღირებულება, როგორც სოციალური შეგნებისა და თვითშეგნების ელემენტი. კონკრეტული სოციალური შესწავლისათვის სწორედ ღირებულებათა ეს მეორე ჯგუფია საინტერესო[6].

ღირებულებათა სისტემის განხილვისას ერთმანეთისგან განასხვავებენ ინსტრუმენტულ (საშუალებათა ღირებულებანი, ქცევათა ხერხის ამორჩევის ღირებულებანი) და ტერმინალურ ღირებულებებს (ღირებულება-მიზანი, რომელიც ყოფის სასრული მდგომარეობის მიღწევას ემსახურება). წამყვანი (დომინანტური) ღირებულებათა იერარქიაში სწორედ ტერმინალური ღირებულებები იქნება, მაშინ, როდესაც ღირებულებათა სისტემაში უფრო დაბალ საფეხურზე განთავსებულ ღირებულებებს დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობა დაკარგული აქვს და გამოიყენება მხოლოდ როგორც ტერმინალურ ღირებულებათა რეალიზაციის ან შენარჩუნების საშუალება[7].

ეთნიკური თვითშეგნების ღირებულებათა სტრუქტურის ანალიზის დროს ამ ორი ჯგუფის გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია. ეთნიკურობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, კონკრეტულ ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებათა გამო, სხვადასხვა ღირებულებები (საკუთარი ტერიტორია, ენა, ისტორია, სახელმწიფოებრიობა, ეკონომიკური განვითარება და ა.შ. შეგნებულ კოლექტიურ, ეთნიკურ ქცევათა მოტივაციურ სტრუქტურაში შესაძლოა დომინირებულ ტერმინალურ ღირებულებათა როლში მოგვევლინონ და მაშინ, შესაბამისად, ყველა სხვა ღირებულება იქნება მხოლოდ საშუალება, რომელიც ექვემდებარება ღირებულება — დომინანტს[8].

მორალურ ღირებულებებს ყოველთვის არა აქვს სოციალურ (ინტერპერსონალურ) ღირებულებებთან შეხების წერტილი, ამიტომ არც თუ ყოველთვის გამოდგება ჯგუფური ქცევის მოტივაციად. გამოთქმა — „ასე უნდა იყოს" ("ასეა საჭირო")", „ასე უნდა ვიმოქმედოთ და არა სხვაგვარად" შეფარდებითია და არა აბსოლუ-

ტური. ჯერ ერთი, გამოთქმა „უნდა" („საჭიროა") უმეტესწილად გამოიყენება არა ტერმინალური, არამედ ინსტრუმეტული ღირებულებების მიმართ და მეორეც, მორალურ ღირებულებებს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე კომპეტენტურს (თვითაქტუალიზაციას).

აღნიშნული ვითარების გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია ეთნოსთაშორისი ურთიერთობის უკეთ გასაგებად. ამ ურთიერთობებისას, ისევე, როგორც ნებისმიერი ჯგუფთაშორისი ურთიერთობების დროს, შესაძლოა, შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები აღიარებენ სხვადასხვა ტერმინალურ ღირებულებებს. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის ეთნიკურ თვითშეგნებაში ჩამოყალიბდება შეხედულება, რომ ერთი ჯგუფის ეთნიკური ტერმინალური ღირებულებები ეწინააღმდეგება მეორე ჯგუფის ტერმინალურ ღირებულებებს, მაშინ კონფლიქტში მონაწილე ჯგუფები ღირებულება-საშუალების შერჩევისას აღარ იხელმძღვანელებენ მორალური პრინციპებით. უფრო მეტიც, ინტენსიური კონფლიქტის დროს თავს იჩენს ტენდენცია, რომ ეთნოსის შინაგანმა კონსოლიდაციამ და სოლიდარობამ გაამართლოს მოწინააღმდეგე ჯგუფის მიმართ კონფლიქტური ქმედობის ნებისმიერი ხერხი, თვით ძალადობის გამოყენებაც კი[9].

კონფლიქტურ სიტუაციაში ეთნიკური ღირებულებების მეცნიერულ შესწავლას სადღეისოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მათი რაობის, არსის, მიზანსწრაფვის გაანალიზება თანამედროვეობაში მიმდინარე პროცესების ფონზე ხელს შეუწყობს პოლიეთნიკური ჯგუფების ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების უკეთ ნარმოჩენას.

1993-1997 წლებში ჯავახეთში ჩატარდა ეთნოგრაფიული ექსპედიცია. კვლევის ობიექტად შეირჩა ჯავახეთის მაღალმთიანი რე-

გიონი, კერძოდ, ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკის სოფლ-საბჭოს პოლიეთნიკური საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის უკიდურეს სამხრეთ სასაზღვრო ზონას.

ეს მიკრორეგიონი 1989 წლამდე დასახლებული იყო მხოლოდ დუხობორებით. მათი გადასახლების შემდეგ რეგიონი დაიკავეს სომხებმა და ქართველებმა. შეიქმნა ახალი პოლიეთნიკური საზოგადოება, რომელშიც ინტეგრაციის პროცესები ურთულესად მიმდინარეობდა, რადგან მონოეთნოსაზოგადოების პოლიეთნოსაზოგადოებად გადაქცევა მოხდა არა ბუნებრივი, არამედ ხელოვნური ჩარევის გზით.

ნინოწმინდის რაიონის პოლიეთნიკური მოსახლეობის განხილვა გამართლებულია ეთნოისტორიული და ეთნოპოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან მოსახლეობის სამივე ჯგუფს ჯავახეთის ტერიტორიაზე დასახლებისა და ცხოვრების მოწყობის საკუთარი, ერთმანეთისგან განცალკევებული ისტორია, რელიგია და ეთნოკულტურული იერსახე აქვს, რომელსაც არსებითი მნიშვნელობ. ენიჭება ამ სამივე ჯგუფის თანაარსებობის პირობებში. მათი ერთიანობის განმსაზღვრელ ძირითად პირობას წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტული ტერიტორია.

ეთნიკური არაერთგვაროვნობა, შექმნილი ერთ გეოგრაფიულ სივრცეში, უკავშირდება უპირველესად კონკრეტული ხალხის ეთნიკურ ისტორიას, განვითარების თავისებურებებს და, შემდეგ უკვე, მისთვის ნიშანდობლივი ეთნიკური პროცესების ხასიათს. სნორედ ეს ხასიათი ასაზრდოებს როგორც კონფლიქტს, ისე გარკვეული ჯგუფის შემწყნარებლობას იმ კონფლიქტური ფაქტორების მიმართ, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში სხვადასხვა კომბინაციით გამოვლინდება.

ეთნოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესს განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორი:

პირველი — ტერიტორიული მთლიანობა და სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურა და მეორე — თვითშეგნება, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ცალკეული პირებისა თუ მთელი კოლექტივის ამა თუ იმ ეთნიკური ერთობლიობისადმი მიკუთვნების საკითხში.

ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბება რთულდება უცხო გარემოში ჩასახლებული მოსახლეობისათვის, რადგან უმეტესად წყდება კავშირი საერთო წარმომავლობას, სამშობლოს ცნებასთან და წარმოიშვება ახალი გარემოს სამშობლოდ აღქმის აუცილებლობა, რაც გარკვეულწილად აისახება ფსიქიკურ წყობაში: მიგრანტი შეიმეცნებს ეთნიკურ მიკუთვნებას, რომლის რეალური საფუძველია ეთნიკური ჯგუფის წევრთა და მათ წინაპართა ისტორიული ბედ-იღბლის ერთიანობა და არსებობა „სამშობლოდ" აღიარებულ ტერიტორიაზე. ამგვარი ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბება გარკვეულ დროს მოითხოვს. იგი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აერთიანებს ეთნოსის წევრებს და განასხვავებებს მას სხვა ეთნოსისაგან. განსხვავებულობის პრინციპი მოიცავს სულიერ და სოციალურ ელემენტებს, მათ შორის, კულტურისა და ყოფის ტრადიციულ ფორმებს და შესაბამის ცხოვრების წესს, მემკვიდრეობით მიღებულს ეთნიკური ტრადიციების მეშვეობით.

ცალკეული პოლიეთნიკური ჯგუფის ტრადიციების ეთნოსპეციფიკური ნიშნების გამოვლენისას ჩანს, რომ სოციალური ურთიერთობის მართვა განპირობებულია ეთნიკური ჯგუფის განფენილობის არეალით და მის მიერ დაკავებული ტერიტორიით. ეს ის გეოგრაფიული გარემოა, რომელსაც სისხლხორცეულად შეზრდია

ეთნიკური ჯგუფი და სადაც მიმდინარეობს მისი სამეურნეო თუ კულტურულ-სოციალურ ტრადიციათა ჩამოყალიბების პროცესი. სამეურნეო ტრადიციათა მეშვეობით ბუნებასა და ადამიანს შორის მყარდება ჰარმონია, რომელიც განაპირობებს არა მარტო ბუნებასთან შეგუების, არამედ მისი მოვლის, სიყვარულის და შენარჩუნების მოთხოვნილებას. ეთნიკური ღირებულების შეგრძნება ეთნოგანმსაზღვრელი კომპონენტის მნიშვნელობას იძენს ახალ პირობებში ჩასახლებული ეთნოჯგუფების ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში.

ამდენად, პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ღირებულებათა ფორმების ძიება დიდად საგულისხმოა და ეთნო-ისტორიული კვლევისას სწორი ორიენტაციის მომცემია.

მნიშვნელოვანი და არსებითია ეთნიკურ ღირებულებათა როლი ფარული კონფლიქტის არსებობის პირობებშიც. ღირებულებებს უკავშირდება, და ხშირად ზემოქმედებასაც ახდენს, ადამიანთა ზნეობრივი ორიენტაციები, სამოქმედო ასპარეზი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლოა დაზუსტდეს საკვლევი მოვლენის სიღრმე ეს კი ხელს შეუწყობს სწორი ეთნოპოლიტიკის შემუშავებას პოლიეთნიკურ საზოგადოებაში.

დუხობორებმა ჯავახეთში გადმოსახლებისთანავე შექმნეს თავისი მიკროსამყარო, რომელიც ფიზიკურად არის გამოვლენილი მათ მიერ დაკავებულ სივრცეში. ორიენტირებად მიიჩნიეს ოთხი მთა (მათგან სამი, „აბულ გორას" გარდა, ბუნებრივად შემოსაზღვრავს გაშლილ ველს) „სვიატაია გორა", „სინი კურგანი", „კურგან ველიკი პავლო" და „აბულ გორა". ამ მთებით შემოფარგლული სივრცე თავის სამშობლოდ, მშობლიურ მიწად იგულვეს. როგორც ეთ-

ნოგრაფიული ტრადიციით მოწესრიგებულ ყველა ჯგუფს, მათაც აქვთ საკულტო ადგილები, რომლებიც დღემდე პირვანდელი სახით არის დაცული.

დუხობორიის სივრცეში მოთავსებული ყველა საკულტო ძეგლი, წარმოდგენილი სივრცის სიმბოლურ ორგანიზაციად, ამ საზღვრებს შიგნით მცხოვრებ საზოგადოებას აღქმული აქვს თავის თავთან მიმართებაში არა მარტო ფიზიკურად, არამედ ცნობიერადაც. ამიტომ დუხობორის მიერ სივრცის სამშობლოდ აღქმა დაკავშირებულია სივრცის ორგანიზაციასთან, სულიერ და სოციალურ სფეროსთან. ამ სივრცეში მოქმედი კულტურა, სიმბოლოები, რელიგიური, სოციალური თუ ყოფითი ქმედობანი, ქცევა კანონზომიერად აღიქმება ჯგუფის მიერ და ორგანიზებულს ხდის მას.

ღირებულება „სამშობლო", რომლის მიმართაც ორიენტირებულია დუხობორთა ჯგუფი, ითვალისწინებს ამ ჯგუფში შემავალი ადამიანების მისწრაფებათა გაცნობიერების საფუძველზე შექმნილ სოციალურ მოთხოვნებს. სამშობლო აყალიბებს იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც დუხობორმა უნდა დაიკმაყოფილოს თავისი ყოფითი, რელიგიური თუ სოციალური მოთხოვნილებანი.

თანამედროვე დუხობორთა მსოფლმხედველობა თავის თავში შეიცავს იმ სივრცეს, რომელშიც თვითონ ცხოვრობენ და მოქმედებენ, იფარგლებიან მხოლოდ წმინდა მთებით, მთებს შორის არსებული სივრცით. ეს ტერიტორია მათი მოქმედების არეალია და მას თავის სამშობლოდ აღიქვამენ.

მოხუცი დუხობორების ნარმოდგენით, ეს ის ადგილია, სადაც თავის დროზე მოხდება საშინელი სამსჯავრო, დადგება განკითხვის დღე. ისინი ამ დღეს მშვიდად ელიან, რადგან იციან, რომ ღმერთის წინაშე უცოდველნი არიან.

დუხობორებისათვის ღირებულება „სამშობლო" სულიერთან ერთად, დაკავშირებულია ეკონომიკურ კატეგორიებთან — მიწის სარგებლობასთან, მიწის ფლობასა და, ბოლოს, მიწის საკუთრებასთან. თემის მიერ ათვისებული და ფიზიკური საზღვრებით შემოფარგლური სივრცე არის თემის საარსებო საშუალება, რესურსების მოპოვების ადგილი, რომელიც გარკვეული სიმბოლოებით არის შემოსაზღვრული და ეს სიმბოლოები აწესრიგებს დუხობორების კუთვნილი მიწების ფართს.

მიკროტერიტორიაზე ჩასახლებული სომხების აზრით, ეს ადგილი მათი სამშობლოს კუთვნილი მიწაა. სამშობლოს ცნებაში გულისხმობენ კონკრეტულად ამ მიკრორეგიონს, ჯავახეთის დანარჩენ სოფლებს, დაწყებულს ახალქალაქიდან და სომხეთის რესპუბლიკას.

ასეთი მენტალიტეტის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ისიც, რომ ადგილობრივი სეპარატისტების ელიტა და სომხეთიდან ჩამოსული ნაციონალისტები ავრცელებენ ე. წ. „დიდი სომხეთის" ფალსიფიცირებულ რუკებს, სადაც სომხეთის საზღვარი ერთგან თბილისამდეა, მეორეგან — ქუთაისამდე და მესამეგან — ზღვიდ. ზღვამდე.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი თავისთავად ამძაფრებს სამშობლოს ცნებაში ჯავახეთისა და სომხეთის გაერთიანებას.

ჯავახეთში მაცხოვრებელი სომხების მიერ სამშობლოს აღქმა პირობითად ორი საფეხურისაგან შედგება. პირველზე წარმოდგენილია ის მიკროტერიტორია, რომელზეც ცხოვრობტყ, მეორეზე კი — ჯავახეთი და სომხეთის რესპუბლიკა, თავისი დღევანდელი საზღვრებით.

სომხის მენტალიტეტით სამშობლოს ცნებაში აღიქმება მხოლოდ ის ტერიტორია, რომელშიც თვითონ მოქმედებს, უფრო სწო-

რად, სადაც მას ეძლევა მოქმედების უფლება. მისთვის სამშობლო არის ის ადგილი, სადაც დაიბადა, რომელიც მისი მოქმედების არეალია. სამშობლოა სომხებით დასახლებული გარემოცვა, რომელსაც ის სომხეთთან აიგივებს.

ქართული მოსახლეობა, როგორც აჭარიდან, ასევე სხვა კუთხიდან ჩამოსახლებული, თავის სამშობლოდ, რა თქმა უნდა, მთელ საქართველოს აღიქვამს. მიუხედავად ისტორიული ცოდნისა დაკარგული ტერიტორიების შესახებ, რომლებიც დღეს რუსეთის ფედერაციას, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ეკუთვნის, სამშობლოდ მაინც დღევანდელ პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიას მიიჩნევს.

ჩვენს მიერ შესწავლილ რეგიონში სამი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთაგან ყველაზე მყარად თავს გრძნობს დუხობორი. იმის გამო, რომ დუხობორები ყველაზე ადრე გადმოსახლდნენ და მონოეთნიკურად მთლიანად აითვისეს ეს მიკროტერიტორია, მეტ უფლებებს ამჟღავნებენ მიწის — „სამშობლოს" მიკუთვნილობაზე, რასაც ხელს უწყობს მათ მიერ ფიქსირებული საკულტო ძეგლები, რომლის ირგვლივ ერთ სოციუმად ერთიანდებიან. ახალჩამოსახლებული ქართველები და სომხები ჯერჯერობით ვერ გაერთიანდნენ იდეოლოგიური მფარველის, „პატრონის" ირგვლივ და ამ მხრივ ეთნოგრაფიულად მოუწესრიგებლის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ყოველი ჯგუფის მიერ თავისებურად გაცნობიერებული სამშობლოს ცნება ჯერჯერობით დაპირისპირებას იწვევს. ერთი და იგივე მიკროტერიტორია ორი ეთნიკური ჯგუფისათვის — სომეხთა და ქართველთათვის — სხვადასხვა საზღვრებში მოქცეული ორი სხვადასხვა ქვეყნის — სომხეთისა და საქართველოს — ნა-

ნილს წარმოადგენს. ხოლო მესამის - დუხობორისთვის ეს ტერიტორია არის ერთადერთი მისი კუთვნილი მშობლიური მხარე.

ღირებულება „სამშობლოს" თავისთავად უკავშირდება ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთკავშირი. ამ კავშირს ადამიანი გარკვეული მსოფლმხედველობის საფუძველზე ახორციელებს.

ტრადიციული მსოფლმხედველობით შექმნილი სამყაროს სურათი ასახავს სპეციფიკურ ადამიანურ, კულტურულ ურთიერთობებს ობიექტურ ფიზიკურ სამყაროსთან.

ამ ეთნიკურ ჯგუფთაგან ერთი მუსლიმანური (აჭარელი ქართველები) რელიგიის აღმსარებელია, დანარჩენი კი ქრისტიანულის: მართლმადიდებლური (ქართველები), გრიგორიანული (სომხები), კათოლიკური (სომხები) და დუხობორული (ქრისტიანული სექტა) და თითოეული მათგანის მსოფლმხედველობა ძირითადად მათივე რელიგიურ აზროვნებას ემთხვევა. სამყაროს სტრუქტურა ყველა ჯგუფისათვის ერთნაირია. იგი შედგება ზედა ნაწილის — ზეცისაგან, შუანაწილის (ცენტრის) — დედამიწისგან და ქვედა ნაწილის — ქვესკნელისაგან.

დუხობორის დღევანდელი მსოფლმხედველობით, სამყარო ის ადგილია, სადაც ის ცხოვრობს, შრომობს, რომელსაც ის ვიზუალურად აღიქვამს. იგი მისთვის მეურნეობრივი არეალია და ამ ადგილს, ანუ მისი გაგებით სამყაროს, დუხობორი სამშობლოდ მიიჩნევს.

ჯავახეთში განხეთქილების შედეგად დარჩენილმა დუხობორებმა – „მალაია პოლოვინამ" და „ბოლშაია პოლოვინას" ზოგიერთმა წარმომადგენელმა — თავიანთი მსოფლმხედველობით სამყაროს სრულიად რაციონალური საფუძველი დაუდეს. ეს გასაკვირი

არც არის, რადგანაც მსოფლმხედველობა ცვალებადია და კონფესიური ჯგუფის რელიგიურ აზროვნებაში თანდათან ხდებოდა ეთნიკურობისათვის დამახასიათებელი ელემენტების ჩანაცვლება. უპირველეს ყოვლისა, გაჩნდა ახალი წმინდა ადგილები — სალოცავები, რომლებიც რეალურ მოვლენებს დაუკავშირდა.

ჯავახეთში გვიან ჩასახლებულ სომხებს და ქართველებს ამ ტერიტორიის მიმართ ასეთი განწყობა არა აქვთ. მათი მსოფლმხედველობა სულ სხვაგვარია. მაგრამ მათთვისაც, თუ შეიძლება ითქვას, როგორც არაორთოდოქსალებისთვის, მსოფლმხედველობაში არსებულ ზეცას, დედამიწასა და ქვესკნელს შორის პირველადი და ყველაზე რაციონალური დედამიწაა, ანუ ცენტრი ზემოსა და ქვემოს შორის. რეალური სამყარო ხომ უფრო ხელმისაწვდომია გასაცნობიერებლად და ასათვისებლად.

მშობლიური მიწის განცდას ქართველებსა და სომხებში მსგავსი ემოციური დატვირთვა ახლავს, მაგრამ ამ გრძნობას თითოეული მათგანი თავის საკუთარ ეროვნულობას უდებს საფუძვლად.

ასე რომ, ყოველი ჯგუფის მიერ სამშობლო — მშობლიური მიწა — წარმოდგენილია, როგორც ეთნიკურად ორიენტირებული ტერიტორია და ყველა მათგანს ამ მიწის მიმართ საკუთრების განცდა აქვს.

დუხობორებმა კარგად იციან მათ მიერ რეალურ სამყაროში მეურნეობრივად ათვისებული ტერიტორიის საზღვრები; სწამთ, რომ სწორედ ეს არის მათი, ხოლო საზღვრებს იქით სხვისი სამფლობელოა. ასე რომ, რეალურად და აზროვნებაშიც საკუთარი ტერიტორია მკვეთრად აქვთ გამოყოფილი საზღვრებით და სხვა მარკერებით, ამ შემთხვევაში — სიმბოლო — მთებით.

რეალურად, მოწესრიგებულად განლაგებული სიმბოლოები დუხობორთა შემეცნებაში იყო საზოგადოების სიმშვიდის გარანტია. ამ მოწესრიგებული სამყაროს დარღვევა იწვევს ქაოსს, გაურკვევლობას, შიშს და ჯგუფს აყენებს კონფლიქტურ სიტუაციაში. დღეს მათი კუთვნილი მიწა მოზაიკურად არის ათვისებული სხვათა, მოსულთა მიერ, რომელნიც, დუხობორთა წარმოდგენით, არღვევენ მათ საკუთარ მშობლიურ ტერიტორიას. ისინი ვერ ახერხებენ გაინაწილონ სამყარო სხვასთან ერთად, უფრო ზუსტად, სხვაც შეიზიარონ თავის კუთვნილ სამყარო-სამშობლოში და აქვთ მთლიანობის რღვევის შეგრძნება, რაც კოლექტივისთვის ძნელად მისაღებია. ასეთ შემთხვევაში მოსული — „სხვა“ დამპყრობლად აღიქმება. აქედან გამოსვლის ორი გზა არსებობს — ან დარჩნენ და იბრძოლონ საკუთარის შესანარჩუნებლად, ან დათმონ პოზიციები და წავიდნენ. სწორედ ამან გაჰყო ჯგუფი ორ ნაწილად -- ერთმა წასვლა ამჯობინა, მეორე კი დღესაც იბრძვის თავისი საკუთრების დასაცავად.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ყოველი ჯგუფის თვითშეგნებაში თანდათან ძლიერდება და მწვავდება პრეტენზიები გარკვეული ტერიტორიის მიმართ. ესა თუ ის ჯგუფი თავისი პოზიციის გასამაგრებლად იხსენებს ისტორიულ წარსულს, რაც იწვევს კონფლიქტური ვერსიების ამოტივტივებას. ასეთ დროს ამოქმედდება ინტელექტუალური ნაწილი, რომელიც თავისი სიმართლის დასამტკიცებლად მოიშველიებს ისტორიულ მეცნიერებას, ფილოლოგიას, კულტურას, ძეგლებს. თითოეული ჯგუფი ჩხრეკს და უკირკიტებს არქიტექტურულ ძეგლებს, საფლავის ქვებს, ეკლესიებს, ლეგენდებს. ზოგიერთი ჭეშმარიტებას ფიქციად აქცევს თავის სასარგებლოდ. შეთხზული ისტორიული წარსული, ფალსიფიცირებული, გადაკეთებული არქიტექტურული ძეგლები -- ეკლესიები (რისი

მაგალითიც მრავლადაა ჯავახეთში), ჯგუფის თვითშეგნებაში აძლიერებს ამ ტერიტორიასთან მიკუთვნილობის გრძნობას, ხელს უწყობს ნარმოიდგინოს თავი მის მფლობელად. ეს პროცესი იწვევს ეროვნული გრძნობის გამოღვიძებას.

ქართველებს, რომლებიც დუხობორთა ჯგუფმა არ მიიღო, აქვთ ძლიერი შინაგანი არგუმენტაცია თავისი უფლების დასაცავად და მას გამძაფრებული კონფლიქტური სიტუაციის დროს იყენებენ. ვერბალურად ასე გამოხატავენ: „ეს ჩვენი მიწაა, ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყული, აღარ დადგა დრო, რომ აქ ქართველმა იცხოვროს...?!" ამ ნათქვამში ჩაქსოვილია საქართველოს ისტორიული წარსული და თანამედროვე პოლიტიკური სიტუაცია, დაკარგული მიწების ნოსტალგია, დაუცველობა მტრებისგან, მუდამ რომ ხელყოფდნენ საქართველოს ტერიტორიას. განსაკუთრებით ეშინიათ სომხური ეროვნების ექსტრემისტებისა, რომლებსაც, მათი აზრით, შეუძლიათ კვლავ ხელყონ ტერიტორიის მთლიანობა.

სომხები, რომლებიც უფრო მეტად დუხობორებს უპირისპირდებიან, ვიდრე ახალჩამოსახლებულ ქართველებს, მეტი მოთმინებით ეკიდებიან მიწის დაუფლების საკითხს. მათი აზრით, დუხობორები ვერ გაუძლებენ ზეწოლას, აიყრებიან და წავლენ, ხოლო ქართველებს ამ ტერიტორიის კანონიერ მფლობელებად არც მიიჩნევენ. მათთვის მთავარია, დუხობორები წავიდნენ. ამას საფუძვლად უდევს ის რეალური სიტუაცია, რომ დუხობორი აშკარად უკეთ ადაპტირებულია ამ ტერიტორიაზე, ყველაზე მეტად გაითავისა იგი, სხვაზე მეტად წარმატებულია და სომხისთვისაც იგია მონინააღმდეგე. სომხის აზრით, ქართველი მერყეობს, მისი მდგომარეობა არამყარია და ფაქტიურად ფეხს ვერ იკიდებს, ვერ გაძლებს, ადრე თუ გვიან წავა, დატოვებს ამ ტერიტორიას.

საკვლევ რეგიონში გამოვლენილმა მასალებმა ცხადყო, რომ დუხობორიის არსებობისა და განვითარების საფუძველი ადგილობრივ კულტურათა ტრადიციებშია საძიებელი. „დუხობორია" თავისი ჩამოსახლების და ჩამოყალიბების მომენტიდან მწარმოებლურად ეგუება განსაზღვრულ გეოგრაფიულ გარემოს. ეთნიკური ჯგუფის საწარმოო აქტიობა ბუნებრივ საწარმოო ძალთა მრავალფეროვნებასთან ერთად ქმნის განვითარების, ტრადიციების განმტკიცების და სოციალური ჯგუფის გაერთიანების საფუძველს. ამას ხელს უწყობს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ჰუმანური, ზნეობრივი თვისებები: სხვა ერთან მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანაცხოვრების, განსხვავებული სარწმუნოების შემწყნარებლობის, სხვა ერების ისტორიულ ტრადიციათა დაფასების უნარი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ კანადასა და რუსეთში მოსახლე დუხობორებისთვისაც „დუხობორია-სამშობლო" ჯავახეთია.

სამშობლო ფართო ცნებაა და ძირითადად სამი მნიშვნელობით იხმარება:

1. მოქალაქეობრივი, 2. ეთნიკური და 3. ლოკალურ-ტერიტორიული: „1. მოქალაქეობრივი, როდესაც ცნებაში „სამშობლო" იგულისხმება გარკვეული (კონკრეტული) სახელმწიფო; 2. ეთნიკური, როგორც სინონიმი ცნებისა „მშობლიური მიწა"; ეს გაგება ხშირად უფრო ფართოა, იტევს ეთნიკურ ისტორიასა და თანამედროვეობას, ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს; 3. ლოკალურ-ტერიტორიული, რომელიც ხშირად ნიშნავს „მცირე სამშობლოს".[10]

ჩვენს შემთხვევაში სამშობლოს შესახებ სამი ეთნიკური ჯგუფის ორიენტაცია არ ემთხვევა ერთმანეთს. დუხობორებისათვის „სამშობლოს" გაგება არის ლოკალურ-ტერიტორიული, მაგრამ

არა როგორც „მცირე სამშობლო", არამედ — ერთადერთი, მთელ მსოფლიოში გაფანტული დუხობორებისათვისაც კი; მაგრამ ამ დროს გულისხმობენ არა კონკრეტულ სახელმწიფოს თავისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურით, არამედ მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიას, შემოფარგლულს გარკვეული საზღვრებით. სომხებისა და ქართველებისათვის — ეთნიკური, როგორც „მშობლიური მიწა", მაგრამ მათ აზროვნებაში განსხვავებული საზღვრებით. ასე რომ, არც ერთი ჯგუფი არ აღიქვამს „სამშობლოს" მოქალაქეობრივად, ქართული ჯგუფის მენტალიტეტი მხოლოდ ნაწილობრივ უახლოვდება სამშობლოს მოქალაქეობრივ გაგებას.

რა თქმა უნდა, ასეთი გააზრება თავისთავად იწვევს დაპირისპირებას.

შესასწავლ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ადამიანთა მთავარი მოთხოვნილება-არსებობისათვის ბრძოლა არის საფუძველი ყველა იმ ღირებულებათა ამოქმედებისა, რომლებიც კონფლიქტურ სიტუაციაში წინა პლანზე წამოიწევს. ბრძოლა არსებობისათვის უკავშირდება რესურსების მოპოვებისა და, ამდენად, სამეურნეო ნიშების დაკავება-დათავისების საკითხს, რაც თავისთავად მშობლიური მიწის, ტერიტორიის მიკუთვნილობას აქცევს უპირველეს ღირებულებად. სხვა ღირებულებები კი იერარქიულ შკალაზე უკვე მასთან შეფარდებით განლაგდებიან.

ტერმინალური ღირებულება „სამშობლო" არის ის ღირებულება-მიზანი, რომელიც ყოფის სასრული მდგომარეობის უზრუნველყოფას, ანუ ტერიტორიაზე არსებული რესურსების ხელში ჩაგდებას, არსებობისათვის ბრძოლას ემსახურება. სხვა ღირებულებები გამოიყენება როგორც ტერმინალურ ღირებულებათა რეალი-

ზაციის ან შენარჩუნების საშუალება, ე.ი. სხვა ღირებულებები ექ-ვემდებარება წამყვან, დომინანტ ღირებულებას.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ შესწავლილ ყოველ ეთნი-კურ ჯგუფს ტერმინალური ღირებულება „სამშობლო" იერარქიულ შკალაზე ერთსა და იმავე ადგილას აქვს წარმოდგენილი. მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ვითარებაა, ვინაიდან ღირებულე-ბაში „სამშობლო" ფიზიკურად ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ად-გილს გულისხმობენ, ოღონდ არა ინტერნაციონალიზებულს, არა-მედ თითოეული ჯგუფის ეთნიკური აზროვნებით თავისებურად აღ-ქმულს. სწორედ ეს აღქმა იწვევს დაპირისპირებას. ტერმინალური ღირებულების მიმართ ერთი ჯგუფის ორიენტაცია ემთხვევა მეორე ჯგუფის ანალოგიურ ორიენტაციას. ყოველი ჯგუფი ერთნაირი სიმ-ძაფრით ავლენს მშობლიურ მიწასთან დამოკიდებულებას, მაგრამ დაპირისპირებას იწვევს არა ღირებულების ფორმირების განმსა-ზღვრელი შინაგანი ფაქტორი, არამედ მისი ერთი და იმავე ფიზიკუ-რად არსებული ტერიტორიისკენ მისწრაფება, ანუ ყველა ჯგუფის მიერ სამშობლოდ ერთი განსაზღვრული გეოგრაფიული გარემოს აღქმა. ასეთი დამოკიდებულება ხელს უწყობს ჯგუფის შიგნით კონ-სოლიდაციას და სოლიდარობას, მაგრამ ჯგუფთა შორის იწვევს კონფლიქტს. ამიტომ „სამშობლოს" — ტერმინალური ღირებულე-ბის — უკეთ წარმოჩენა-მანიფესტირებისათვის ხდება ინსტრუმენ-ტულ ღირებულებათა სხვადასხვა საშუალებებით მანიპულირება. ასეთ დროს მოსალოდნელია, რომ იერარქიულ შკალაზე სხვადასხვა ჯგუფების ინსტრუმენტული ღირებულებები არ დაემთხვეს ერთმა-ნეთს, რაც გაამწვავებს კონფლიქტურ სიტუაციას. სხვა კულტურის ღირებულებებს ჯგუფი აფასებს და განსჯის მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ხარისხის გათვალისწინებით, რაც საბოლოოდ

ავლენს ოპოზიციურ მდგომარეობას „ჩვენ-ისინი": „ჩვენ ისე არ ვიქცევით, როგორც ისინი; ჩვენ ისე არ ვშრომობთ, როგორც ისინი; ჩვენ სხვა მრნამსი გვაქვს, სხვა წესი, სხვა ხალხი ვართ" და, საერთოდ, „ჩვენ ისე არ ვცხოვრობთ, როგორც ისინი". ამიტომ ყოველ ჯგუფში ღირებულებები განისაზღვრება ამ ჯგუფის ქცევის სტერეოტიპის მიხედვით, ანუ ერთი და იგივე ღირებულების აღქმა და მისი შეფასება მეორესთან შეფარდებით სხვადასხვა ჯგუფში სხვადასხვანაირია. ეს კი თავისთავად ამძაფრებს საკუთარ ღირებულებასთან დადებით დამოკიდებულებას და ხშირად დაპირისპირების დროს თავის გადარჩენის მიზნით ხდება მათი მანიფესტირება სიმბოლოებით. ანუ „მართლის" სტატუსის მოსაპოვებლად წინ წამოსწევენ ისეთ სიმბოლიკას ან ღირებულებას, რაც ამართლებს მათი, როგორც მოწინააღმდეგის, მოქმედებას. ამ შემთხვევაში თვითგადარჩენის მიზანი გაამძაფრებს დომინანტ ღირებულებას და იგი იკისრებს დამცველის ფუნქციას. როგორც ვნახეთ, ყოველი ჯგუფისათვის ასეთი ღირებულებაა „სამშობლო". მაგრამ ჯგუფმა რომ ეს ღირებულება შეინარჩუნოს, საჭიროა წინ წამოწიოს დამატებითი — ინსტრუმენტული — ღირებულებები, რომელიც აქტიობის პროცესში გადაიქცევა ქცევის განმსაზღვრელ დეტერმინანტად. მაგალითად, თუ რელიგიური ღირებულებები მშვიდობიანობისას ყოველდღიურ ცხოვრებაში მასიურად არ გამოვლინდება, კონფლიქტური სიტუაციის დროს ჯგუფების და, ამასთანავე, კულტურების დაპირისპირებისას, წინა პლანზე გადმოდის, როგორც იერარქიის მაღალ იარუსზე მდგომი, ე. ი. ის, რაც მშვიდობიანობის დროს ქვედა იარუსზეა მოთავსებული, უმალ შეიცვლის ადგილს, ანუ „შემოტევებისგან" თავდაცვის მიზნით ჯგუფი სწრაფად იცვლის თავის პოზიციას ამა თუ იმ ღირებულების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ათეისტურმა პროპაგანდამ თავისი ფუნქცია შეასრულა და ხალხის ფსიქოლოგიური თუ კულტურული ცნობიერებიდან ნაწილობრივ ამოშალა რწმენის კვალი, რამაც ჩვენს მიერ შესწავლილ ყოველ ეთნიკურ ჯგუფში რელიგიური ასპექტი საკმაოდ შეასუსტა და ათეიზმმა იჩინა თავი, რელიგიამ კულტურათა სხვაობაში მაინც განსაკუთრებული როლი ითამაშა, რაც ქცევის ნორმებით გამოიხატა.

ათეისტური პროპაგანდის შედეგად, დუხობორების, სომხებისა და ქართველების რელიგიური განათლების დონე არც თუ ისე მაღალია, არც ერთს არა აქვს მკვეთრად გამოხატული მორწმუნის სტატუსი. მაგრამ რელიგიას, როგორც ღირებულებას, უფრო მეტიც, ეროვნულ სიმბოლოს, მათ თვითშეგნებაში გარკვეული ადგილი უკავია. ყოველ შემთხვევაში, რელიგია სამივე ეთნოჯგუფისათვის, ყველაზე მეტად კი დუხობორებისათვის, ექსტრემალურ სიტუაციაში სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების წესის მანიპულირების საშუალება ხდება. ერთ მკვეთრად განსხვავებული კულტურების მქონე მიკრორეგიონში რელიგია თითოეული ჯგუფის ეროვნულ მახასიათებლად იქცევა. ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს შემთხვევაში მას უფრო ჯგუფური მსოფლმხედველობა განსაზღვრავს, ვიდრე პიროვნული. პიროვნულად კი რელიგიას ერთმანეთისგან გასამიჯნავად გამოიყენებენ, განსაკუთრებით რომელიმე ჯგუფის დამაკნინებელ მახასიათებლად. საკვლევ რეგიონში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებას არა აქვს ნმინდა რელიგიური ხასიათი, მას ჯგუფები იყენებენ, როგორც ეთნიკური დაძაბულობის ერთ-ერთ მახასიათებელს ანუ რელიგია არის ის ელემენტი, რომელიც დაპირისპირების დროს მანიფესტირდება ყოველი ჯგუფის მიერ: სომხებისა და ქართველების მიერ — ვერბალურად, ხოლო დუხო-

ბორების მიერ -- სიმბოლოებით. კონფლიქტში რელიგიური ასპექ-ტი წინა პლანზე კი არ გამოდის, არამედ ჩართულია მასში, როგორც ყოფითი, ეკონომიკური თუ ტერიტორიული დაძაბულობის ერთ-ერ-თი მახასიათებელი. ასე ხდება სამივე ეთნიკურ ჯგუფში. გრიგორი-ანელი სომხებისა და მართლმადიდებელი ქართველებისთვის რე-ლიგია ეროვნული კულტურის ნაწილად წარმოჩინდება, კათოლიკე სომხებისა და მუსლიმანი ქართველებისთვის — კონფესიურობის, ხოლო დუხობორებისათვის — ეთნიკურობის.

ვიზუალურად მკვეთრად გამოხატული კულტურის სიმბო-ლოები ასეთ ვითარებაში აძლიერებენ დისტანციას ეთნიკურ ჯგუ-ფებს შორის. მოსული და დამხვდური ჯგუფები ასეთი ძლიერი ბარიერის გამო თავიდანვე არაკომუნიკაბელურები არიან. ადამი-ანები არ ურთიერთობენ, რაც ხელს უშლის ინტეგრაციას. ამიტომ არა აქვთ ინფორმაცია ერთმანეთის შესახებ. ჯგუფები ერთმა-ნეთისგან იზოლირებულად არსებობენ; იზოლაცია კი თავისთავად ხელს უწყობს ჯგუფში შიდა კონტაქტების გაძლიერებას და ჯგუფებს შორის აღმართული ბარიერის კიდევ უფრო გამყარებას. ამ ბარიერების გადალახვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავში-რებული: ეთნოგრაფიულად მოუწესრიგებელ ჯგუფს, რომელიც არ არის შეკავშირებული საერთო სიმბოლოებით და რიტუალური ქმედობით, უჭირს მოწესრიგებულის სამყაროში შეღწევა. შესაღ-წევად განხორციელებული მისი ყოველი ქცევა ძალადობის სახეს იღებს. ეთნოგრაფიულად მოწესრიგებული ჯგუფის ყველაზე მყარი დამცველი კი სწორედ სიმბოლოებია, რომელთა ერთი ხელის მოსმით დანგრევა პრაქტიკასა და აზროვნებაში შეუძლებელია.

დუხობორისთვის ცნება „სამშობლო" ღირებულებათა იერ-არქიულ შკალაზე პირველ ადგილას არასდროს ყოფილა. ამ ადგი-

ლას რეალურად ყოველთვის შრომა იყო წარმოდგენილი, ასეც ამბობენ: „პირველი მცნება შრომაა", თუმც კი მოსალოდნელი იყო რწმენა, როგორც კონფესიური ჯგუფისთვის დამახასიათებელი, რაც მათ რელიგიურ ტექსტებშიც მოწმდება.

მაგრამ კონფლიქტურ სიტუაციაში, დაძაბულობის გამო, ჯგუფი წინ წამოსწევს მისთვის სასურველ, გარკვეული სიტუაციისათვის გამოსადეგ, სწორად შერჩეულ ღირებულებას. შესაძლოა ამას ჯგუფის ელიტა ან ლიდერები უწევდნენ ხელმძღვანელობას. საკუთარი შეხედულებით ჯგუფი ახორციელებს ისეთ ქცევას „ვერბალურად ან არავერბალურად", რომელიც აშკარად ხაზს უსვამს მის განსხვავებას ახალმოსულისაგან, ცდილობს, თავისი თავი რაიმე ნიშნით გამოყოს — გამოაცალკეოს. ასეთი, ჩვენს შემთხვევაში, არის ვერბალური გამოხატვა იმ ქცევისა, რომელიც ჯგუფის კონფესიურ რაობაზე მიუთითებს.

ყოველდღიური გამოცდილება, სიმბოლოები და მოვლენები, რომლებითაც ინდივიდები ხელმძღვანელობენ ურთიერთობისას, ამ ურთიერთქმედებას ანიჭებს გარკვეულ ხარისხს, რომელსაც ყოველ საზოგადოებაში ფიქსირებული განწყობა აქვს. მაგრამ საკმარისია ურთიერსქმედება მოხდეს სხვა სოციუმთან, განსაკუთრებით კი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების დროს, მაშინვე წინ წამოიწევს ის სიმბოლოები და ღირებულებანი, რომელიც იქნება ამ საზოგადოებების მკვეთრი განმასხვავებელი ნიშანი. სიმბოლო, რომელიც ერთი საზოგადოების ორგანიზებულობის ნიშანია, შესაძლოა, მეორე საზოგადოებასთან მიმართებით უკვე ქაოსისა და ურთიერთწინააღმდეგობის ნიშნად იქცეს. მაგრამ ღირებულებები და სოციალური ნორმები დროთა განმავლობაში სოციუმის ინდივიდთა აზროვნებაში განიცდის ცვლილებას და იქცევა რეა-

ლურ ქმედობად, რომელიც მოსალოდნელია, გათვითცნობიერებული იყოს იმავე სოციალურ ნორმებსა და ღირებულებებზე დაყრდნობით. ეს ქმედობანი შეიძლება ორგვარი აღმოჩნდეს: პოზიტიური და ნეგატიური. პოზიტიური ქმედობაც პირობითია: ერთი და იგივე ქმედობა შესაძლოა ერთი ჯგუფისათვის პოზიტიური იყოს, მეორისათვის კი — ნეგატიური. მაგ.: დუხობორების მიერ ტერიტორიის დატოვება და წასვლა პოზიტიურია სომხებისათვის, მაგრამ ნეგატიურია დუხობორების, როგორც კონფესიური ჯგუფისათვის, რადგან ამის შედეგად მისი კონფესიურობა თანდათან ირღვევა და ქრება სოციალური ჯგუფიც და მისი კულტურაც. ან პირიქით, დუხობორების მიერ თავისი ტერიტორიის — დუხობორიის — დაცვა პოზიტიურია დუხობორთათვის, როგორც ჯგუფის ერთიანი კულტურის გადარჩენის საწინდარი და ნეგატიურია სომხებისათვის, როგორც საარსებო საშუალებათა მოპოვების ხელისშემშლელი ფაქტორი.

საერთოდ, ურთიერთქმედება ხდება შემდეგი ასპექტების მეშვეობით: ინფორმაციის მიწოდება, ინფორმაციის მიღება, მიღებული ინფორმაციით გამოწვეული რეაქცია, გადამუშავებული „გაცნობიერებული" ინფორმაცია, გაცნობიერებული ინფორმაციის მიღება, ამ ინფორმაციით გამოწვეული რეაქცია. თუ ამ ასპექტებს დადებითი დატვირთვა აქვს, მაშინ კულტურები აღწევენ არა მარტო მშვიდობიან თანაარსებობას, არამედ შესაძლებელია მოხდეს მათი ინტეგრაციაც. ჩვენს პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ურთიერთქმედების ეს ასპექტები ძირითადად უარყოფითი დატვირთვით ვლინდება, ყოველი ასპექტი, გამოხატული ვერბალურად თუ არავერბალურად, წინააღმდეგობებით აღსავსეა. სოციალური ჯგუფები ამ დროს სხვადასხვა მდგომარეობაში არიან, სხვადა-

სხვაგვარად მოქმედებენ, ანუ თითოეული ჯგუფისთვის მიუღებელია ერთ გარემოში სხვა კულტურასთან თანაარსებობა, ხოლო ინტეგრაციაზე საუბარი ხომ, ჯერჯერობით, ზედმეტია.

როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ შესწავლილი, ამჟამად პოლიეთნიკური ჯგუფებით დასახლებული, რეგიონი ეთნოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენდა ერთ მთლიან, მოწესრიგებულ, რეალურ და წარმოსახვით სამყაროს, რომელსაც ჰქონდა თავისი საზღვრები, ცენტრი, საკულტო ნაგებობები, ხოლო იქ მაცხოვრებელი ხალხის ქცევა იყო მკვეთრად ჩამოყალიბებული და გარემოს ადექვატური „რელიგიური, შრომითი და სხვ." მაგრამ მათ გვერდით სტიქიურად წარმოქმნილი ჯგუფები არღვევენ მთლიანობის შეგრძნებას და ბატონდება ქაოსი. გარემომცველი სამყაროს მოწესრიგებულობის შეგრძნებას კარგავენ ადგილობრივი - თავდაპირველი „მეპატრონენი" --- დუხობორები. როგორც ცნობილია, ყოველ კულტურას აქვს ტერიტორიული საფუძველი და იგი ქმნის გარკვეულ კულტურულ არეალს. ძირითადი, ერთი კულტურის მქონე ჯგუფის დამოკიდებულება ამ არეალთან თითქმის ერთგვაროვანია: მისი წევრები უსიტყვოდ, ერთმანეთთან შეუთანხმებლად ავლენენ თავის დამოკიდებულებას გარემომცველ სამყაროსთან და ყოველ ახალმოსულ ჯგუფს უყურებენ როგორც უცხოს, რომელიც ვერ შეძლებს მათი სამყაროს აღქმას, ანუ არ ექნება მსგავსი დამოკიდებულება ამ სამყაროსადმი.

ხალხს, რომელიც ერთიან სიმბოლურ გარემოცვაში ცხოვრობს და იზიარებს მას, აერთიანებს ერთი კულტურა. ამიტომ მასში სხვა კულტურების ჩართვა თავიდანვე იწვევს დაძაბულობას. ასეთ დროს კულტურათაშორისი საზღვრები იმდენად მყარია, რომ არ ხდება შერეული ქორწინება, არსებითი ასიმილაცია, ეთნიკური

ჯგუფების შერწყმა და ერთი ეთნოსის გაფართოება მეორის ხარჯზე. საკმაოდ სტაბილურია თითოეული ეთნიკური ჯგუფის ენობრივი და კულტურული სპეციფიკა. მაგრამ როგორც კი ამ განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის იწყება არა მარტო კულტურათა, არამედ ფიზიკური საზღვრების გადალახვა, თავს იჩენს დაპირისპირება და პროცესები შეიძლება შემდეგი სცენარით განვითარდეს: რომელიმე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ტერიტორიას დატოვებენ და სხვაგან წავლენ. ეს შეიძლება განახორციელოს ძირითადმა — ადრემოსულმა ან არაძირითადმა — გვიან მოსულმა ჯგუფმა. რამდენიმე წლის წინ ბარიდან ჩასახლებულმა ქართულმა ჯგუფმა „პირობითად მართლმადიდებლები დავარქვათ" დატოვა რეგიონი. რადგანაც მკვიდრი ჯგუფის კულტურაში აღიარებულ სიმბოლოებს სხვა ძნელად არღვევს, მოსული თავდაპირველად თავის რიტუალურ ქმედობებს, რომლებიც ოჯახს გარეთა საკულტო ტრადიციებს ეხება, ძნელად ახორციელებს. არც ისე იოლია დამხდურთა სიმბოლოების გვერდით უმალ აღმართო მათთვის უცხო, მიუღებელი ნიშანი. და თუ მაინც მოხდა მსგავსი რამ, მაშინ შეიქმნება დაძაბულობა. სწორედ ამ დაძაბულობას განერიდა ქართული ჯგუფი. ამჟამად კი იგივე ელით დუხობორებს - მოსალოდნელია, უკლებლივ ყველა დუხობორმა დატოვოს ეს მხარე, მაგრამ მათთვის ეს პროცესი განცდაში უფრო მტკივნეული და დროში ხანგრძლივი იქნება, ვიდრე მოსულთათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1 Гузенкова Т.С., Коростелев А.Д., Этнокультурные ценности и ориентации в республиках Российской федерации: сходство и различия; в кн.: Суверенитет и этническое самосознание: идеология и практика, М., 1995, стр. 171.

2 Дробижева Л.М., Ценности и символы в контексте новых концепций этничности, в кн.: Ценности и символы национального самосознания в условиях изменяющегося общества, М., 1994, стр. 11.

3 ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 298.

4 ნადირაშვილი შ., დასახ. ნაშ., გვ. 299, 302.

5 Parsons T, The Social System, Glenco, Free Press, 1951, p. 12.

6 Рокич М., Методика иценностные ориентации с кн.: Психологические тесты, М., 1995, стр. 81.

7 Rokeach M., Beliefs, Attitudes and Volues, San-Francisco, 1968.

8 Аклаев А.А., Проблема ценностей в зарубежных социологических теориях, в кн.: Ценности и символы..., стр. 58-59.

9 იქვე, გვ. 63.

10 Аронова Н. Ю., Этно-территориальные представления русских в местной прессе. В кн.: Ценности и символы национального самосознания в условиях изменяющего общества. М., 1994, стр. 144

ეთნიკური საზღვრები და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ეთნიკური საზღვარი აღიქმება, არა როგორც ტერიტორიული საზღვარი, არამედ როგორც სუბიექტურად გაცნობიერებული და განცდადი დისტანცია, რომელიც განიხილება ერთაშორის ურთიერთობის კონტექსტში.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო მეცნიერებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ნორვეგიელი მეცნიერის ფ. ბარტის ნაშრომი,[1] სადაც იგი ეთნიკურ საზღვრებს განიხილავს ეთნიკურობასთან კავშირში. ეთნიკურობა მისთვის არის კულტურული განსხვავებულობის სოციალური ორგანიზაციის ფორმა. ეთნიკურ საზღვარს განსაზღვრავს ჯგუფი, პირველადი მნიშვნელობა კი აქვს იმ კულტურულ მახასიათებლებს, რომელსაც ჯგუფი ანიჭებს მარკირებულ მნიშვნელობას. ეთნიკურ ჯგუფში კი გულისხმობს, როგორც საერთოდ არის მიღებული, ეთნიკურ გაერთიანებასაც, ხალხსაც, ეროვნულობას, და მის რომელიმე ნაწილსაც. ეთნიკური საზღვარი არის აზროვნების აქტი. მისი შესწავლის საშუალებაა ეთნიკური იდენტურობის კვლევა. ეთნიკური ჯგუფის მარკირების მახასიათებლები არის ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური პირობების და კონკრეტული სიტუაციების რეზულტატი. ზოგ შემთხვევაში მთავარ როლს შეიძლება ასრულებდეს ისტორიული და ეკონომიკური, ან პოლიტიკური და სოციალური პირობები, სხვა შემთხვევაში კი კონკრეტული სიტუაცია, უპირველეს ყოვლისა მშვიდობიანი ურთიერთქმედება ჯგუფებს შორის, ან პირიქით კონფლიქტი.

ისტორიული მახსოვრობის აქტუალიზაცია ძლიერ იზრდება ერთაშორის დაძაბულობის და კონფლიქტის დროს. ამავდროულად სოციალური ფაქტორი, მაგ.: ცვალებადი სოციალური დისტანცია, ხშირად დიდ როლს თამაშობს წინასაკონფლიქტო სიტუაციაში.

ეთნიკური მარკერების განსხვავებაში და ჯგუფის საზღვრების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი, ან შეიძლება ითქვას ძირითადი ადგილი უჭირავს კულტურის მახასიათებლებს, მაგრამ ამის გარდა ეთნიკური საზღვრის განმსაზღვრელად შეიძლება გახდეს პოლიტიკური წარმოდგენები — მარკერები, რომლის გარშემოც კონცენტრირდება ეთნიკური სოლიდარობა, ზოგჯერ უფრო მასობრივი და ძლიერი, ვიდრე ის, რომელიც უზრუნველყოფილია რომელიმე კულტურული სიმბოლოთი.

ეთნიკურ მობილიზაციაში გადამწყვეტი როლი ენიჭებათ ლიდერებს, რომელნიც განმსჭვალული არიან პოლიტიკური მიზნებით, მაგრამ ამავე დროს მასების მობილიზაცია ეთნიკურობის ნიშნით ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჯგუფს აქვს შესაბამისი წინაპირობები, თუ ჯგუფს გაცნობიერებული აქვს ესა თუ ის კონკრეტული ინტერესი, რომლის დეკლარირებასაც ახდენს ლიდერი.

ცნება „საზღვარი", „კულტურული", „ეთნოკულ-ტურული" და „ეთნიკური" მნიშვნელობით როგორც გამოკვლევის კატეგორია და პრინციპი, თუმცა ხშირად დაუკონკრეტებელი, ყოველთვის იყო ჩვენი საუკუნის ანთროპოლოგიური, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური, ეთნოფსიქოლოგიური გამოკვლევებისა და დისკუსიების საგანი. რუსულ ეთნოგრაფიაში ეთნიკურ საზღვრებზე წერდა პ. კუშნერი[2]. საზღვრის ცნებას, როგორც კულტურის კვლევის პრინციპს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მ. ბახტინი: „კულტურა

მთლიანად საზღვრებზეა მოთავსებული, კულტურის ყოველი მომენტი მეორისაგან საზღვრითაა გამოყოფილი... თითოეული კულტურული აქტი არსებობს საზღვარზე; მისი მნიშვნელობაც ამით არის განსაზღვრული; საზღვარს მოშორებული კულტურული აქტი უნიადაგო და ფუჭია, კვდება და გადაშენდება კიდეც"[3]. ანთროპოლოგების, ეთნოლოგების, ისტორიკოსებისა და კულტუროლოგების ნაშრომები ცხადყოფენ, რომ ცნებაში „საზღვარი" აკუმულირებულია კულტურული ანთროპოლოგიის ძირითადი პრინციპი, ეთნოფსიქოლოგების მიერაც გამოყენებული, — სხვა კულტურებთან ურთიერთობის გარეშე არ არსებობს და ვერც ვითარდება ნებისმიერი თანამედროვე კულტურა.

„ეთნიკური საზღვრის" ცნებამ, რომელიც ნორვეგიელმა ანთროპოლოგმა ფ. ბარტმა დაამკვიდრა ამ უკანასკნელ წლებში რეალური აზრი შეიძინა და მოიპოვა პოპულარობა ეთნოსთაშორისო დაძაბულობის თავიდან აცილების ან მისი განსამუხტავი გზების ძიების თვალსაზრისით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ეთნიკურ საზღვარს" ეთნოსთაშორისი ურთიერთობების სოციალურ-ფსიქოლოგიური კონცეფციისათვის. ფ. ბარტის აზრით, ეთნიკური ჯგუფის არსებობის საფუძველი არის მისი კულტურის შინაარსი, რომელიც ჯგუფმა თავისად აქცია გარკვეულ საზღვრებში[4]. ეთნიკური საზღვარი არის მახასიათებელი, რომელიც ეთნიკურ ჯგუფს აღწერს (ახასიათებს) არა როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ წარმონაქმნს, არამედ როგორც ადამიანების კულტურულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ერთობას.

კულტურული მახასიათებლები განუწყვეტლივ იცვლება. გარდა ამისა, მეზობლად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები, ნასესხობის სიჭარბის გამო, ხშირად განიცდიან კულტურული სხვაობის

(განსხვავების) დეფიციტს[5]. ეს არ შეიძლება იყოს აგრეთვე ქცევის დონეზე კულტურული გამოვლინება — ის თანდათან უნიფიცირებული ხდება. ფ. ბარტის მიხედვით ეთნიკური საზღვარი ასახავს ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორესთან ურთიერთობის პირობებში შინაგანი სოციალური კონსტრუირების ან კულტურულ და ფსიქოლოგიურ სხვაობათა ორგანიზაციის შედეგს[6]. როგორც ვ. ტიშკოვი ამბობს, ეთნიკური ჯგუფი არის არა ობიექტურ ნიშანთა, არამედ ურთიერთობათა რეალობა[7].

ეთნიკური ჯგუფი, როგორც ეთნიკური დაძაბულობის ფენომენოლოგიური ველის კონცეპტი, არის სამყაროში ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის უნივერსალური ტენდენციის — სამყაროს „თავისიანებად" და „უცხოებად" დაყოფის — ფსიქოლოგიური შედეგი, ჩვენს შემთხვევაში — ეთნიკური მიკუთვნილების საფუძველზე. ალტერნატივა „ჩვენ-ისინი" ჯგუფის კულტურული შინაარსის ორგანიზაციის ფსიქოლოგიური მექანიზმია. ეთნიკური საზღვარი, როგორც სოციალურ — ფსიქოლოგიური წარმონაქმნი, ასახავს, თუ როგორ ხედავს ჯგუფი შინაგანად თავისი კულტურულ-ფსიქოლოგიური განსხვავებულობისა და თავისუფლების არეალის ფარგლებს. ადამიანის აზროვნებაში წარმოქმნილი წარმოდგენა საზღვრის შესახებ ასახავს როგორც ჯგუფთაშორის, ასევე შიდაჯგუფურ ფსიქოლოგიურ დისტანციას და ეს წარმოდგენა პრაქტიკულად განხორციელებას პოულობს რეალურ ეთნოსთაშორის ურთიერთობებში.

ტენდენცია „ჩვენ-ისინი" ოპოზიციურია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი დომინირება პოლარიზებულს ხდის ნებისმიერ, მათ შორის ეთნოკონტაქტურ სიტუაციას. ამ მნიშვნელობით ეთნიკური საზღვარი ეთნოკონტაქტური სიტუაციის მასტრუქტურებელი (ამგები) პრინციპის როლში გამოდის.

ეთნიკური საზღვრების საფუძველზე ეთნოკონტაქტური სიტუაციის ხელახალი კონსტრუირება ეთნიკური ჯგუფისთვის ნიშნავს, სულ მცირე ეთნიკური წევრობის მასობრივ შემეცნებას და ელიტის მიერ მეტნაკლებად გასაგებად გამოხატულ კულტურულ ნების გამოყოფის, კულტურული განსხვავებულობის (სხვაობის) დაფიქსირებისა აღნიშვნისა და დაცვის შესახებ. ჯგუფის წევრებისათვის აქტუალურ კატეგორიებად იქცევა საერთო დასახელება და ზიარი (გაზიარებული) კულტურა, საერთო წარმომავლობის რწმენა, გარკვეულ ტერიტორიასთან საკუთარი თავის ასოცირება, საერთო ისტორიული მეხსიერება (მახსოვრობა) და შიდაჯგუფური სოლიდარობა[8]. შედარება, აღქმა ხდება მხოლოდ საკუთარი კულტურის ღირებულებათა სისტემის საფუძველზე[9] — მნიშვნელოვანია არა მსგავსება, არამედ განსხვავება, არა საერთო, არამედ — სპეციფიური. ამიტომ ეთნიკური ელიტა განსაკუთრებული ძალისხმევით იცავს კულტურულ დივერგენციას[10].

ეთნოსთაშორისი ურთიერთობები იქცევა უნივერსალური ოპოზიციური ტენდენციის „ჩვენ-ისინი" ფუნქციონირების ძირითად სფეროდ.

ოპოზიცია „ჩვენ-ისინი" არის ჯგუფთა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების სხვადასხვა კონცეფციის ძირითადი ფსიქოლოგიური კომპონენტი[11]. ემპირიულ დონეზე მას გამოიყენებენ მასტრუქტურებელ (სტრუქტურის შემქმნელ, ამგებ) პრინციპად სტერეოტიპების, ქცევებისა და ღირებულებების, როგორც ეთნიკური თვითშეგნების ან იდენტურობის ელემენტების, კვლევისას. ალტერნატივა „ჩვენ-ისინი" ეთნიკური სიტუაციების, მოდელების მათ მონაწილეთა დისკურსის ანალიზის საფუძველზე კვლევის მთავარი სტრუქტურული პარამეტრია[12].

სხვებთან როგორც „უცხოებთან" დამოკიდებულება ნიშნავს, რომ ურთიერთგაგება გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული, რაც ასახავს მსჯელობის, ღირებულებების და ქცევის წესების სხვადასხვაობას. აქედან გამომდინარე, ურთიერთობა შეზღუდულია იმდენად, რომ არ დაიკარგოს საერთო გაგება და საერთო ინტერესი[13]. გამოხატული ეთნიკური საზღვარი აქვეითებს ტოლერანტობას და ზღუდავს ეთნოსთაშორის ურთიერთობას.

თუ ეთნიკური საზღვრის ფსიქოლოგიური შინაარსი შეივსო ტერიტორიული, კონფესიური და ლინგვისტური ხასიათის მოთხოვნებით (პრეტენზიებით), მაშინ იგი მკვეთრ დემარკაციულ ხაზად გადაიქცევა. ეთნოსთაშორისი დაძაბულობის ზრდასთან ერთად ეთნიკური საზღვარი თანდათან უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს და ხშირად უფრო რეალური ხდება, ვიდრე ადმინისტრაციული, რადგან ეთნიკურ ერთობათა გამყოფის ფუნქციას რეალურად სწორედ ეთნიკური საზღვარი ასრულებს.

ეთნიკური საზღვარი, როგორც მასტრუქტურებელი (სტრუქტურის შემქმნელი, ამგები) პრინციპი, მეთოდოლოგიურ დონეზეც გარკვეულ როლს თამაშობს — კოგნივიტურ — ემოციურ წარმონაქმნთა ცნებების გლობალური სისტემების გაერთიანებით წარმოქმნის ეთნოსთაშორის ურთიერთობათა ფენომენოლოგიურ ველს. მაგ.: რუსულ (სამამულო) მეცნიერებაში ცნებების ასეთი გლობალური სისტემაა „ეთნიკური თვითშეგნება", ხოლო დასავლურში — ფართო კვლევის საგნად ქცეული "ეთნიკური იდენტურობა", „დამოუკიდებელ თვითკონსტრუქტორთა სისტემები"[14], სუბიექტური კულტურები[15]. ისინი ყალიბდებიან ეთნიკურ საზღვარზე და მათი მთავარი მეთოდოლოგიური ფუნქციაა ამ საზღვრის აღნიშვნა.

სასაზღვრო ზოლი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, როგორც კონტაქტებისა და შეტევითი თუ თავდაცვითი ხასიათის ნეგატიური სოციალურ-ფსიქოლოგიური ენერგიის ინტენსიური კონცენტრაციის და მაშასადამე უდიდესი ფსიქოლოგიური დაძაბულობის ზონა. ამ ენერგიის დაგროვება ზრდის ხალხებს შორის ფსიქოლოგიურ დისტანციას და თანაც არათანაბრად — თითოეულ მხარეს ყალიბდება თავისი სასაზღვრო ზოლი, თავისი დისტანცია.

ნეგატიური ენერგიის ძირითადი წყაროა ეთნიკურობის კრიზისული ტრანსფორმაციები. ეთნიკურობა როგორც სოციალური იდენტურობის სახე ანუ ეთნიკური იდენტურობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიეთნიკური საზოგადოების განვითარების კრიზისულ პერიოდებში. ანომია, საზოგადოების არასტაბილურობა „მე"-ს პოტენციალის დაქვეითებას იწვევს. სუსტი და მერყევი „მე" იგუებს ძლიერი „ჩვენის" ძიებას. ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნება ცდილობს ზუსტად გაარკვიოს თავისი არსებობის სოციალური და ფსიქოლოგიური საზღვრები. ამიტომ „მეს" საზღვრებს სცილდება და თავის თავს რომელიმე ჯგუფთან ან ერთობასთან აიგივებს.

პიროვნება ინდივიდუალური საზღვრების გაფართოებით ახალ იდენტურობაში სიმშვიდესა და სტაბილურობას ეძებს. თუ საზოგადოება უძლური აღმოჩნდება, მაშინ ადამიანებს თვითდაჯერებულობას ეთნიკური ჯგუფი აძლევს[16]. ამიტომ ეთნიკურობას თუ ეთნიკურ იდენტურობას განიხილავენ როგორც ძირითად იარაღს, რომელიც ჯგუფს საშუალებას აძლევს, მოხაზოს თავისთვის საიმედო და შესამჩნევი საზღვრები.

ეთნიკურობა ემსახურება შიდაეთნიკურ ინტეგრაციას და ამით იმავდროულად ხელს უწყობს დეზინტეგრაციული ტენდენცი-

ების განვითარებას მთლიანად პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. ეთ-ნიკურობა კულტურული განსხვავებულობის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ეთნიკური საზღვრები უფრო მჭიდრო და ხელოვნური ხდე-ბა, როდესაც ჯგუფის ეთნოკულტურულ ვარიაციულობას ცვლის მისი მოთხოვნების წინააღმდეგობრივი ხასიათის ზრდა. ამ დროს ეთნიკური საზღვარი უკვე ეთნიკურ შეტაკებათა ადგილი გახდება და შესაძლოა, თავდაცვითიდან დეზინტეგრაციისა და გაუცხოების იარაღად იქცეს საზოგადოებაში. ჯგუფთაშორისი აღქმის დამარე-გულირებელი (მომწესრიგებელი) სოციალურ-პერცეპტიული მექა-ნიზმების საფუძველზე გროვდება ნეგატიური ინფორმაცია, ხდება აღქმის არჩევითობა ეთნოსოციალურ ნიადაგზე, მცირდება შიდა-ჯგუფური და მატულობს (ძლიერდება) ჯგუფთაშორისი განსხვავე-ბა, ხდება ემოციების გენერალიზაცია ეთნიკური კრიტერიუმებით, პასუხისმგებლობას აკისრებენ და ადანაშაულებენ სხვა ჯგუფსა და გარემო პირობებს (შექმნილ მდგომარეობას), ხელახლა აფარებენ კულტურათა სხვაობას. ხოლო თავისი ხალხის ბუნებრივი სიყვარუ-ლი გადაიზრდება ეთნოერონულ (ეთნონაციონალისტურ) პოლი-ტიკურ დოქტრინაში, რომელსაც მასაც მხარს უჭერს.

1. ეთნიკურობა აკავშირებს ადამიანებს და მათ სოლიდარო-ბას ხელს უწყობს ჯგუფური წევრობის საფუძველზე.

2. ეთნიკურობას მითოლოგიური ხასიათი აქვს და მისი შემა-კავშირებელი (მამობილიზებელი) ძალა, მისი მთავარი დასაყრდე-ნია იდეა ანუ მითი საერთო კულტურის, ნარმომავლობის, ისტორი-ის შესახებ.

3. ეთნიკურობა, როგორც ოპოზიციური პრინციპით ჩამოყა-ლიბებულ სხვა ჯგუფებთან ურთიერთობის ფუნქცია, შესაძლოა იყოს კონფრონტაციული.

მეტისმეტად მზარდი ეთნიკურობა იწვევს ეთნიკური შეუწყნარებლობის გაძლიერებას, რაც კონფრონტაციულობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ჰიპერეთნიკურობის ყველაზე მძლავრი ფაქტორია სხვათაგან გამოყოფის სურვილი. ასეთ შემთხვევაში ეთნიკური საზღვრების ინდიკატორებია ეთნიკური ტოლერანტობის დონე, ეთნიკური იდენტურობის ტრანსფორმაცია, ფსიქოკულტურული დისტანციის სიდიდე, კულტურათაშორისი გაგების საერთო სემანტიკური ზონების შეფასება, ჰიპერეთნიკური და ქსენოფობური რეაქციების ინტენსივობა.

4. ეთნიკურობას წარსულში აქვს ფესვები, თუნდაც იგი იყოს „აღორძინებული", „თავსმოხვეული", რომელიც ძირითადად ეთნოკრატიული პოლიტიკის შედეგია და „ბუნებრივ" ფაქტორებს ნაკლებად უწევს ანგარიშს[17]. ცნობილია, რომ არეულობისას, როდესაც აწმყო ქაოსურია, ხოლო მომავალი — გაურკვეველი, ხალხები თავიანთ ისტორიას მიმართავენ. ადამიანს ისტორიაში, წარსულში ეგუება თავისი ყველაზე საიმედო და ნაცადი ორიენტირები. მაგრამ ისტორიას მხოლოდ მაშინ როდი მიმართავენ, როდესაც აწმყო მოუწყობელია, არამედ მაშინაც, როდესაც რეალური ადამიანის წარმოდგენაში არსებული განაწყენების დამნაშავეს ეძებენ. ისტორიული წარსულის გაცოცხლება აძლიერებს საერთო წარმომავლობის რწმენას, ააქტიურებს წარსულში მიყენებულ წყენასა და უსამართლობას, ამწვავებს სოციალური სტატუსების თანაფარდობის პრობლემას. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ზრდის ისტორიული არგუმენტაციის მნიშვნელობას ხალხების გაყოფის სასარგებლოდ, თუ ადმინისტრაციული არა, კულტურული საზღვრებით მაინც.

5. ეთნიკურობას, ს. ლურიეს ხატოვანი გამოთქმით, ორმაგი ფსკერი აქვს — ეთნიკური კულტურა, რომელიც მის ფსკერზე

ძევს, იყოფა „გარე მოხმარების" და „შიდა მოხმარების", სხვათაგან დაფარულ, კულტურად"[18]. მ. როსმა ეთნიკური კონფლიქტების ფსიქოკულტურული ინტერპრეტაციის თეორიაში „მესა" და „სხვებს" შორის ფუნდამენტურ ორიენტირებად განიხილა ფსიქოკულტურული წინასწარგანწყობები, რომელთაც ფესვები უძველეს გამოცდილებაში აქვთ და შეიცავენ ერთობის შიგნითა და მის გარეთ ურთიერთობის კულტურით გამართლებულ (ნაცად) ხერხებს"[19].

6. ეთნიკურობას ადამიანი ემოციურად განიცდის. ერთაშორისი შედარებებისას გამოსჭვივის ღირსება, სიამაყე, წყენა, დაუკმაყოფილებლობისა და შიშის გრძნობა, რომლებიც ეთნიკურ ერთობასთან ემოციურ კავშირს და მის მიმართ მორალურ ვალდებულებებს, რომლებიც პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება. ინფორმაციის ნაკლებობა და ემოციური იმპერატივები გავლენას ახდენს აღქმაზე და გარკვეულწილად ხსნიან მხარეთა ირაციონალურ მოქმედებას ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტების დროს. კ. სტერნის აზრით, ემოციებისა და მორალური ნორმების ნაერთი არის სწორედ ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც აიძულებს ადამიანებს მსხვერპლი აიღოს თავისი ხალხის სასარგებლოდ[20]. ნეგატიური ხატი, ღრმა შიში, ურთიერთ უნდობლობა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, შელახული ღირსება — ეს ის ემოციური ნაზავია, რომელიც ამყარებს „სოციალური", „კულტურული", „პოლიტიკური" აგურით ნაშენებ ეთნიკურ საზღვარს.

სწორედ ამგვარი სპეციფიკის გამო ეთნიკურობა მეტად მწვავედ აღიქვამს ხალხთა შორის ურთიერთობისას პოლიტიკური კლიმატის ცვლილებას; მისი გააქტიურება იწვევს ეთნოსთაშორისი დაძაბულობის ზრდას და პოლიტიკური საზოგადოების დეზინტეგრაციას.

მითითებული ლიტერატურა

1 Ethnic groups and Boundaries. The Social Organization of Culture Differencees., F. Bart, eol Bergen, London Universitets Forladet/Allen the Unwin, 1969.

2 Кушнер П.И. Национальное самосознание как этнический определитель. М. 1947.

3 Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. М., 1975, გვ. 25.

4 Barth F. Introduction//Ethnic Groups and Boundaries: the Social Organizations of Culture Difference/Ed. by F. Barth. Universitetsforlaget, Oslo, 1969, p. 15-17.

5 Тишков В. А. О феномене этничности//Очерки теории и политики этничности в Росии. М., 1997. с. 64.

6 Barth F. Introduction. გვ. 15.

7 Тишков В. А. Идентичность и культурные границы//Идентичность и конфликт в постсоветских государствах. М. 1997, გვ. 15-44.

18 Абдулатипов Р. Г. Национальные отношения და სხვა.

9 Narol R. Cohen R. A. A handbook of method in cultural anthropology, N. Y. Colombia University Press, 1970.

10 Тишкова В. А. О феномене этничности//Очерки теории и политики этничности в Росии, с. 65.

11 Бромлей Ю. В. Очерки теории этноса. Портнев Б. Ф. Социальная психология и история. М., 1966.

12 Van Dijk T. Cognitive situation models in discourse production// Language and Social Situations. N. Y.: Spriger Verlag Inc., 1985. p. 61-75.

13 Barth F. Introduction, გვ. 15.

14 Markus H., Kitayama S. Culture and the self: implications for cognition,

emotion and motivation//Psychological Review, 1991, 98(2), зз. 224-253

15 Friadnis H. Collection is Individualism

16 Hobsbaum E. J. Ethnicity and Nationalism in Europe Today//Anthropology Today. 1992. vol. 8. #1.

17 Ерасов, Б. С. Этническое-Национальное-Цивилизационное в пространстве Евразии//Цивилизации и культуры. М., 1995. Вып. 2. зз. 81-104.

18 Лурье С. Метаморфозы традиционного сознания. Санкт-Петербург. 1994.

19 Ross M. H. Psychocultural Interpretation Theory and Peacemaking in Ethnic Conflicts//Political Psychology. Vol. 16. #3. September 1995. зз. 523-545.

20 Stern P. C. Why Do People Sacrifice for their Nations? // Political Psychology. 1995. vol. 16. # 2. p. 217-235.

შინაარსი

კონფლიქტის არსი	3
კონფლიქტი სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში	16
კონფლიქტის კონცეფცია	46
ეთნოტერიტორიული კონფლიქტები	83
კონფლიქტის ფორმები	89
ეთნოუმცირესობა და რეგიონალური მოწყობა	92
სასაზღვრო ტერიტორიული კონფლიქტები	111
ეთნოკულტურული ღირებულება კონფლიქტში	125
ეთნიკური საზღვრები და მასთან დაკავშირებული პრობლემები	152

ლია მელიქიშვილი — ეთნოლოგი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ეროვნული უმცირესობებისა და ეთნოკონფლიქტების ექსპერტი. ევროპის სოციალური ანთროპოლოგიის ასოციაციის წევრი. 4 მონოგრაფიის ავტორი და 7 წიგნის თანაავტორი. რამდენიმე პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, მათ შორის ორი მასშტაბური:
1. ეთნიკური კონფლიქტების აღრეული გამოვლენა და ეთნიკური ჯგუფების სოციალური განწყობის განსაზღვრა პოლიეთნიკურ საზოგადოებაში (ჯავახეთი).
2. უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები არასტაბილური კავკასიის ფონზე (პანკისი).

გარეკანზე ლ. მელიქიშვილის ფოტო

დაიბეჭდა გამომცემლობა „ინა და ყუ—ფყრ“-ს სტამბაში
0162. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ., 3